

# ... da xva l iyo omi!

# ... da zeg ar iyo saqar Tve l o!

# საერთო გაზეთი

№33 (217) ● 25-31.VII.2012 წელი ● შემდეგი ნომერი გამოვა, ოთხშაბათს, 8 აგვისტოს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## biZina ivaniSvi l i da koa l icia `qar Tu l i ocneba~ kaxe l ebs gasaWi r Si ar miatovebs

## სააკაშვილი წასვლით კი წავა, მაგრამ მთავარია, უკან არ მობრუნდეს...

## am xe l isuf l ebas sur s mTe l i saqar Tve l o kikud aqcios, mag r am a r a fe r i gamouva

## ჩვენ მცხეთის სახინკლეში ვისხდეთ და მიშა სხვამ გადააგდოს, ასეთი რამ არ მოხდება

## ratom dadis saakaSvi l i bednie r i saxiT st iqi isgan aox r ebu l kaxeTSi?





## საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, ფაქტობრივად, რუსეთის ხელისუფლების გაგრძელებაა

## daCexi l i saqar Tve l o

## „ნაციონალებო“, დროზე მოდით ჭკუზე, თორემ დედა გეტირებათ!

## kaxa benduqiZis refo r mebi sru l i idiot izmia

## დიდი შიშის ლობიო თუ ჭამე და ზედაც ჰალსტუხი მიაყოლე პრასივით, აუცილებლად ფაღარათი გიმსხვერპლებს...




ISSN 2233-3983
9 772233 398001

## სად დაიხარჯა საგანგებო სიტუაციებისთვის გაწერილი 100 მილიონი ლარი – „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთა

კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაცია ხელისუფლებას სარეზერვო ფონდის არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებს და მოითხოვს პასუხი გაეცეს კითხვას, სად დაიხარჯა საგანგებო სიტუაციებისთვის გაწერილი 100 მილიონი ლარი. სწო-



რედ ამ თემასთან დაკავშირებით დღეს პარლამენტის შენობის წინ წინ კოალიციის ახალგაზრდულმა ფრთამ საპროტესტო აქცია გამართა. მათ გამოიტანეს ტრანსპარანტები „გაფლანგული რეზერვი“, „მოპარული თანხები“, „სად არის სარეზერვო ფონდი“, „რეზერვი – ნული“.

ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლის ცოტნე ზურაბიანის განცხადებით, სარეზერვო ფონდი მთლიანად დახარჯულია და სწორედ ამას უკავშირდება ბოლო საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებული განხილვები პარლამენტში, რათა მოახერხონ სახსრების გადანაწილება.

მისი თქმით, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს არაგონივრულ პოლიტიკაზე, რასაც პრეზიდენტი ყოველდღე სთავაზობს საზოგადოებას.

შეგახსენებთ, რომ ბიუჯეტში ცვლილებები კახეთში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და მოსახლეობისთვის კომპენსაციის გასაცემად შედის. ამისთვის დაახლოებით 162 მლნ ლარი გაიხარჯება.

## სამეგრელოში სტიქიის შედეგად დაზარალებულებს კომპენსაცია ჯერაც არ მიუღიათ

წალენჯიხის რაიონის სოფლებში ერთი თვის წინ მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას ფულადი კომპენსაცია ჯერად არ მიუღია.

როგორც „მედიანიუსს“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მამუკა ქარდავამ განუცხადა, ზარალის ოდენობა უკვე დადგენილია და მონაცემები მთავრობას გადაეგზავნა.

რა ოდენობის ფულად კომპენსაციას მიიღებენ წალენჯიხის რაიონში სტიქიით დაზარალებული ოჯახები, ეს პარლამენტის მიერ საბიუჯეტო ცვლელების დამტკიცების შემდეგ გახდება ცნობილი.

ქარდავამ დაზარალებული ოჯახების ოდენობა არ დააკონკრეტა, თუმცა განაცხადა, რომ სტიქიამ ძირითადად სოფელი ობუჯი დააზარალა.

უხვი ნალექის შედეგად ჩამოწოლილი მეწყერის მიერ დაზიანებული ხიდებისა და გზების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

წალენჯიხის გარდა სტიქიის შედეგად დაზარალდა ჩხოროწყუს რაიონიც, თუმცა როგორც „მედიანიუსთან“ საუბარში ჩოხატაურის რიაონის გამგებელმა მერაბ შელიამ განაცხადა, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი მოსახლეობისთვის ფულად კომპენსაციას არ საჭიროებდა.



„მუნიციპალიტეტი ფიზიკურად დაეხმარა და ეხმარება ყველა მოსახლეს. ძირითადად ინფრასტრუქტურული ზიანია მიყენებული, რასაც მუნიციპალიტეტი აგვარებს“, – განაცხადა შელიამ.

შეგახსენებთ, რომ სამეგრელოში 28 ივლისს ძლიერი წვიმა მოვიდა, რის შედეგადაც რამდენიმე სოფელში მეწყერი ჩამოწვა და გზები და ხიდები დააზიანა. სტიქიის გამო ქვეყნის პრეზიდენტმა ბაქოში ვიზიტი შეწყვიტა და დაზარალებულ რეგიონში ჩავიდა.

**„მედიანიუსი“**

## qarTvelebsac da osebsac erTi ocneba unda gvqondes _ mSvidobiani, gaerTianebuli saqarTvelo

უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ საერთო კითხვებით მივმართეთ მსახიობებს – ნანა და ლილი ხურითებს, რომლებიც შიდა ქართლის რეგიონში სოფელ-სოფელ ხვდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

***– რამდენად იცნობს ჩვენი საზოგადოება საკუთარ უფლებებს და რამდენად აქვს გაცნობიერებული საკუთარი პასუხისმგებლობა?***

***– როგორ შეაფასებთ ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს ქვეყნისთვის, მოქალაქისთვის?***

***– რა შეიცვალა კარალეთის ინციდენტის შემდეგ საზოგადოების განწყობაში?***

***– რა არის თქვენი „ქართული ოცნება?“***

**ნანა ხურითი:** ჩვენი საზოგადოება იმდენად იტანჯება უუფლებობით,რომ სურვილიც კი აღარა აქვს, გაეცნოს მას. საზოგადოება ახლა უკვე გრძნობს პასუხისმგებლობას, ამაში დავრწმუნდი და დავმშვიდდი, მას შემდეგ, რაც რეგიონებში ვნახე. მიუხედავად ტერორისა,დაშინებისა და დამცირებისა, ადამიანები გრძნობენ, რომ სერიოზული არჩევანის წინ დგანან და ეს გაცნობიერებული აქვთ.

ვარდების ხელისუფლებამ ქვეყნისთვის პოზიტიური არაფერი მოიტანა, მოქალაქეებისთვის მოჩვენებითი სიმშვიდე და ალბათ, ის,



რომ ქუჩაში ღამე სიარულის არ მეშინია და მანქანებს აღარ იპარავენ...თუმცა, მახსენდება უკანონო პატიმრები, ციხეში გარდაცვლილი ადამიანები, წამებები, ქუჩაში დახრეტილი ბიჭები, გაუხსნელი საქმეები, „იმედში“ შეჭრა, 7-ნოემბერი, 26 მაისი...

კარალეთის ინციდენტის შემდეგ, მოსახლეობა უფრო გათამამდა და პირიქით,შიში მოეხსნათ, მეორე დღესვე, შევედით კარალეთში, სადაც კარგი შეხვედრა გვქონდა. იქ ამოვიცანით ის ქალბატონი, რომელიც ძალიან აქტიური იყო წინა დღეს და ნირწამხდარი აძლევდა ინტერვიუს „რეალტივის“ და „აიტივის“. მე ასეთი ადამიანები მეცოდებიან. ოსურ სოფლებში ვიყავით „ეროვნებათა სახლიდან“ ხუთკაციანი ჯგუფი, ოსი ეროვნების წარმომადგენლები. ოსურ მოსახლეობასთან შეხვედრა ძალიან საინტრესო იყო,''ეროვნებათა სახლმა'' თავის მისია შეასრულა. ეს პირველი შემთხვევაა, სადაც სხადასხვა ერის წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთვნენ იმ ოცნების ასრულებაში, რასაც „ქართული ოცნება“ ქვია



გორის გამოსვლის შემდეგ ძალიან ბევრი ოსი მოვიდა ჩემთან, გამეცნენ. ოსი ერონების ხალხის ასეთი აქტივობა მე არ მახსოვს. გორის აქცია შემდეგი სიტყვებით გავხსენი: .„მე ნანა ვარ, ხურითი, ეროვნებით ოსი, ქართული თეატრის მსახიობი, დავიბადე თბილისში, გავიზარდე გოგებაშვილის „დედა ენაზე“, ჩემი მშობლიური ენა ქართულია, თუმცა ოსურსაც კარგად ვფლობ და აქციის მხარდამჭერებს ოსურ ენაზე მივესალმე - „ვა ბონთა ხორზ“. ერთ-ერთ ინტერვიუში წამომცდა, როცა ჩვენები ჩემს სოფელში შევიდნენ, ჩვენები ტყეში გაიხიზნენ... შესულებში - ქართველებს ვგულიხმობდი, გახიზნულებში. იმ სოფელში კი მამაჩემის საფლავია,მიტოვებული საფლავი...ეს ჩვენი საერთო ტკივილია, იმიტომ რომ თქვენც მიტოვებული საფლავები გელოდებიან...ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ომი ვიღაცამ მოგვახვია თავს, ვიღაცის ინტერესებშია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ – ოსებმა და ქართველებმა, ეს დავუშვით.

ჩემი ქართული ოცნებაა გამთლიანებული, მშვიდობიანი, საქართველო, სადაც ადამიანებს უზრუნველყოფილი სიბერე ექნებათ, სადაც ადამიანის შრომა დაფასებული იქნება, სადაც სიძულვილისთვის ადგილი არ იქნება....

**ლილი ხურითი:** ქართულმა საზოგადოებამ იცოდა, რომ ჰქონდა ბედნიერად ცხოვრების უფლება, ამიტომ უკიდურესი გაჭირვება ვერ აიტანა და მოახდინა „ვარდების რვოლუცია“ თუმცა სულ ცოტა ხანში მიხვდა, რომ მწარედ შეცდა და რომ ბედნიერად ცხოვრების უფლება „გამორჩეულ“ ადამიანებს აქვთ მხოლოდ. რომ მათი ყოფა, ბედნიერ ცხოვრებას ვიღა ჩივის, ადამიანების კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში პასუხიმგებლობაზე და მოვალეობის გრძნობაზე ლაპარაკი ზედმეტია. „ქართული ოცნების“ გამოჩენის მერე ადამიანებს გაუჩნდათ რწმენა იმისა, რომ მათ შეუძლიათ თვითონ გახდნენ ავტორები თავიანთი კეთილდღეობისა და მიიღონ მონაწილეობა საკუთარი ქვეყნის მშენებლობაში. ამან გააჩინა პასუხისმგებლობა. მე ეს ძალიან მახარებს.

ამ ხელისუფლებამ ჩემთვის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებების ნგრევა დაიწყო, რომ დღეს პოზიტივზე საუბარიც არ მსურს. როცა წავლენ და დაიწყება ყველასთვის და არა ერთი ჯგუფისთვის, სასურველი ქვეყნის მშენებლობა, მშვიდად გავაანალიზებ ყველაფერს და აუცილებლადდ ჩამოვთვლი სიკეთეებს, თუკი შეიძლება სიკეთე ვუწოდო იმ ვალდებულებებს, რომელიც რევოლუციით მოსულ ხელისულებას ისედაც უნდა ეკეთებინა. ის ვალდებული იყო. ერთადერთი, რაც შეიძლება განსაკუთრებულად გამოვყო, ის არის, რომ ღამის თბილისში გადაადგილება უსაფრთხო გახდა. ეს ძალიან კარგია, მაგრამ რის ფასად, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ. თუმცა, როცა ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე სტუდია „მონიტორის“ ოფისს ქურდავენ, გააქვთ ყველაფერი უზარმაზარი ყუთებით და ამას ვერავინ ამჩნევს, ეს ძალიან ცუდია.

გორის რეგიონში მდგომარეობა იყო უმძიმესი. გაპარტახებული სოფლები, უსახსროდ, უიმედოდ დარჩენილი, დათრგუნული, მუდმივი დაშინების ქვეშ მყოფი მოსახლეობა. გორის აქციამ ერთგვარი გარდატეხა მოახდინა. მითი ნაცხელისუფლების და კერძოდ, მერაბიშვილის უძლეველობისა, ნელ-ნელა ნგრევას იწყებს. გორის რეგიონის მოსახლეობამ დაინახა, რომ მათი ძალა მხოლოდ ქვების სროლაშია. მოსახლეობას გაუჩნდა იმედი, რომ ქვების სროლით მოსული ხელისუფლება აუცილებლად არჩევნებით წავა.

ჩემი ქართული ოცნებაა, ვიცხოვრო ქვეყანაში, რომლის მოქალაქეობითაც იამაყებს ყველა ერის წარმომადგენელი, მათ შორის აფხაზები და ოსები და ამ ქვეყანას ერქმევა -საქართველო.

**ნინო ფირცხალავა**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.



# ratom dadis saakaSvili bednieri saxiT stiqiisgan aoxrebul kaxeTSi?

რაღაც ძალიან გახარებული და ბედნიერი დადის სააკაშვილი სტიქიისგან გაპარტახებულ და გაუბედურებულ კახეთში.

— თუ ქარი ქროდა, წვიმდა და ქვეყანა იქცეოდა, შენ რა გიხაროდა, შე უპატრონოო, — ჰკითხეს ილიკომ და ილარიონმა ზურიკელას.

ზურიკელა შეყვარებული იყო და ეს უხაროდა, მაგრამ ამას, ამ დაქცეული ქვეყნის პრეზიდენტს, რა უხარიაო? — იკითხავს მკითხველი.

რა უხარია და ესეც შეყვარებულია, ოღონდ მერიზე კი არა საკუთარ თავზეა შეყვარებული და კახეთში დატრიალებული უბედურებით საკუთარი თავისთვის კარგი პიარის გაკეთების საბაბი მიეცა.

აი, ესაა, რომ უხარია და ამითაა, ბედნიერი რომ არის...

— უპრეცედენტო დახმარება გაეწევა კახეთს, იმისთანა დახმარება გაეწევა, ჯერ რომ საქართველოში არავისთვის გაუწევიათო, — ამბობს აფოფინებული სააკაშვილი და ამაყად ჩამოთვლის ამ უპრეცედენტო დახმარების დეტალებს — მთლად ძირფესვიანად ამოგდებულებს 1500 ლარი, საშუალოდ გაჩანაგებულებს — 1000, ასე თუ ისე სული რომ უდგათ, იმათ 300-500 ლარი და ზედ კიდევ ცოტაოდენი ფქვილი, ცოტაც შაქარი და მაკარონი.

აი, ამას ჰქვია, ძმაო, ნამდვილად არნახული დახმარება.

ყოჩაღ! ყოჩაღ! ყოჩაღ!

კახელებს უხარიათ, მაგრამ ის არ იციან, რა ქრისტეს ტირილი და გოდება იდგა ამ დღეებში ელიავას ბაზრობაზე, დიდუბის პავილიონებში, საიდანაც გაზიდა ხელისუფლება, კახეთისთვის ჩასატანი სამშენებლო მასალები და პროდუქტები.

— ახლა ნისიად გაგვატანეთ საქონელი და დღე-დღეზე ყველაფერს უკლებლივ აგინაზღაურებთო, — ეუბნებოდნენ თურმე ხელისუფლების წარმომადგენლები სამშენებლო მასალების თუ საკვები პროდუქტების პატრონებს და თანხმობასაც კი არ ელოდებოდნენ, ისე ტვირთავდნენ სატვირთო მანქანებს.

— კახეთის სტიქიამ კახელები კი არა ჩვენც დაგვაქცია, ესენი რისი გადამხდელები არიან... დავილუპეთ... გავკოტრდითო, — მოსთქვამენ თურმე დაცარიელებულ საწყობებთან თუ დახლებთან მდგარი ადამიანები.

**არსენა ოქროპაშვილი მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა, ეს ხელისუფლება კი ღარიბებს ხდის და ღარიბებს აცმევს, მერე იმათაც გახდის და სხვა ღარიბებს აცმევს, აბა, საკუთარი ჯიბისკენ კი არ წაუცდებათ ხელი...**



ამ მრავალჯერ გატყავებულ ქვეყანას კიდევ ერთხელ რომ ატყავებთ და თან იმას რომ გაიძახით, ქველმოქმედებას ვეწევითო, თქვენი სეიფები გახსენით, თქვე უნამუსოებო, მილიონები და მილიარდები რომ გაქვთ შიგ „ჩაპაჭკული“.

გახსენით და დაუბრუნეთ ხალხს, რაც ხალხს წაართვით.

ბიძინა ივანიშვილმა ათი მილიონი ჩარიცხა ჯარიმის სახით სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე — დაზარალებულებს მოახმარეთო.

— 100-150 მილიონი მაინც დაგვჭირდება, იმხელა ზარალი განვიცადეთ, — ჩაილაპარაკა სააკაშვილმა, რითაც ერთგვარი მესიჯი გაუგზავნა ივანიშვილს— ეგ ათი მილიონი რას გვეყოფა, კიდევ მაიტაო.

როცა ქვეყანას უჭირს, სააკაშვილის მაიტას თქმა რაში სჭირდება ბიძინა ივანიშვილს, მან იმ დღესვე, როგორც კი ეს ამბავი მოხდა, თანაგუნდელებს დაავალა, ფორმა მოძებნეთ, რომ კახეთს როგორმე დავეხმაროთო.

ფორმაც მოიძებნა, ათი მილიონიც ჩაირიცხა და იქვე ითქვა, რომ, როცა ზარალი დაითვლება, იმავე მეთოდით კიდევ იქნება გაღებული სერიოზული თანხები, რომ გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანებს სერიოზული დახმარება გაეწიოს.

— ჯარიმის ფულია ეგ და ამ საქმისთვის როგორ გავხარჯოთო, — ხელებს შლიან ხელისუფლების წარმომადგენლები და თვალებს მიამიტად აფახულებენ.

კაცო, თქვენ ექსტრემალური სიტუაციებისთვის განკუთვნილ იმ 100 მილიონის კონცერტებზე, „პაეზდკებზე“, ათასგვარ სისულელეზე დახარჯვა მოახერხეთ და დაგვიჯერო, იმას ვერ მოახერხებთ, რომ თუნდაც ერთხელ კეთილი საქმე გააკეთოთ და კეთილშობილი კაცის მიერ მოცემული ფული იმ ადამიანებს გადასცეთ, ვისთვისაც ის არის განკუთვნილი?!

სხვა არაფერში არ უქნიხართ ღმერთს, მაგრამ ფოსტალიონებადაც არ ვარგიხართ, თქვე მამაცხონებულებო?

# Jvania-saakaSvilis `arwivebi~ qarTuli Jurnalistikis moqufrul caze

— როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილი რუსეთის კაცია? — ეკითხებოდა ივანიშვილის მხარდამჭერად ცნობილი ერთ-ერთი ოპოზიციური ტელეარხის ასევე ცნობილი ჟურნალისტი ქართლის სოფლების მოსახლეობას.

ამგვარად კითხვის დასმისას ხომ გაცილებით მეტია ალბათობა, რომ რესპონდენტისგან „დადებით“ პასუხს ანუ დასტურს მიიღებთ — დიახ, ივანიშვილი რუსეთის კაცია!

ჰოდა, იღებდა კიდევაც ცნობილი ჟურნალისტი უმრავლეს შემთხვევაში ასეთ პასუხებს, ის კი მაინც ჯიუტად აგრძელებდა — ბიძინა ვანიშვილი რუსეთის კაცია? ბიძინა ივანიშვილი რუსეთის კაცია?



ბიძინა ივანიშვილი რუსეთის კაცია?

ბიძინა ივანიშვილი რომ რუსეთის კაცი არ არის, ამის ცოცხალ „არგუმენტად“ გონებამახვილ ჟურნალისტს ერთი ვეტერანი სამხედრო პირი ჰყავდა ჩაყვანილი — ბიძინა ივანიშვილი რომ რუსეთის კაცი იყოს, ეს ვეტერანი რუსეთის კაცს მხარს როგორ დაუჭერდაო?

ვერ გეტყვით, რამდენად დამაჯერებელი იყო ეს არგუმენტი, მით უმეტეს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც კარგად ახსოვთ თუ როგორ უბათქუნებდა ვეტერანი სამხედრო პირი ზარბაზანს დამოუკიდებელი საქართველოს ახლად ამოყვანილ კედლებს და, ნებსით თუ უნებლიეთ, როგორ უხარებდა ამით გულს რუსებს.

ბიძინა ივანიშვილი რუსეთის კი არა, თხემით ტერფამდე რომ საქართველოს კაცია, ამის დასამტკიცებლად ან ამ საჩოთირო კითხვის დასმა, ან ამ ვეტერანის შეწუხება რა საჭირო იყო?

რაც შეეხება პატივცემულ ჟურნალისტს, ჟურნალისტი დილიდან გვიან ღამემდე იმას გვიმტკიცებს, რომ ძალიან, ძალიან უყვარს ამერიკა, მაგრამ უყვარს თუ არა საქართველო, ამის გარკვევა ჯერჯერობით ვერ შევძელით...

დაბოლოს: ქართული ტელეჟურნალისტიკის მოქუფრულ ცაზე დღემდე ჟვანია-სააკაშვილის მიერ დაფრთიანებული „არწივები“ დაფრინავენ, რომლებსაც არწივობის ბევრი არაფერი სცხიათ, მაგრამ ძველი „დიდების“ ულიმღამო ანარეკლით დღემდე „იოლად“ გადიან.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# saakaSvili wasvliT ki wava, magram mTavaria, ukan ar mobrundes...

*გვესაუბრება იურისტი, სამართლის ექსპერტი* ***კობა კაპანაძე***



**— ბატონო კობა, ახლახან გამოქვეყნდა NDI-ის კვლევების შედეგები, სადაც კოალიცია „ქართული ოცნების“ რეიტინგები მკვეთრად სჭარბობს „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგს, ხოლო სააკაშვილი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბიძინა ივანიშვილს.**

**თქვენი აზრით, საზოგადოება ასე ცალსახადაა განწყობილი ორივე პოლიტიკური ფიგურის მიმართ?**

—არ გამოვრიცხავ, რომ ასე იყოს, რადგან პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი არათუ ნაციონალური მოძრაობის, არამედ მიხეილ სააკაშვილის რეიტინგსაც ბევრად სჭარბობს. პრეზიდენტმა თავის გუნდში დაკარგა უკვე ნდობა და საზოგადოება რომ არ ენდობოდეს, ამაში არც არაფერია გასაკვირი. ჩვენ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი უფრო მაღალი აღმოჩნდეს, ვიდრე ნაცმოძრაობის და კოალიცია „ქართული ოცნების“ რეიტინგები ერთად აღებული.

ივანიშვილის მიმართ ხალხში ნდობასთან ერთად, დიდი მოლოდინებია. „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით, რომლმაც ხალხს თავისი საქმეებით თავი უკვე დაამახსოვრა. კარგად თუ ცუდად, ეს სხვა ამბავია. და საერთოდ, როდესაც ჩვენ, „NDI“ ან IRI-ს რეიტინგებზე ვსაუბრობთ, რატომღაც მგონია, რომ ამ კვლევის შედეგებით, ამომრჩევლებზე მეტად, პოლიტიკოსები ინტერესდებიან. ეტყობა, ამ წლების მანძილზე ორივე ორგანიზაციის მიმართ რაღაც სტერეოტიპები ჩამოყალიბდა. ალბათ, პოლიტიკოსები ამ კვლევის შედეგებით ამომრჩევლებზე მეტად ამერიკის სრულიად კონკრეტული წრეების მათდამი მხარდაჭერის ხარისხს ზომავენ.

**— თქვენ „ქართული ოცნების“ მიმართ აშკარა სიმპათიებს გამოხატავთ.**

— რატომ ასე კატეგორიულად?! პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ყოველთვის დავუჭერ მხარს პროგრესს, ცვლილებას, რომელიც სიტუაციის გაჯანსაღებისკენ იქნება მიმართული. ჩემი აპოლიტიკურობა აქამდე იმით კი არ იყო განპირობებული რომ მე ინტერესი დავკარგე შეძლებისდაგვარად გამეკეთებინა რაიმე ჩემი ქვეყნის განვითარებისთვის, არამედ იმით, რომ არასოდეს მივიღებდი მონაწილეობას იმაში, რაც პრეზიდენტ სააკაშვილს დემოკრატიულობის ფასადის შექმნაში შეუწყობდა ხელს. დაინტერესებულმა ადამიანებმა კარგად იციან, რომ მე მიხეილ სააკაშვილს, თუნდაც "ვარდების რევოლუციამდეც" საჯაროდ ვუპირისპირდებოდი. როგორც ახლა, მაშინაც მიმაჩნდა - ის იყო დამანგრეველი ძალა. ბუნებით დამანგრეველ კაცს კი არ შეიძლება სახელმწიფოს საძირკვლის ჩაყრის დროს ქვეყნის მართვა მიანდო. მაგრამ მას შემდეგ იმდენი დრო გავიდა, თანაც ჩემგან, მითუმეტეს ამ კონტექსტში, ამაზე საუბარი ცოტა უხერხულიც შეიძლება იყოს.

**— ბევრისგან მოგვისმენია: ბიძინა ივანიშვილი კი არის პოლიტიკაში ახალი სახე, მაგრამ მის გარემოცვაში ძველი პოლიტიკური პერსონები სჭარბობენ. თქვენ წეღან თქვით, რომ მომხრე ხართ ყოველგვარი ახლის და პროგრესულის. ძველი პოლიტიკური ძალები ახალ პოლიტიკას შექმნიან?**

— დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო სია იქნება იმ ტიპის შანსი და გარღვევა ამ ქვეყნისთვის, როგორიც ბოლო 10 წელიწადია არ გვქონია. ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი შანსი სჭირდება, ერთი ამოსუნთქვა, რომ ხალხიც წელში გაიმართოს. დღეის მდგომარეობით, ამის გაკეთების პოლიტიკური რესურსი, ყველამ კარგად ვიცით, ვისაც აქვს. წარმატების მიღწევა კი მხოლოდ ამ გზით შეიძლება.

არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: არსებული პოლიტიკური ელიტის უდიდესმა უმრავლესობამ, პრაქტიკულად, ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ექვემდებარება როტაციას. არსებულ პოლიტიკურ ელიტას აღარ ძალუძს პოლიტიკურ პროცესებში სერიოზული ცვლილებების შეტანა... მათ აღარ შეუძლიათ რაიმე სიკეთე მოუტანონ საქართველოს სახელმწიფოს.




რაც შეეხება ახალ პოლიტიკურ ძალაში ძველი პოლიტიკური პერსონების სჭარბეს. გეთანხმებით, ეს არის ერთგვარი არგუმენტი. მაგრამ ჩვენც ყველაფერს ჩასაფრებული კაცის პოზიციებიდან ნუ განვიხილავთ. მიმაჩნია, კოალიციაში შემავალი პოლიტიკური სუბიექტები, ყველანი რაღაცის გამო იქნენ შერჩეულნი. ასე რომ, ჩემი აზრით, კოალიციაში ზოგი იმიტომ შეიყვანეს, რომ რაღაცის კეთება შეუძლია და ზოგიც იმიტომ, რომ არაფერი გაეფუჭებინათ, რაც პოლიტიკაში სულაც არ ნიშნავს ცოტა რამეს. დღემდე ეს ტაქტიკა, თუ ეს გათვლა იყო, ე.ი. ამართლებს.

ამ ყველაფრის ფონზე კი ივანიშვილი უკვე შედგა, როგორც პოლიტიკოსი. ჩემი აზრით, ეს თანდათან მისი საჯარო გამოსვლების ხარისხზეც აისახა! ხოლო მავანთა გაუთავებლი ქირქილი, ივანიშვილი არაა კარგი ორატორიო, მხოლოდ უსუსურთა და უგუნურთა არგუმენტად უნდა ჩავთვალოთ.

ერთხელ და სამუდამოდდ ჩვენს შეცდომებზე მაინც ვისწავლოთ რაღაც და სწორი დასკვნები გავაკეთოთ. ამიტომაც ვამბობ — დღეის მდგომარეობით, ჩვენ გვიწევს არჩევანის გაკეთება ერთის მხრივ, გულწრფელობას, პროგრესს, განახლებას, რომლის სიმბოლოდ პირობითად შეიძლება ბატონი ივანიშვილი განვიხილოთ და, მერეს მხრივ, „კარგად“ მოლაპარაკე, მაგრამ მატყუარა სააკაშვილს შორის, რომელიც სხვადასხვა ხრიკებით, მათ შორის "უკანა კარებიდან" შემოპარვის გზით ცდილობს დარჩეს ხელისუფლებაში და ამით საქართველოს განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის შანსი საბოლოოდ მოუსპოს.

**—„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალ ქართულ სახელმწიფოს სააკაშვილის და მისი მთავრობის სიტყვებს თუ გამოვიყენებთ, მუდმივი ბრძოლა უხდებოდა „ქვეყნის მოღალატე“ შიგა მტრებთან და გარე იმპერიულ აგრესიასთან რუსეთის სახით. ასეთი იყო და არის სახელმწიფოებრივი რიტორიკა დღესაც. თუ ფერხდებოდა ქვეყნის წინსვლა, სწორედ ამის გამო ფერხდებოდაო... აგვისტო მოდის, 8-ში იმ საშინელი ომის ოთხი წლისთავია...**

— სააკაშვილის მიერ შიდა მტრებთან გაჩაღებული ბრძოლა ისეთი საკითხია, რაც პოლიტიკური ანალიზის სფეროს სცდება და იგი მედიკოსების კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ეს დიაგნოზია და ამას ფსიქიატრიაში პარანოიას უწოდებენ.

რაც შეეხება საგარეო მტრებს. 2008 წლის 8 აგვისტოს ომი იყო უდიდესი ტრაგედია. სააკაშვილმა თავისი დაუფიქრებელი, აფექტური მოქმედებებით ხალხთა დაშორიშორებასა და აგრესიის პროვოცირებას შეუწყო რეგიონში ხელი. რაც მოხდა 2008 წელს, ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით. მისმა გაუაზრებელმა ქმედებებმა გამოიწვია დიდი უბედურება.

**— არჩევნები ახლოვდება, თქვენი აზრით, რას მოიმოქმედებს სააკაშვილი?**

— სააკაშვილმა, ისევე, როგორც მისი პოლიტიკური გუნდის უდიდესმა უმრალესობამ ამოწურა შესაძლებლობები. მათ სარგებლის მოტანა უკვე აღარ შეუძლიათ არც იმ ცალკეული გაერთიანებისთვისაც, ვის ინტერესებშიც შედიოდა მათი ხელისუფლებაში ყოფნა. სააკაშვილი უმნიშვნელო პაიკია, რომელსაც აღარ სცნობენ. უფრო მეტიც, მას არც მოლაპარაკების მაგიდასთან დაისვამენ. რადგან მან მოახერხა შეექმნა ისეთი კაცის იმიჯი, რომელთან საუბარსაც არა აქვს აზრი, რომელიც მიღებულ გადაწყვეტილებებს და შეთანხმებებს არასდროს ასრულებს.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ დღეს ეს არ არის მთავარი სალაპარაკო თემა, მაგრამ, რადგან ახალ რეალობაზე ვისაუბრეთ, ნება-უნებლიედ მივადექით ისევ რუსეთ-საქართველოს შორის ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკურ ჩიხს.

**— როგორ უნდა გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან?**

— ჩვენ ჩვენს საზოგადოებას მეტი სინათლე უნდა მივცეთ, მეტი სამოქალაქო გათვითცნობიერებულობა უნდა შევძინოთ. ნუ ვუმალავთ ხალხს თუნდაც იმას, რისი გაცხადებაც არც ერთ პოლიტიკურ ძალას ზიანს არ მოუტანს. ძალაუფლების მოპოვების, ისევე, როგორც მისი შენარჩუნების პროცესი საქართველოში



არის სერიოზული პრობლემა და ეს საზოგადოების არაინფორმირებულობაზე და სრულ დაბნელებაზეა ორიენტირებული.

რა გააკეთა სააკაშვილმა 8 აგვისტოს გაუაზრებელი პროვოკაციით? მან, ფაქტობრივად, გაშიფრა აშშ-ის პოლიტიკური ინტერესები რეგიონში, ღია და ცხადი გახადა ყველაფერი. რამდენიმე თვის წინ კონდოლიზა რაისმა თქვა: მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფო ასე ახლოს და პირისპირ არასდროს ყოფილა ერთმანეთთან ცივი ომის შემდეგ, როგორც ეს საქართველოში 2008 წლის ომის დროს იყოო.

**— სააკაშვილის რიტორიკაში თანდათან გაჩნდა ინიციატივები სახალხო დიპლომატიის ჩართვაზე კონფლიქტების მოგვარების კუთხით. რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

— სახალხო დიპლომატიაზე აგერ ხუთი დღის წინ დაიწყო ლაპარაკი სააკაშვილმა, მაშინ როცა ეს უკვე ძალიან დაგვიანებულია. არადა, სახალხო დიპლომატია უნდა ყოფილიყო ამ კონფლიქტში ერთ-ერთი მთავარი რგოლი. მას უნდა შეექმნა ახალი კონსტრუქციები ახალი ხიდებისთვის. მაგრამ ხომ კარგად ვხედავთ, როგორ ზარალდება საქართველო წლების განმავლობაში მისი გაუაზრებელი, უკონტექსტო განცხადებებითა და გადაწყვეტილებებით, ომობანას თამაშით, აბსოლუტურად უსუსური, სასაცილო სამხედრო რიტორიკით. დაგვიანებულია ახლა ეს ყველაფერი — ამ ურთიერთობების დალაგების შესაძლებლობა მხოლოდ ახალ ხელისუფლებას ექნება! სააკაშვილმა საომარი მოქმედებების დაწყების დღესვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები. როდესაც საკუთარი მოსახლეობა მძიმე არტილერიით დაბომბა. კარგად დავაკვირდეთ, მედვედევი მაშინ ახალი მოსული იყო და შიდა სიტუაციების ფორმალური დალაგებაც კი არ ჰქონდა დაწყებული. ამიტომ ერთგვარი "გაჩალიჩება" იყო ის, რაც სააკაშვილმა 8 აგვისტოს გააკეთა. ეს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პირადში გადატანას ნიშნავდა. რამაც, თავის მხრივ, დაძაბა და გააფუჭა ადამიანური დამოკიდებულებები. რა თქმა უნდა, შემდგომში ეს დადებითად არ აისახა ქვეყნებს შორის ურთიერთობებზეც.

**— არჩევნები გადაწყვეტს ბევრ რამეს, ანუ ამ არჩევნებით ჩვენ ჩვენი ქვეყნის ბედს ვწყვეტთ, ფაქტობრივად.**

— რა თქმა უნდა!

**— ახალ ქართულ პოლიტიკურ მმართველობას ენდობა „ძველი“ ამერიკული ან რუსული სახელმწიფო ელიტა?**

— თუ არავინ არ დაიწყო ერთმანეთთან ლაპარაკი, ურთიერთობები არ შეიქმნება. საქართველოს ხალხი ვისაც ნდობას გამოუცხადებს, იმას დაელაპარაკებიან ჩვენი მეგობრებიც და მეზობლებიც. ეს, დღევანდელისგან განსხვავებული, სულ სხვა რეალობა იქნება!

**— როგორ ფიქრობთ, ბატონო კობა, ქართველი ხალხი ამ არჩევნებზე სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და ბოლოს და ბოლოს მშვიდობიანად წავა სააკაშვილი?**

— ჯერ ერთი, მე დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს. მეორე, რაც შეეხება სააკაშვილს, მას არავინ არ ეკითხება წავა თუ დარჩება, ეს ჩვენი ამომრჩევლების გადასაწყვეტია და იგი ამას უნდა შეეგუოს.

სააკაშვილი წავა, აუცილებლად წავა! ოღონდ როგორ წავა, ეს მისი არჩევანიც იქნება. ეს იქნება გონიერი თუ უგუნური გადაწყვეტილება, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია.

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

*გვესაუბრება პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტ.საბჭოს წევრი **ირაკლი სესიაშვილი:***



# biZina ivaniSvili da koalicia `qarTuli ocneba~ kaxelebs gasaWirSi ar miatovebs

**— ირაკლი, სტიქიამ კახეთის რეგიონი მთლიანად გაანადგურა, რა ვითარებაა ამ ეტაპზე?**

— პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ კახეთში დატრიალებული ტრაგედიის უშუალო მონაწილე ვარ. თითქმის ორი თვეა თელავში ვცხოვრობ, „ქართული ოცნების“ კახეთის შტაბის უფროსი გახლავართ. ამ სტიქიის ეპიცენტრში მოვყევი, ჩემი თვალით ვნახე, რა ტრაგედიაც კახეთს დაატყდა. ძალიან გამიჭირდება, სიტყვებით გადმოვცე სტიქიის შედეგად მოსახლეობისადმი მიყენებული ტრამვა, ზარალი. კახეთს ასეთი რამ არ ახსოვს. ვითარება უკიდურესად მწვავეა, მოსახლეობამ სერიოზული ზარალი განიცადა. მოსახლეობის დიდი ნაწილი აბსოლუტურად უარაფროდ დარჩა, ზოგს სახლი აქვს ბანკში ჩადებული, კრედიტებით კი ნაკვეთები, ყანები, ვენახები აქვთ მოყვანილი და უცებ, ერთ ღამეში ეს ყველაფერი გაქრა. ხელისუფლებამ ეს მომენტი, მართლაც საკუთარი პიარისთვის გამოიყენა, მაგრამ მოსახლეობა პოლიტიკურ პროცესებში იმდენადაა გათვითცნობიერებული, რომ თუნდაც დახმარებას აღიქვამს არა როგორც ხელისუფლების მხრიდან მზრუნველობას და კეთილ ნებას, არამედ პოლიტიკური სიმწვავის შედეგს, რის გამოც ხელისუფლება იძულებულია ეს ნაბიჯები გადადგას. რომ არა ბიძინა ივანიშვილი და პოლიტიკურად აქტიური პერიოდი, მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება მათკენ არც კი გაიხედავდა. ამ ვითარებაში ხელისუფლებამ იცის, რომ თუ ხალხს არ დაეხმარა, იმ ძალიან დაბალ მხარდაჭერასაც დაკარგავს, რაც დღეის მდგომარეობით აქვს. თელავში მობილიზებულია პოლიცია, ჯარი, პრობაციის სამსახური, დასუფთავების სამსახური და ა.შ. ამ ადამიანებს თელაველების სახელით, მართლაც გულწრფელ მადლობას ვუხდი გაწეული დახმარებისთვის, მაგრამ, რაც შეეხება მოსახლეობის დახმარებას, ძალიან ბევრ ოჯახში ისინი არც კი მისულან.

**— აბა, რას აკეთებენ დაზარალებულ მხარეში ჩამოსული მაღალჩინოსნები?**

— თელავი გავსებულია ლენდკრუიზერის ჯიპებით, ამდენი ჯიპი, სიმართლე გითხრათ, ერთად არასოდეს მინახავს. თითო 70-80 ათასი დოლარი ღირს. მათ შორის, რესტორნების წინ დგას ამ ჯიპების საკმაოდ დიდი რიგი. პირდაპირ გეუბნებით, დილის 10 საათზე რომ ჩავედი (თელავში ჩასვლამდე „შუამთა“ უნდა გაიაროთ), მთელი სამთავრობო ჯიპები იქ იდგნენ.



**— კი, მაგრამ, ხალხის დასახმარებლად ჩამოვიდნენ თუ საქეიფოდ?**

— ჩვენი მაღალჩინოსნები იქ ფიზიკურ შრომას რომ არ გაწევენ, ალბათ ხვდებით, ხოლო სხვა, აბა, რა უნდა გააკეთონ?! რაც შეეხება შექმნილ ვითარებას, ვიმეორებ, მოსახლეობამ ძალიან სერიოზული ზარალი მიიღო. ხელისუფლება კი ისევ ფასადურ დახმარებას აპირებს.

**— ფასადურ დახმარებაში რას გულისხმობ?**

— ვთქვათ, ვისაც სახურავი აქვს დაზიანებული, შეკეთებას ჰპირდებიან. ზოგს მართლაც უკეთებენ, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა, ხელისუფლებამ ეს პიარად როგორ უნდა აქციოს?! როცა სტიქია, უბედურება ხდება, უნდა დაეხმარო საკუთარ ხალხს, სწორედ ამაში ვუხდით მათ ფულს და არა იმაში, რომ 10 ცალი ლენდ-კრუიზერი იყიდონ. მოსახლეობას ეხმარებიან 2 ლიტრი ზეთით, 5 კილო შაქრით, 5 კგ. მაკარონით. ეს, რა თქმა უნდა არასაკმარისია, მაგრამ კი, ბატონო, რაღაც დახმარება არის. მინდა გითხრათ, რომ თელავს დენი დღემდე არ მიეწოდება. თუმცა, ის ადამიანები ვინც იქ შრომას ეწევიან, პოლიციელები, ჯარი, ელექტრიკოსები და ა.შ. ნამდვილად დასაფასებელნი არიან. მათ სადაც კი შევხვდებოდი ყოველთვის პირადად მადლობას ვუხდიდი.

**— ირაკლი, რამდენად საკმარისია ის ფულადი დახმარება, რასაც ხელისუფლება სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას ჰპირდება?**

— მერაბიშვილმა თქვა: ვინც შედარებით ნაკლები ზიანი მიიღო, 300 ლარით დავეხმარებით, ხოლო ვინც ძალიან დაზარალდა 1500 ლარს მივცემთო. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა 1500 ლარი მხოლოდ 1000 კვ. მ-ზე დახარჯა, მათ ათასობით ჰექტრობით მიწები აქვთ და ზარალი 10 ათასობით მიიღეს. ფაქტობრივად, 1500 ლარი შესაძლოა, კრედიტის პროცენტისთვისაც კი არ ეყოთ. ხელისუფლება კი ეუბნება კრედიტის გადახდის ვადას 1 წლით გადაგივადებთო. შეხედეთ, რა ხდება? — ადამიანმა ერთ ღამეში ყველაფერი დაკარგა და ბუნებრივია, იგი ამ ვალის გადამხდელი არაა. მომავალ წელს არსებული ხეხილი, ვაზი და ა.შ. არათუ 80-პროცენტიან 50-პროცენტიან მოსავალსაც კი ვერ მისცემს მათ. ყველაფერი მიწასთანაა გასწორებული და სულ თავიდანაა ყველაფრის მოშენება დასაწყები. ერთი წლის შემდეგ როგორ უნდა დაფარონ ვალი, ეს ხომ ზღაპარია?! გამორიცხულია მოსახლეობამ რამეს გადახდა შეძლოს.

**— როგორც ცნობილია, მოსახლეობის დახმარებაზე ბიძინა ივანიშვილმა სრული მზადყოფნა გამოთქვა...**

— ბიძინა ივანიშვილს სურს მოსახლეობას დაეხმაროს არა მოჩვენებით, პიარულად, არამედ რეალურად, რათა ეს ადამიანები შიმშილის ზღვარზე არ აღმოჩნდნენ. სამწუხაროდ, მას არ აქვს სამართლებრივი საშუალება, რათა ამ ადამიანებს დახმარება უშუალოდ გაუწიოს, იმიტომ, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული დრაკონული კანონების თანახმად, ქვეყანაში სიკეთის გაკეთება იკრძალება, მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია პიარის კეთება. ამიტომ, ერთადერთი ფორმა, რაც იურიდიულად მოიძებნა, ისაა, რომ ივანიშვილმა ჯარიმა გადაიხადოს და იგი პირდაპირ უნდა წავიდეს იმ ფონდში, რომლიდანაც სტიქიით დაზარალებულთა უზრუნველყოფა ხდება. ივანიშვილმა 10 მილიონი უკვე გადარიცხა და კიდევ გადარიცხავს იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება ამ მოსახლეობის სრულად კომპესირებისთვის, რათა რაც მათ დაკარგეს იმის ანაზღაურება სრულად მოხდეს. „ქართული ოცნების“ შტაბები აღვრიცხავთ მოსახლეობისთვის მიყენებულ ზარალს, მუდმივ კონტროლს გავწევთ, რათა მოსახლეობის სრული კომპენსირება მოხდეს. იმიტომ, რომ ივანიშვილი იხდის ამ ფულს, იმისთვის, რომ ამ ადამიანებს სტიქიით მიყენებული ზარალი სრულად აუნაზღაურდეთ. სამომავლო რეაბილიტაციაშიც „ქართული ოცნება“ თავის წვლილს შეიტანს. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, არა მხოლოდ სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციას მოვახდენთ, არამედ პრევენციული ღონისძიებების გატარებას დავიწყებთ. მუდმივ კონტროლზე გვეყოლება ხელისუფლება, რათა კომპენსაციები სწორად გასცენ. ვინც ამ ხელისუფლების მიერ ყურადღების მიღმა დარჩება და დახმარებას ვერ მიიღებს, ვპირდებით მათ, რომ არ მივატოვებთ და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ყველაფერს გავუკეთებთ. ეს დავალება პირადად ბატონი ბიძინასგან მივიღეთ.

**— რამდენიმე დღის წინ ბატონმა ბიძინამ თავად მოინახულა დაზარალებული რეგიონი.**

— დიახ, მან მთელი კახეთი შემოიარა, ვიყავით თელავში, გურჯაანში, ლაგოდეხში, შევხვდით მოსახლეობას, მოვინახულეთ ყველა დაზარალებული ადგილი. ბატონი ბიძინა ძალიან შეწუხდა ამ ყველაფრის შემხედვარე. თუმცა, პირდაპირ გეტყვით, მიუხედავად იმ პიარ-კამპანიებისა, რასაც ხელისუფლება ეწევა (მოსახლეობა კი იძულებულია ეს მინიმალური დახმარება მიიღოს), ბიძინას გამოჩენით იგრძნობოდა, რომ ხალხს მისი იმედი ჰქონდა და არა ხელისუფლების. მოსახლეობამ აღნიშნა, რომ ივანიშვილის მოსვლა მათთვის უკვე რეალობას ნიშნავდა, იმედი გაუჩნდათ, რომ ნამდვილად მიიღებდნენ დახმარებას. ვიმეორებ, ხელისუფლების მხრიდან გაჟღერებული დახმარებები, უბრალოდ, სასაცილო და გაუგებარია. ხელისუფლება ამბობს, ვინც 100-პროცენტიანი ზარალი მიიღო 1500 ლარს მივცემთო. 100 პროცენტით შეიძლება დამიზიანდეს 10 კვ.მ. ნაკვეთი ან 20 ჰექტარი მიწა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ერთზეც და მეორეზეც ხომ კრედიტია აღებული?! ივანიშვილმა თქვა, რომ ყურძნის (რქაწითელი) ფასი, მინიმუმ, ლარი უნდა იყოსო და სუბსიდირება სახელმწიფომ უნდა მოახდინოსო, რათა გლეხმა მინიმუმ ლარი აიღოს. ხელისუფლება ჩვენს პროგრამებს და იდეებს მერე თვითონ აჟღერებს. გამოვიდა მერაბიშვილი და თქვა — ღვინო უნდა დაგირიგოთო.

**— პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თუ ვენახი არა, ყველა ოჯახში ღვინო უნდა იყოსო. რას გულისხმობენ ამაში, მოსახლეობას ღვინის სახით სრულად აუნაზღაურებენ დანაკარგს, რაც მათ ყურძნის მოსავლიდან უნდა მიეღოთ?**

— ესეც, რა თქმა უნდა, პიარის ნაწილია. ღვინის დარიგებას იმ მასშტაბებით კი არ აპირებენ, რაც მოსახლეობამ იზარალა, არამედ ახალ წელს თითო ჭიქა შესვითო. ალბათ, 3-4 ბოთლს დაურიგებენ. ნუ შეურაცხყოფენ კახელებს, ასეთ დაპირებას და პიარს სჯობს, პირში უთხრან ამ ადამიანებს, რომ მათთვის არაფრის გაკეთებას არ აპირებენ. ივანიშვილმა 10 მილიონი ხომ დაამატა, მაგრამ სად ჩანს ეს თანხა?!



**— ირაკლი, მართლაც როგორ გააკონტროლებთ ხელისუფლებამ ეს თანხები ნამდვილად მიმართა თუ არა მოსახლეობის დასახმარებლად?**

— მთელი საქართველოს მასშტაბით გვყავს მხარდამჭერები, რომლებიც შემოივლიან თითოეულ ოჯახს და აღწერენ — თუ რა ზარალი მიიღეს. ვისაც ჭერი ჩამოექცა, ავეჯი, ყველაფერი მოესპო, ხელისუფლება მხოლოდ ფასადს ულამაზებს, ჭერს უხურავს და მეტი არაფერი. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება მოსახლეობამდე სრულად მივიდეს დახმარება, თუ არა და მზად უნდა ვიყოთ, რომ ამ ადამიანებს თავად დავეხმაროთ.

**— ირაკლი, ხომ არ არის იმის საფრთხე, რომ „ქართული ოცნების“ აქტივისტებს, ხელისუფლების ზონდერებმა პროვოკაცია მოუწყონ, თუ დაინტერესდებიან მივიდა თუ არა ადრესატამდე დახმარება?**

— მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია, ჩვენ საკუთარი ხალხი გვაინტერესებს და არა ზონდერები. თუმცა, ამ ხელისუფლებიდან, რა თქმა უნდა, ყველა მხრიდან პროვოკაციაა მოსალოდნელი. დღეს ხელისუფლება არის იმ ვითარებაში, როდესაც საკუთარი სკამის გადასარჩენად ყველა უმსგავსობაზე, სიბინძურეზე მიდის. ივანიშვილთან ერთად კახეთის რეგიონებში რომ დავდიოდით, „რეალ-ტვ“-ის ჟურნალისტები „ნაც.მოძრაობას“ ატყობინებდნენ ჩვენი ადგილმდებარეობის შესახებ და ადგილობრივი ხელისუფლება ცისკარიშვილთან, დარჩიაშვილთან, ბალავაძესთან ერთად წამში იქ ჩნდებოდნენ. შემდეგ ხელისუფლების პროპაგანდისტულმა არხებმა გაავრცელეს, თითქოს ივანიშვილი იქ მიდიოდა, სადაც ხელისუფლება იყო. არადა, ჩვენ სწორედ ისეთი ადგილები მოვინახულეთ, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები საერთოდ არ ყოფილან. რა უბედურებაა ეს?! თუ მართლა ხალხზე არიან ორიენტირებულნი, გაიხადონ ის თეთრი პერანგები, ნუ შევლენ რესტორანში და რეალურად დაეხმარონ ხალხს. ესენი კიდევ ჩვენ დაგვხვდნენ, პროვოკაციებს გვიწყობდნენ და ჩვენს აქტივისტებს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ამას ხალხი ძალიან კარგად ხედავს. უფრო მეტიც, ერთი-ორი ადგილიდან, მოსახლეობამ „ნაციონალები“ ლანძღვა-გინებით გამოყარეს. ისინი მხოლოდ შემდეგ კითხვას სვამდნენ — რას შეგპირდათ ბიძინა? და არა იმას: რა გიჭირთ, როგორ დაგეხმაროთო.

**— ივანიშვილმა 10 მილიონი ჯარიმის სახით გადაიხადა, თუმცა ვინაა გარანტორი, რომ იქ გადარიცხული თანხა ნამდვილად დაზარალებულებამდე მიაღწევს?**

— ხელისუფლება, რომელიც ქვეყანაზე, მოსახლეობაზე ზრუნავს, განა არ უნდა მოვიდეს ივანიშვილთან მადლობის სათქმელად და არ უნდა უთხრას მას — აი, ამა და ამ მიმართულებით გვიჭირს და იქნებ დაგვეხმაროო?! კომპანია, „ელიტა-ბურჯი“, რომელიც ივანიშვილთანაა გაიგივებული უპრეცედენტო შესაძლებლობებს ფლობს სახლების გადახურვის, სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების კუთხით, რომელიც დღეს დაყადაღებულია, ბოქლომი ადევს. არადა, მთელი ეს ტექნიკა, წესით, დღეს კახეთში უნდა იყოს მობილიზებული. თუ მართლა ასე წუხს ხალხზე, ხომ შეუძლია ყადაღა მოგვიხსნან, ხალხისათვის დახმარების საშულება მოგვცენ, სულ ნუ ახსენებენ ბიძინა ივანიშვილს, თავად გამოიყენონ ეს ტრანსპორტი?! მაგრამ არ უნდათ ასე მოქცევა იმიტომ, რომ შიში აქვთ ეს ჩვენ პიარში არ ჩაგვეწეროს. ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია, გული მოგიკვდება კახეთის რაიონის შემხედვარეს. ამ დროს როგორ შეიძლება სიკეთის გამკეთებელს ამაში ხელი შეუშალო?! თუ მართლა ხალხი უყვართ, უნდა გამოვიდნენ და თქვან — მოდით, დროებით პიარ-კამპანიები შევწყვიტოთ, ყველამ ერთი მაისური ჩავიცვათ, მას საქართველო დავაწეროთ და განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა, ერთად დავდგეთ და დავეხმაროთ ხალხს. ეს არ ესმის ხელისუფლებას, იგი ყველგან მტერს ხედავს, სადაც თვითონ არ არის.

**თამარ შველიძე**

# saqarTvelos amJamindeli xelisufleba, faqtobrivad ruseTis xelisuflebis gagrZelebaa



გვესაუბრება მწერალი **მერაბ შათირიშვილი.**

**- ბატონო მერაბ, საქართველოს მოსახლეობა მართალია, ბიძინა ივანიშვილს ენდობა და მხარს უჭერს, მაგრამ არ მოწონს „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი ზოგიერთი მაჟორიტარობის კანდიდატი. არ მეთანხმებით, რომ ბატონმა ბიძინამ ამომრჩევლის აზრიც უნდა გაიზიაროს?**

- ჩემი პოზიცია ერთმნიშვნელოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ მაჟორიტარობის კანდიდატების მიმართ უკმაყოფილო დამოკიდებულების საფუძველი იმ ხალხისგან მოდის, ვისაც თავად სურდა მაჟორიტარობა, მაგრამ არ იქნენ კანდიდატებად მოაზრებულნი. ერთი სიტყვით, ეს პირად ამბიციებზე აგებული უკმაყოფილებაა. გორი იქნება, ხაშური, მარნეული თუ ხარაგაული, თუ იქაურებს არ მოწონთ ბიძინა ივანიშვილის დასახელებული დეპუტატობის კანდიდატი, ვინც მოწონთ, იმ ადამიანს მოუწოდონ, რომ იმ არმოწონებულ კანდიდატს დაუდგეს გვერდით და მინუსები ამით შეივსოს. დღეს არ არის იმაზე საუბრის დრო, მაინც და მაინც მე გავიმარჯვებდი, მე მყავს იქ დიდი ელექტორატიო. აქ არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც ყურადღებას არავინ აქცევს, ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობა ერთმნიშვნელოვნად მაინც ოპოზიციურ კანდიდატს მისცემს ხმას. ნაცმოძრაობის ელექტორატს ველარ გადმოიბირებ, მაგრამ ამა თუ იმ რაიონში განწესებული დეპუტატობის კანდიდატი თუ ვერ შეძლებს მოსახლეობის იმ ნაწილის შემობრუნებას, რომელსაც მე 30%-ს ვეძახი, ანუ მოუხმობელი რასაც ჰქვია, სწორედ კანდიდატობაზე პრეტენზიის მქონე პიროვნება და ხალხი უნდა დაუდგნენ მას გვერდით, რომ ეს ხალხი შემოაბრუნონ და გაამარჯვებინონ. მერწმუნეთ, ეს მარტო იმ კანდიდატის ან ბიძინა ივანიშვილის გამარჯვება კი არა, იმ იდეის გამარჯვებაა, რომელიც ყველა ჩვენგანის გულში იყო, მაგრამ ვერ ვახორციელებდით, რადგან ტერორის ქვეშ ვიყავით. საბედნიეროდ, უცებ გამოჩნდა კაცი თავისი ავტორიტეტითა და რესურსით, რომელმაც გვითხრა, თქვენს გვერდით ვდგები, ვებრძვი ამ ხელისუფლებას და გამომყევით ამ ბრძოლაშიო. მთელი მისი მოღვაწეობა და პოლიტიკაში შემოსვლა იმაზე მეტყველებს, რომ მან ქართველი ერის გულისთქმა გამოხატა. აქ მთავარი ისაა, რომ ბატონმა ბიძინამ სასწორზე დადო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა თავისი წარსული, მომავალი, ქველმოქმედებისგან შექმნილი რესურსი. როცა მიხვდები, რომ ამ კაცთანაა სიმართლე და ამ სიმართლეს გაყვები, შენს ადგილს იპოვი ამ ბრძოლაში. რა მნიშვნელობა აქვს, მაჟორიტარობის კანდიდატად დაგიძახებენ თუ არა, არც იმას აქვს დიდი მნიშვნელობა ვინ შევა პარლამენტში, მთავარია, სიმართლემ გაიმარჯვოს. ბიძინა ივანიშვილმა ქართულ ყოფასა და პოლიტიკაში გამეფებულ სიბნელეში იმედი შემოიტანა მის მიერ გადადგმული პრინციპული ნაბიჯებით, ამიტომაც ის, მარტო რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ალიანსის ლიდერად კი არა, სახალხო ლიდერად მოიაზრება.

**- იმის თქმა გინდათ, რომ არ გაგიკვირდათ და გული არ დაგწყდათ, როცა მაჟორიტარობის კანდიდატად არ დაგასახელეს?**

- რახან სოსო ჯაჭვლიანი და ლუკა კურტანიძე დასახელდნენ მაჟორიტარობის კანდიდატად და მე არა, ამას, ალბათ, იმიტომ მეკითხებით. ჩვენი სამეული ხომ იმ თავგანწირული მსვლელობით მაინც მოვიაზრებოდით ბიძინა ივანიშვილის ერთგულ ადამიანებად. ჩვენ ამ ქმედებით მარტო ბიძინა ივანიშვილს კი არ დავუჭირეთ მხარი, არამედ უსამართლობის წინააღმდეგ გავილაშქრეთ. მერე რა, რომ სოსო და ლუკა დაჭირდათ და დაუძახეს, მე კი არა, ამით არაფერი მომხდარა. თუ ავტორიტეტი გამაჩნია, ამას ისედაც გამოვიყენებ, სადაც მიცნობენ და პატივს მცემენ, იქ უფრო მეტს გავაკეთებ. ახლა დასავლეთ საქართველოში მივდივარ, გურიაში რაც შემეძლება გავაკეთებ, ფოთშიც ჩავალ, ჩემი წინაპრები იქ ცხოვრობდნენ, ნათესავები მყავს, მათაც ვნახავ და ვეტყვი, როგორ ილუპება ჩვენი ქვეყანა. ეკა ბესელიას ყველანაირად დავუდგები გვერდით, მისი გამარჯვება ჩემი გამარჯვებაცაა, რადგან ეს საერთო საქმის გამარჯვებაა.



**- ბატონო მერაბ, თქვენი აზრით, საგარეო ფაქტორი თუ იმოქმედებს და ამ შემთხვევაში, როგორ იმოქმედებს არჩევნებსა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე?**

- მართლაც არსებობს იმის საშიშროება, ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ისეთ მობილიზებას ახდენს, რომ „ნაცმოძრაობა“ არჩევნებში რომ დამარცხდეს, ის ამ დამარცხებას არ ცნობს და ძალას გამოიყენებს. თუ ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდებით შეეცდება არჩევნების მოგებას, პირადად მე სახლში ვერ დავჯდები და ვერ დაველოდები, სააკაშვილი როგორ წამართმევს ხმას, ქუჩაში აუცილებლად გამოვალ. ჩემსავით შეიძლება ათიათასობით ადამიანი გამოვიდეს და აქ უკვე, ბიძინა ივანიშვილი არაფერ შუაში იქნება. მარტო ის კი არა, ამ პროცესს ველარავინ გააკონტროლებს. სწორედ ამ უკონტროლობის შემთხვევაშია პროვოკაცია მოსალოდნელი, თვითონ ხელისუფლებისგან, ან სამაჩაბლოდან თუ შემოვიდა იარაღი, ვის დაურიგდება, კაციშვილი ვერ გაიგებს. შეიძლება, ეს ხელისუფლების გეგმაშიც ზის, ამ არეულობით შეიძლება მეზობელმა ქვეყანამაც ისარგებლოს, იმიტომ, რომ მას შეიძლება საშუალება მიეცეს, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩაუშესკუს გზას გაუყენოს. მეეჭვება, რუსეთმა ამ არეულობით არ ისარგებლოს, რადგან გამორიცხულია, 2015 წლის სოჭის ოლიმპიადის წინა ეტაპზე, 200-300 კილომეტრის რადიუსში, პუტინის ხელისუფლებას აწყობდეს მისი მლანძღავი ხელისუფლება, სააკაშვილის სახით. კი ამბობენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება, ფაქტობრივად რუსეთის ხელისუფლებაა, რასაც მართლაც აქვს საფუძველი, გავიხსენოთ „ვარდების რევოლუციისთვის“ მწვანე შუქი ანთება და მილოცვები, სტრატეგიული ობიექტების და მსხვილი ბიზნესის რუსეთისთვის ხელში ჩაგდება და ა.შ. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ამოიწურა. ნათქვამია, სალეჭ რეზინს როცა სასიამოვნო გემო გასდის, მას აგდებენო, რაც გამოსაცლელი და გამოსაწური იყო, ამ ხელისუფლების უგუნურობით, რუსეთმა საქართველოს უკვე გამოაცალა. არა მგონია, რუსეთს ძალაგამოცლილი და ავტორიტეტშელახული საქართველოს ხელისუფლება აწყობდეს, რადგან გაფარჩაკებული და უზნეობამდე ყველაფრის მკადრებელი ხელისუფლებისგან უფრო მეტი ცუდია მოსალოდნელი. ამიტომ ეს ცუდი რომ გამორიცხოს და კავკასიაში დაზღვეული იყოს, რუსეთს საქართველოში სტაბილური ხელისუფლება სჭირდება, რადგან კავკასიის სახე მაინც საქართველოა. ეს საშიშროება ნამდვილად არსებობს, მაგრამ ვიდრე განხორციელდებოდეს, მთავარი სიტყვა ქართველმა ხალხმა უნდა ვთქვათ. რუსეთი თუ ჩაერია ამ ხელისუფლების გასტუმრების საქმეში, ის ყველა შემთხვევაში, ვაჭრობას დაგვიწყებს, ხომ მოგაშორეთ ეს უვარგისი, უმსგავსი ხელისუფლებაო და ამ ვაჭრობაში შენელდება ჩვენი მოთხოვნილება აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე. ამიტომ ქართველებმა უნდა გადავჭრათ ჩვენი პრობლემები, ჩვენ უნდა ავირჩიოთ, რომელი გზით მივდივართ, სიმართლის თუ მრუდე გზით. ამის შემდეგ, რუსეთთანაც ღირსეულად ვილაპარაკებთ და დასავლეთთანაც, აღარ ვიქნებით ვილაცების თავში წამოსარტყმელი ერი, როგორც ახლა, პინგ-პონგის ბურთივით რომ გვათამაშებენ.

**მანანა სუხიშვილი**

---

gelaketaSvili:

# „ნაციონალებო“, დროზე მოდით ჭკუზე, თორემ დედა გეტირებათ!

**ინტერვიუ ცნობილ ფეხბურთელთან გელა კეტაშვილთან**

**— ბატონო გელა, დავიწყოთ იმით, რომ თქვენს მიერ დაარსებული „ქომაგი“ ხელისუფლებამ ამოქმედებამდე დააყადაღა.**

— რაც ამ ხელისუფლებამ გამიკეთა, ყველამ კარგად იცის. 30 მაისს დაფუძნებული ორგანიზაცია პირველ ივნისს დამიყადაღეს ნულოვანი ანგარიშებით და ჟარგონი რომ მოვიშველიო, შემომტენეს ჩარიცხული ორასი ათასი დოლარი, რომელიც, ფაქტობრივად, არ გვქონია. მოსამართლეებს, საქალაქოშიც და სააპელაციოშიც წარვუდგინე ჩემი სიმართლის დამადასტურებელი საბუთები. ორივე ყურებამდე გაწითლდა, მაგრამ გადაწყვეტილება სხვა მიიღეს — საბოლოოდ დამიყადაღეს ანგარიშები და ხუთი ათასი ლარითაც დამაჯარიმეს. ამ ხელისუფლების ვერაფერი გამიგია, რა უნდათ, გამოდიან, ხალხს ეუბნებიან ქვეყნის საქმეს ვაკეთებთო. სინამდვილეში სულ უკან მივდივართ, უფსკრულში ვიჩეხებით. ესენი უნდა გავყაროთ, ჩვენ ამას გავაკეთებთ, თუნდაც იმიტომ, რომ მე, როგორც პიროვნებას, რომელსაც რამდენადმე დამსახურებები მაქვს ერის წინაშე, მაქსიმალურად ვიბრძოლებ, რომ გავათავისუფლო ჩემი ქვეყანა ამ დამპყრობელი რეჟიმისგან.

**— თქვენ საუბრობთ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქომაგი-2“-ზე. რა მიზნით ჩამოაყალიბეთ ეს ორგანიზაცია?**




— მიზანი სპორტსმენების დახმარებაა. ასევე მსურს გამოვხატო პატივისცემა გულშემატკივრებისადმი, ხალხისადმი, რომლებიც წლების მანძილზე მხარს მიჭერდნენ, მამხნევებდნენ მოედანზე, ქუთაისის „ტორპედოდან“ მოყოლებული. დასამალი რა არის, უცხოეთში ბევრი მეგობარი მყავს, როგორც ყოფილი ფეხბურთელები, ასევე ბიზნესმენები, ჩვენი ემიგრანტები, რომლებმაც კარგად იციან ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა. საქველმოქმედო ორგანიზაციის დაარსების იდეა რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა. როდესაც ამ ხალხს გაუჩნდა შესაძლებლობა, დამირეკეს და მითხრეს — შენს გვერდით ვართო, მაგრამ, გიმეორებთ, ხელისუფლებამ ანგარიშები დაგვიყადაღა, იმიტომ, რომ მშიშრები არიან, ხალხის, ქართველი ადამიანების ეშინიათ, რადგან ესენი არაქართველები არიან.

**— ქველმოქმედება თქვენთვის ახალი არ არის. მსოფლიოში ერთადერთი ადამიანი ხართ, რომელმაც თავისი ოლიმპიური ოქროს მედალი სახელმწიფო ხაზინას აჩუქა...**

— თქვენ კარგად იცით, რომ ჩემი ოქროს მედალი 1992 წლის 30 ოქტომბერს ჩავაბარე. მეტი ძვირფასი ნივთი არაფერი მქონდა, არც ფული გამაჩნდა, ქვეყანაში კი ომი იყო. იარაღის, ტყვია-წამლის საყიდელი თანხები არ იყო. სამწუხაროდ, რამდენიმე ხნის შემდეგ ვიგებ, რომ ჩემი მედალი სარფის საბაჟოზე დააკავეს, ვიღაც ქალს მიჰქონდა თურქეთში გასაყიდად. მედალი იმიტომ ჩავაბარე, ვიმეორებ, ქვეყანას უჭირდა და რაში გამოიყენეს? დავკარგეთ



აფხაზეთი, სამაჩაბლო, მივაყოლეთ კოდორი, ქსნის ხეობა, მედალს იმიტომ ვითხოვ, იმ მიზნით არ გამოიყენეს, რისთვისაც ჩავაბარე. ვიღაც ნაძირლები მეუბნებიან — შენს მედალს ვერც ნახავ და ვერც მიიღებო, მაგათი განკითხვის დღეც მალე დადგება. რადგან აფხაზეთი ვახსენე, იმასაც გეტყვით, რომ მეც მივდიოდი აფხაზეთში საომრად, რიგით ჯარისკაცად. თვითმფრინავშიც ვიჯექი უკვე. გია ყარყარაშვილს აცნობეს: გელა კეტაშვილი მოდისო. მისი ბრძანებით ჩამომსვეს თვითმფრინავიდან. საუბედუროდ, ის თვითმფრინავი ააფეთქეს... გიასთან სიცოცხლით ვარ დავალებული.

**— გელა, სამწუხაროდ გახშირდა მოქმედი თუ ვეტერანი სპორტსმენების ზონდერებად გამოყენება. როგორ უყურებთ ამ ფაქტს?**

— დაბადების დღე 27 სექტემბერს მაქვს, მაგრამ ვწყევლი ამ დღეს, რადგან 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი. რა ნამუსით მიდის ეს ხალხი ასეთ ბინძურ საქმეზე, ვერ გამიგია. ხალხო, ოჯახები არ გაქვთ? სისხლი არ გაქვთ? მოვა თქვენი განკითხვის დღეც. ჯობია დროზე მოდით ჭკუაზე, თორემ დედა გეტირებათ! მე ამას ვაცხადებ ხმამაღლა, ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი და გიმეორებთ, ხალხის სიყვარულით ჩამოვაყალიბე საქველმოქმედო ორგანიზაცია. ის ნაძირლები, რომლებიც ხელს აღმართავენ ხალხზე, ყველას შევიცნობ სახეზე. გინდათ მუქარად ჩათვალონ, გინდაც კაცურად ნათქვამში, მსგავსი ქმედებები ძვირად დაუჯდებათ. ერზე ხელის აღმართვა არავის შერჩენია და არც შერჩება.

ვინც ამათ აზრს არ ითვალისწინებს, ყველა ჩარეცხილები ვართ, სამშობლოს და ერის მოღალატეები. თუმცა პირველი სამშობლოს მოღალატეები ესენი არიან! ამათი სახით საქართველოს სატანები შემოესივნენ.

**გია ბურდული**

# Cven mcxeTis saxinkleSi visxdeT da miSa sxvam gadaagdos, aseTi ramar moxdeba

***გვესაუბრება ფილოსოფოსი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი:***

**— ლელა, როგორ შეაფასებთ დღესდღეობით ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. როგორ ფიქრობთ, რა შედეგს მოიტანს სახელისუფლებო და ბიძინა ივანიშვილის გუნდის დაპირისპირება?**

— შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 20 წელია შემდეგი სიტუაცია გვაქვს — კონკრეტულ პირს 98 პროცენტიან მხარდაჭერას ვუცხადებთ და სამ-ოთხ წელიწადში იმავე პროტენციით მისი მოწინააღმდეგე ვხდებით. იმ მომენტში, როდესაც ჩვენი რჩეულის მოწინააღმდეგე ვართ, ჩნდება ვიღაც ძალა, რომელიც გვეუბნება — ნუ გეშინიათ, თქვენ წყნარად ისხედით სახლებში, ყველაზე დიდი რაც გევალებათ საარჩევნო ყუთთან მისვლა და ჩემთვის ხმის მოცემაა, დანარჩენს თავად მივხედავო. აი, ასეთ მდგომარეობაში ვართ. რატომღაც ვერ მივდივართ მარტივ დასკვნამდე — როდესაც მხოლოდ ორი ძალის ურთიერთდაპირისპირებაა, არ არსებობს არჩევანის თავისუფლება, ანუ არჩევნებში პარტიათა მრავალფეროვნება არ გვაქვს, სწორედ ეს სიტუაცია ქმნის მდგომარეობას, რაშიც დღეს ვიმყოფებით. ჩემს გარშემო ბევრი ადამიანია, ვინც აცნობიერებს, რომ მხოლოდ შავი და თეთრი თავისთავად გამოუვალ სიტუაციას ქმნის და საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებისთვის ყოვლად უსარგებლოა. თუმცა, არსებობენ ე.წ. „შუაშისტები“, რომლებიც ორ სკამზე სხედან და ეს მოქილიკე ადამიანები პრინციპულ მომენტში ხელისუფლებას უჭერენ მხარს. რა თქმა უნდა, ეს სისულელეა იმიტომ, რომ საბედნიეროდ, საქართველოში არის სიტუაცია, როდესაც მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი „მემარჯვენეებს“, ზოგი „ქრისტიან-დემოკრატებს“, ზოგი „ლეიბორისტებს“, ზოგიც „ნაციონალებს“ უჭერს მხარს, მაგრამ „ნაციონალების“ შემთხვევაში საქმე მხარდაჭერასთან კი არა, არამედ სულ სხვა რამესთან გვაქვს — ზოგი ადამიანი სიცოცხლით, ზოგი შემოსავლით, ზოგი შვილის ბედითაა დამოკიდებული მათზე და ა.შ. ანუ ეს სულ სხვა, იძულებითი მოწონებაა. საქართველოში, ჯერჯერობით არ გვაქვს სიტუაცია, როდესაც რომელიმე პოლიტიკურ ძალას ან პოლიტიკოს მისი შეხედულებების, იდეების, ღირებულებების გამო დავუჭერთ მხარს. ვფიქრობ სიტუაციის წაყვანა ისევ იმ მდგომარეობამდე, რომელშიც 2003 წელს აღმოვჩნდით, უბრალოდ სიბნელეა.





**— ლელა, თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ მხოლოდ თეთრის და შავის არსებობა პოლიტიკაში დამღუპველია და სხვა ფერების შემოტანაა საჭირო?**

— დიახ, ეს ფერები რომც არ იყოს, ჩვენ უნდა გამოვიგონოთ, თუნდაც ხელოვნურად შევქმნათ იმიტომ, რომ ასეთი რადიკალიზაცია — ეს შავია, მაგრამ აგერ მე ვარ თეთრი, დაუშვებელია. თანაც ამას ისეთი ადამიანები გვეუბნებიან, ვინც გამოვცადეთ, ვისაც უკვე 20 წელია ვაკვირდებით, ათასნაირ „ბლოკებში“ გვინახავს და უცებ კრავის გამომეტყველებით გვიმტკიცებენ თეთრი ვართო, ეს დამღუპველია. ძალების ასეთი პოლარიზება განწირულია იმისთვის, რაშიც დღეს ვცხოვრობთ.

**— აბსოლუტური უმრავლესობით მოსვლამ შეიძლება ისევ რევოლუციის ხანაში დაგვაბრუნოს?**

— რა თქმა უნდა. ძალადობას სჯობს კონკურენტს ჭკუით დაუპირისპირდე. ეს შესაძლებელია, უბრალოდ ბევრად მეტ შრომას მოითხოვს, ვიდრე რევოლუცია. რად უნდა მილიონები იმას, რომ პოლიტიკური პარტიის წევრები საქართველოს ცხრა რეგიონში ჩავიდნენ?! პოლიტიკური სიზარმაცე და გათვლა იმაზე, რომ ამომრჩეველი არა მიიმხრო, არამედ ათასგვარი პიარდაპირებებით გამოაშტერო, წარმოუდგენელია, ამ დროს ელემენტარულად ამომრჩეველს არ სცემ პატივს. მაგრამ საბედნიეროდ, დღეს ადამიანებს დასკვნები ბევრად უკეთესად გამოაქვთ, ვიდრე ეს პოლიტიკოსებს წარმოუდგენიათ.

**— როგორ ხედავთ საზოგადოების როლს ამ პროცესებში? ხშირად მსმენია საყვედურები, რომ ჩვენ საზოგადოება არ გვყავს.**

— ამ მოსაზრების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. საზოგადოება რომ არ გვყავდეს, ჩვენთან ახლა 30-იანი წლები იქნებოდა. ზუსტად იმ სახით, რაც მაშინ იყო. 20-30-იან წლებში და კიდევ უფრო ბევრად ადრე დაიწყო საბჭოთა კავშირში ეს რეპრესიები. მაშინ საბჭოთა ხალხი თხრილში ვიყავით ჩაყრილები და ვისაც რა უნდოდა იმას გვიკეთებდნენ. ახლა ასე აღარაა, სამყარო გახსნილია, ინფორმაციები ყველა მიმართულებით მიჟონავს. ამიტომ რეპრესიები და ბოლშევიზმი უკვე შეუძლებელია. უბრალოდ, ხელისუფლებათა უმრავლესობა ვერ ხვდება, რომ ბოლშევიზმი აბსოლუტურად გამორიცხულია. მათთვის არსებობს ბოლშევიკური მანერა, სურვილები და ვნებები, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ საზოგადოება რეზისტენტული არ არის. გავიხსენოთ, საქართველოში გამოთქმული პროტესტები, ადამიანები დიდი საშიშროების მიუხედავად პროტესტის გამოსახატად გამოდიოდნენ და ეწირებოდნენ ამას. საქართველოში 30-იან წლებშიც კი არსებობდა სამოქალაქო საზოგადოება და სწორედ ამიტომ იყო ამდენი მსხვერპლი. საზოგადოება რომ არ ყოფილიყო, არც ამდენი „დანოსების“ წერა იქნებოდა საჭირო. ასეთი რეპრესიული მანქანა სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ გვყავდა საზოგადოება, რომელიც წინააღმდეგობას სწევდა. საქართველოში ეს ყოველთვის იქნება. როგორც სჩანს, როგორც ბავშვობაში, ახლაც სახადების გარკვეული რიგი უნდა გავიაროთ. თუ არჩევნები გაყალბდა, ნებისმიერ რეგიონში, სადაც მოსახლეობამ იცის, რომ 20 ადამიანმა მისცა ხმა და ამ დროს ორს გიცხადებენ — ეს აუცილებლად უნდა გაპროტესტდეს. პროტესტი უნდა იყოს, ოღონდ ამის გადაზრდა ისეთ ფორმებში, რომ ამით ვიღაცამ ისარგებლოს, დაუშვებელია. ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე უნდა მოვიხადოთ სამოქალაქო ვალი, თუნდაც უბანზე დამკვირვებლად წავიდეთ.

რეალისტურ რაღაცებზე გათვლაა საჭირო. სხვა შემთხვევაში გამოდის, რომ ხალხისგან რევოლუციას ითხოვ. დარწმუნებული ვარ, ხალხი რევოლუციას აღარ მოახდენს, ამას არავის გამო აღარ გააკეთებს. იმიტომ, რომ ჩვენ ვიხილეთ რევოლუციები, პროტესტებიც, მაგრამ შედეგად პატიმრები პატიმრებს დაემატა. ის ვინც პატიმრის მხარდასაჭერად გამოდიოდა, ახლა თავად აგდია ციხეში უპატრონოდ. ამ ფონზე, ძალიან რთულია ადამიანს გმირობა მოთხოვო.

**— ოპოზიცია გვარწმუნებს, აშშ-მ მიშას თითი დაუქნია და იგი დემოკრატიულ არჩევნებს ჩაატარებს, სხვა გზა არ აქვსო. რეალურად, რამდენად შეიძლება გვქონდეს მოლოდინი, რომ ისინი მხარს ხელისუფლებას კი არა ხალხს დაუჭერენ?**

— ჩვენ სხვა ტიპის დიპლომატიის მანერას ვართ მიჩვეული — ჩამოვიდოდა ვიღაც „ნამესტნიკი“ რუსეთიდან, ყურს აგვიწევდა, ასევე პარტიის მაღალჩინოსანი პოლიტბიუროდან აგვიწევდა ყურს ან დედას შეგვაგინებდა. დასავლური დიპლომატია აბსოლუტურად სხვა ფენომენია, იგი დედას არასოდეს შეგაგინებს. ამ დიპლომატიის ენაში ყველაფერი



გათვლილია, მაგრამ არის პრინციპები, რომელზეც დასავლეთი უარს არასდროს იტყვის, ესაა ადამიანის უფლებები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, საქართველოს დამოუკიდებლობა. ვერ ნახავთ ევროპელი დიპლომატების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ვერცერთ დოკუმენტს, რომელიც საქართველოს მიმართაა გამოცემული, სადაც ხაზგასმული არაა — საქართველოს სუვერენიტეტი. აშშ როგორც ქვეყანა და სხვა ქვეყნებიც მხარს უჭერენ არა მიშა სააკაშვილს, არა ბიძინა ივანიშვილს, არა ჯონდი ბაღათურიას, არამედ დემოკრატიას საქართველოში, რომელიც ჩვენი გასაკეთებელია. ხალხის ხელისუფლება ნიშნავს, იმას, რომ რაც ქვეყანაში ხდება ამაზე პასუხისმგებლობა ჩვენ უნდა ავიღოთ. იმის მოლოდინი, თითქოს ჯონ ბასი გამოვა და მიშას გადააგდებს, ასევე დაჯერება იმისა, რომ 2003 წელს შევარდნაძე ამერიკელებმა გადააგდეს, ეს სასაცილოა. კარგი იქნება თუ დიპლომატები გამოვლენ და დაგმობენ ძალადობას, ხელისუფლებას მოუწოდებენ არჩევნები ჩაატარონ. „Must carry“-ს პრინციპი ხელისუფლებაში თავისით რომ არავის მოუვიდოდა თავში, ეს ხომ ცხადია. ეს არის პრესინგი დასავლეთიდან, რისი შესაძლებლობაც არის დასავლური დიპლომატიიდან გამომდინარე, მაგრამ ის, რომ ჩვენ მცხეთის სახინკლეში ვისხდეთ და მიშა სხვამ გადააგდოს, ასეთი რამ არ მოხდება.

**— აქედან გამომდინარე, ამერიკელს ალბათ ნაკლებად აღელვებს, რა იქნება ჩვენს ქვეყანაში, მთავარია თავად ჩვენ არ შევეგუოთ აქ არსებულ ვითარებას...**

— რა თქმა უნდა, ამერიკელს აინტერესებს რა ხდება მის ქვეყანაში, რატომ უნდა აინტერესებდეს ეს განსაკუთრებულად საქართველოში? — ერთ-ერთი რამის გამო — დასავლური ცივილიზაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ფუნდამენტალური ღირებულებები, რაზეც ცივილიზაცია დგას რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიზიაროს. მითუმეტეს, რომ ქართული კულტურა არასოდეს ყოფილა ევროპულს დაშორებული. ამიტომ, უბრალოდ, ამ რეალობაში დაბრუნება მოგვიწევს.

**— მაგრამ განა ხალხმა ხელისუფლებას თავისი პროტესტი არ უნდა დაუფიქსიროს, არ უნდა უთხრას, რომ გეყოფათ, მეტი უმსგავსობის ჩადენის უფლებას აღარ მოგცემთო?**

— მაინც მგონია, რომ ეს იმდენად რაოდენობით არ კეთდება, რამდენადაც ხარისხით. მაგალითად, თუ მოქალაქეობის არმინიჭების თაობაზე მხოლოდ იმ წამს ვისაუბრებდით და მერე შეწყდებოდა, აი ეს იქნებოდა საშიში მოვლენა. ამ საკითხზე მსჯელობა არ წყდება, ეს თემა არ არის საზოგადოებაში მივიწყებული, პირიქით აქტუალურია და სწორედ ესაა მთავარი. ამიტომ ამ კუთხით პერსპექტივას ვხედავ, სხვა საკითხია ეს არჩევნებამდე მოესწრება თუ არა. მაგრამ ჩემი აზრით, არც ესაა ტრაგედია, არჩევნებში ივანიშვილის გუნდის სხვა წევრი შეიძლება გახდეს ლიდერი და ამ ძალამ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

**— მაგრამ სანამ ჩვენ დაპირებებს ვისმენთ, ხელისუფლების სკამს დაპატრონებულმა გველეშაპმა, შეიძლება თავ-ფეხიანად გადაგვსანსლოს.**

— ხელისუფლება გველეშაპივით კი იქცევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წინააღმდეგობა არ არის, ან მომავალში არ იქნება. ვიმეორებ, რაც უფრო მეტი სხვადასხვა პოლიტიკური ძალა ინტეგრირდება ხელისუფლებაში, მით ნაკლები იქნება ხელისუფლების გველეშაპიზაციის საშიშროება. სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მოსვლა ხელისუფლებაში შექმნის გარკვეულ გარანტიებს. დემოკრატია პროცესია და ისე ვერ მოხდება რომ 2013 წელში ეს პრობლემა დასრულდეს და მერე არაფრის გაკეთება აღარ დაგვჭირდეს. ეს დემოკრატიის შენების მარადიული პროცესია.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# daCexili saqarTvelo

ისევე, როგორც, ალბათ, თქვენ, მეც ხშირად ვფიქრობ, რა სჭირს ასეთი საქართველოს, ამ სიდუხჭირიდან რომ ვერ გამოვიდა და უბედურება უბედურებას რომ მოსდევს-მეთქი?

ახლა უკვე საიქიოსკენ მომზირალ ედუარდ შევარდნაძეს, რომლის ავანტიურისტულ და პატივმოყვარულ მისწრაფებათა უკიდეგანო უფსკრულში საქართველოს გულისთვის მებრძოლი ქართველი ბიჭების ძვალი და ხორცი ჩაიხერგა, მიკვირს, როგორ ეკიდა საბჭოთა სოციალისტურ ჯურღმულებში ნაწოწიალებ ფეხებზე მთელი ქვეყანა და როცა დუქმომდგარი მიადგა საakაშვილი პარლამენტის დარბაზს, ჟურნალისტის კითხვაზე: ვის უტოვებთ მმართველობასო — ეს ჩემი საქმე აღარაა, შინ მივდივარო, თქვა და ამით ძალაუფლება მიხეილ სააკაშვილს და მის არანორმალურ ხროვას აბსოლუტურად გულგრილად გადასცა...

პირველი, რაც სააკაშვილმა და მისმა უტიფართა ჯგუფმა ჩაიდინა, წიხლით შეამტვრიეს სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის შენობის კარი და მაიმუნებივით დაიწყეს ხტუნვა-ჭყივილი მაგიდებსა და სკამებზე. მილეწ-მოლეწეს ყველაფერი. შევარდნაძის სავარძელი ფრიალ-ფრიალით გადმოაგდეს დაბლა აჟივჟივებული და მოტყუებული ხალხის ბრბოსკენ. ეს იყო პირველი ყველაზე დიდი ძალადობა სამოქალაქო ომგამოვლილ, დაზაფრულ საქართველოზე...





დემოკრატიის სახელით აგრესიულმა ტირანიამ დაიდგა ტახტი 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში...

ზედმეტად პათეტიკურად რომ არ მოგეჩვენოთ ეს შეფასება და ზოგიერთი პრაგმატიკოსის გულისწყრომა რომ არ დავიმსახუროთ, მოდით, მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვეთ.

პრაგმატულობა ხშირად კარგი რამ არის, და არც „ჩვენი მაღალი" გამოირჩეოდა არასდროს განსაკუთრებული სომნაბულურობით. მისი „პოლიტიკაც" სულიერებისგან საკმაოდ შორს იდგა ყოველთვის და მთავარი ფასეულობა — ადამიანი, მხოლოდ „მასოვკის", გამწევი ძალის მნიშვნელობის მატარებელი იყო...

„სულის მოთქმის" შემდეგ უკვე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმ პარლამენტის ტრიბუნიდან, რომელზეც შევარდნაძეს ცივი ჩაი დაულეველი დარჩა, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს: „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!"

2004 წლის 12 მარტს პირველი დიდი „გმირობა" ჩაიდინა სახელმწიფო გადატრიალების შემოქმედმა ხელისუფლებამ. გიგა ბოკერია, გიორგი ბარამიძე, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი წინ წარუძღვა სპეცრაზმის სამხიდიან სატვირთოებს, შელეწეს გლდანის მართლმადიდებლური ტაძრის კარი და მღვდელი და მრევლი იქიდან გამოათრიეს. ნიღბიანი სპეცრაზმელები გულის წასვლამდე სცემდნენ მორწმუნე ქალებს, წიხლებს ურტყამდნენ მამაკაცებს... „ცოდვის კითხვა" ტრიალებდა მაშინ გლდანის ეკლესიაში, სისხლის და მოთქმა-გოდების ფონზე კი ბარამიძემ მშვიდი სახით მისცა კომენტარი „რუსთავი-2".

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ მწერლებს დაერია ახალი ხელისუფლება. კინწისკვრით გამოაგდო ისინი მწერალთა კავშირის შენობიდან და შენობის მითვისებაზე ხმამაღალი ლაპარაკი დაიწყო. მოვლენების ასეთი სპონტანური და გაუთვალისწინებელი განვითარებით ისე იყო დაბნეული საზოგადოება, რომ მაშინ ბევრმა ვერც შეიტყო, რა მოხდა ნავთლუღში, სამგორის მეტროს ახლო ტერიტორიაზე.

**სააპატრულო პოლიციის სპეციალურმა რაზმმა, რომელსაც შსს დღევანდელი მინისტრი ედგა სათავეში დაჩოქილი მიბჯენით 16-და 18 წლის სამი აჭარელი ახალგაზრდა მოკლა,**

ვითომ ციხის ბუნტის მოწყობის ორგანიზატორობის ეჭვით. 10 დღის განმავლობაში არავინ იცოდა, სად იყო ეს სამი უბედური ყმაწვილი, რომელთა სისხლი ბაზრის ძაღლებმა ალოკეს ნავთლუღში. თბილისში, სადაც პირველად იყვნენ აჭარის მაღალმთიანეთიდან ჩამოსული. ისინი სტიქიით დაზარალებულ ეკომიგრანტ თანასოფლელებთან მიდიოდნენ გარდაბანში სტუმრად.

ბევრი დრო არ გასულა, რაც სააკაშვილმა ძალით დაიპყრო საქართველოს ხელისუფლება და ახლა აჭარა იყო დასაპყრობი. ისე, როგორც საქართველოზე, აჭარაზეც აცხადებდა სააკაშვილი — აჭარა გასათავისუფლებელიაო. იგი ბათუმს მიადგა. ააფეთქა ჩოლოქის ხიდი. როგორც სჩვეოდა, იავარჰყო ბათუმის მთავრობა, ასლან აბაშიძე ქვეყნიდან გააძევა და მისი და აჭარის ქონება თვითონ და მისი ბანდის წევრებმა გადაინაწილეს, რათა შემდეგ მთელი აჭარა და სავარაუდოდ, გურიის ნაწილიც თურქებისთვის გადაეცათ სათარეშოდ, სანჯაყად...



**გია კრიალაშვილი - მოკლეს თბილისში, გლდანში (თიანეთის გზატკეცილი) სპეცოპერაციისას.**



**როინ შავაძე - ოფიციალური ვერსიით, მოკლეს გაქცევის მცდელობისას ქობულეთში, ქაქუთის საავტომობილო გზაზე, სასტიკად ნაწამებია**

მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. იქმნებოდა ოპოზიციური ჯგუფები ისე, როგორც დემოკრატიის პირობებში არის შესაძლებელი, მაგრამ ევროპელი „თანამოძმეების" მიერ მონათლული „ვარსკვლავთბიჭუნა", „დემოკრატიის შუქურა" ვერაფერს იტანდა ალტერნატიულს, საწინააღმდეგოს, იმ ხანებში აღმოცენებულ ოპოზიციურ პარტია „სამართლიანობას" ერთ მშვენიერ დღეს თავს დაეცა პროკურატურა, კონფისკაცია გაუკეთა პარტიის ქონებას და რუსეთის აგენტობის და სახელმწიფო გადატრიალების (!) ბრალდებით 14 პირი ათეული წლებით ციხეში გამოკეტა. ბრალდებულთაგან ზოგი დღესაც იხდის სასჯელს, მათ შორის სამი მცირეწლოვანი შვილის დედაც. ამ ჯგუფში იყო მაშინ ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტ-კრიმინალისტი, ადვოკატი მაია ნიკოლეიშვილი. იგი შვილების წამებით სიკვდილის მუქარით ისე შეაშინეს, რომ ოპოზიციონერობაზე ფიქრი კი არა, ეს ნიჭიერი ქალბატონი საერთოდ ჩამოაცილეს საზოგადოებას და სრულ ასკეტიზმსა და იზოლაციაში ამყოფებენ...

საქართველო ნელ-ნელა „აზრზე მოდიოდა".

საპროტესტო გამოსვლები უფრო და უფრო პერმანენტული ხდებოდა. გამოსვლებმა კულმინაციას 2007 წლის ნოემბრის დღეებში მიაღწია. სააკაშვილის სისხლიან მმართველობას საფრთხე დაემუქრა. მთავრობის სახლის წინ ათასობით მომიტინგე მიხეილ სააკაშვილის გადადგომას ითხოვდა. მაშინ ამბობდნენ, ე.წ. „ვარდების რევოლუციის" დროს ამის მეოთხედი ხალხიც კი არ იდგა ქუჩაშიო. რეფორმებად წოდებულმა ახალმა ტირანულმა მმართველობამ ნორმალური ცხოვრების საშუალება წაართვა ხალხს და როგორც შემდეგ ნაციონალებს დაარქვეს — „ოკეანედალეულების" მიერ ათვალწუნებული ვითომდა მახინჯი, ძველი ცხოვრების წესის ამოძირკვა ისე დაიწყეს, თითქოს სატანისტი ექიმი ნარკოზის გარეშე აკეთებდეს გულის ან ღვიძლის ოპერაციას და ამის გამო თვითკმაყოფილების ჟრუანტელით ნირვანაში იყოს. ასე იყვნენ ნაციონალი ახალგაზრდები.

7 ნოემბერს ახალგაზრდა მმართველებს ნერვებმა უმტყუნეს. სპეცრაზმი, რომელიც ვანო მერაბიშვილის, მაშინდელი შს მინისტრის დაქვემდებარებაში იყო, რეზინის ტყვიებით, ხელკეტებით, მომწამვლელი გაზებით და წყლის ნაკადით შეიარაღებული დაერია მომიტინგეებს. სისხლი და ცრემლი ერთმანეთში ირეოდა, დაჩეხილ-დალეწილი სხეულებით იყო მოფენილი რუსთაველის გამზირი... მომიტინგეებმა რიყეზე გადაინაცვლეს. იქაც ჩაჰყვა „ხალხზე მზრუნველი" ხელისუფლება თავის ხალხს, კვლავ გაიმართა არაადამიანური ცემა, დევნა, შეურაცხყოფა...

ეს იყო საარაკო ამბავი...

იმ დღეს დაშავებულები დღესაც დაინვალიდებულნი არიან...

საქართველოს „საკუთარი" ხელისუფლებისგან მიყენებული ჭრილობები ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული, სააკაშვილი ახალ ავანტიურას გეგმავდა...

* * *

2008 წლის ივლისის ბოლოს ყოფილი „ზაკვოს" შენობაში შესახლებულ დევნილებს შევხვდი. მათგან ზოგი აფხაზეთიდან დევნილი იყო, და ზოგი, წარმოიდგინეთ, უკვე სამაჩაბლოდან. ოსთა ძალმომრეობას კანტიკუნტად გამოქცეოდნენ. ერთი ხანშიშესული მამაკაცი ჩავწერე. დიმიტრი ერქვა, ულუმბეგაშვილი იყო გვარად. მიხარია, შვილოო, — მითხრა. სააკაშვილი ცხინვალის ასაღებად ემზადება. ბიჭებმა ამბავი მოიტანეს — მანქანებით სამხედროები იქით მიდიან, დროშები მიაქვთ. გორში გაჩერდნენ თურმე, ჯერ იქ დგანან და ნიშანს ელოდებიან, აი, მაშინ კი დავბრუნდები სახლში. ყანა და ვენახი ახლა, ვინ იცის, რა სანახავი იქნებაო.

2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში შეჭრილმა ქართულმა ჯარმა სასტიკი მარცხი განიცადა. უამრავი ქართველი შეეწირა ამ უაზრო ომს, დახოცილთა ცხედრებს სანამ ბუზი და მატლი არ დაეხვია და მათი დასაფლავების საქმეში პატრიარქი არ ჩაერია, მანამდე სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ვერ მოახერხა მიცვალებულების დასაფლავებაც კი, რადგან



მთელ საქართველოში „მაღალს" და ბნელს მსტოვრები ჰყავდა გაგზავნილი: ყველას შთააგონეთ, ცხინვალში ომი ქართველებმა მოიგესო. ისმოდა სიმღერები და ტრამპაცუმპა, მღეროდა მერაბ სეფაშვილი და ლელა წურწუმია...

ზეიმობდნენ მაშინ ქართველთა მტრები, ხოლო საქართველოს გულში გლოვა და ბალღამი ტრიალებდა...

წარმოიდგინეთ, რომ ამ ამბიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ შევხვდი ჩემს ძველ ნაცნობს, ბატონ დიმიტრის — სოფელ ავნევიდან. მოხუც ქალს მოათრევდა, თვითონვე ჭაღარა და დაუძლურებული, უკან ღიპიანი, ტალიკ-ტალიკი პოლიციელები მოსდევდნენ დუბინკებით, ძალიან გასაცოდავებული მომეჩვენა ბაბუა დიმიტრი.

ასე უსულგულოდ, ალბათ, ირანის შაჰმა გადაასახლა ქართველები ფერეიდანში... ცემით და ძალადობით გამოყარა ხელისუფლებამ დევნილები თავშესაფრებიდან და ისინი ზოგი მეორედ, ზოგი მესამედ აქცია დევნილად... აძაღლებული სახით, ზიზღით ერეკებოდნენ სატვირთო მანქანებში და ისეთი მკაცრი გამომეტყველება ჰქონდათ პოლიციელებს, თითქოს ეს უბედურები ოსვენციმში მიჰყავდათ...

* * *

ოსვენციმში არა, მაგრამ ვიღაცის უჩინარმა ხელმა „ვარდების გადატრიალების" ერთ-ერთი შემოქმედი — ზურაბ ჟვანია საიქიოს გაისტუმრა.

**ჟურნალისტებისთვის და საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია სინამდვილეში რითი, რა ვითარებაში გარდაიცვალა საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ეჭვებს და მოარულ ხმებს თუ გავიმეორებთ, ჟვანია სულაც არ არის გაზის გაჟონვით გარდაცვლილი, არადა ასე განაცხადეს მისმა მეგობრებმა და მასთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორ-შემსრულებლებმა მიხეილ სააკაშვილმა და ივანე მერაბიშვილმა.**

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ჯერ არ დახურულა, თუმცა მისი სიკვდილიდან უკვე 7 წელიწადია გასული. ეჭვმა მისი მკვლელობის შესახებ სამზარეულოებიდან დიდი ხანია გადაინაცვლა საზოგადოებაში, მაგრამ ყველაზე სამწუხარო მაინც ის არის, რომ ზურაბ ჟვანიას სიკვდილს რაულ იუსუპოვის, ლევან სამხარაულის და მისი ოცი წლის უნახავი მეგობრისა და კლასელის მკვლელობები მოჰყვა. სამივე ზურაბ ჟვანიას, ასე ვთქვათ წააკლეს.

მკვლელობათა სერია დროდადრო ახალი ძალით და ინტერპრეტაციით, თუმცა ერთი და იგივე ხელწერით იფეთქებდა ხოლმე. ხელწერის მიხედვით, ყველა გარდაცვლილი სასტიკი გულგრილობითაა მოკლული... საზოგადოება შეძრა ოქროყანის სასაფლაოზე შიშველტიტველი სანდრო გირგვლიანის ნაწამები გვამის ხილვამ. მის მკვლელობაში ხელისუფლების მაღალჩინოსნები მთავარი მონაწილეები იყვნენ...

არ ვიცი, ხელისუფლებას რომ ვამბობ, სწორი ტერმინოლოგიით თუ ვაფასებ, შესაძლოა, უნდა ვთქვა მკვლელთა ბანდები, რომლებმაც შემდეგ თბილისის ცენტრში დღისით-მზისით პოლიციის სპეცრაზმისგან საცერივით დაცხრილული 28 წლის ზურაბ ვაზაგაშვილის სისხლში მცურავი სხეული დააგდეს კორტებთან, მზე დაუბნელეს ბუტა რობაქიძეს, გიორგი გამცემლიძეს... ჯერ ზუსტად დაუდგენელი მიზეზების გამო თბილისის ცენტრში ტყვიით თავი გაუხვრიტეს აკადემიკოს გურამ შარაძეს, რომელიც ხელისუფლების კურსის მძაფრი კრიტიკით გამოირჩეოდა.

პირდაპირ უკავშირდება სახელს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალება. ისიც სიცოცხლის ბოლო ხანებში ხელისუფლებას აკრიტიკებდა. არსებობს დაუდასტურებელი მტკიცებულებები, რომ მის მკვლელობაში პოლიციის მაღალჩინოსნები იღებდნენ მონაწილეობას. კერძოდ და ყველაზე ხშირად გიორგი კოდუას სახელს ახსენებენ, რომელიც კაი „მამალი" ნაციონალია....



დემოკრატი ხელისუფლება ისე ვერ იტანს განსხვავებულ აზრს, რომ ვითომდა გულის შეტევით გარდაცვლილი პატარკაციშვილის საფლავთან არც ერთი ნაციონალი არ მისულა. სამაგიეროდ, მისი ქონება ჭილყვავებივით დაიტაცეს...

მაგრამ რაც მოხდა ბადრი პატარკაციშვილის მიერ დაარსებულ და ნალოლიავებ ტელეკომპანია „იმედში", ეს არის კლასიკური მაგალითი ბარბაროსობის და ამას მართლაც საერთო არაფერი აქვს დემოკრატიულობასთან. ტელეკომპანიის აპარატურა დალეწეს და დაამსხვრიეს, რეზინის ხელკეტებით სცემეს ჟურნალისტებს, გაუშვეს მომწამლავი გაზი, ტელეკომპანია მთლიანად ჩაიგდეს ხელში და დღეს გაუპატიურებული, „თამროსავით" უნამუსო გახდა.

ამ ხელისუფლების ქმედებების გვირგვინად მაინც აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტა ითვლება, რომლის ორგანიზატორი თვით გიორგი ბარამიძე იყო. თვითმფრინავებით უშენდნენ ჭურვებს აფრასიძეების ოჯახს, პატარა ბავშვების თვალწინ დახვრიტეს უდანაშაულო ადამიანები. ერთ-ერთმა „მოლაშქრემ" უკვე მიცვალებულ ომეხ აფრასიძეს ბეჭედი რომ ვერ მოაძრო, თითი მოაჭრა თურმე... ამ ამბავზე მერე სააკაშვილმა თქვა: დიახ, მე გავეცი აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვის ბრძანებაო...

ცხადია, სააკაშვილის — მკვლელთა ბანდის მეთაურის მიერ გაცემული ბრძანებით სპობენ ყველაფერს, რაც წარსულს ახსენებს მას. საქართველოში განადგურდა წარსულის მოწმე ბევრი მუზეუმი, დაანგრიეს და გადაადგილეს სახელოვან ადამიანთა ქანდაკებები. ქუთაისში „დიდების მემორიალის" ადგილას სააკაშვილმა ახალი პარლამენტის შენობის აგების ბრძანება გასცა. მემორიალი უნდა გადაეტანათ, ან უნდა აეფეთქებინათ. წარსულის მოძულე სააკაშვილმა, ცხადია, მისი აფეთქება არჩია. ურჩევდნენ, დემონტაჟს ერთი კვირა სჭირდებაო. მიშა სულსწრაფია. ერთ დღეში მოინდომა ძეგლის განადგურება. ძეგლი, რომელსაც ხელოვნებათმცოდნეებმა თავის დროზე „ქართული ფილოსოფიური ტრაქტატი" უწოდეს, ერთ დღეში დაანგრიეს და ამ ნგრევას დედა და მისი 10 წლის გოგონა ემსხვერპლა...

დღემდე დაუდგენელია 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო მიტინგზე ხელისუფლების მიერ დახოცილთა რაოდენობა. დაშავებულები და დაინვალიდებულები მრავლად არიან. იმ დღეს დაჭერილები დღესაც საპატიმროებში იტანჯებიან, ხოლო ოფიციალურად გაცხადებული მიცვალებულების — კვნიტრაძის და ასათიანის გვამები ხელბორკილებით იპოვეს მაღაზიის თავზე (!) ხორც და ენაამოგლეჯილები, ნაწამები და დასახიჩრებულნი.

საზოგადოებისთვის კარგა ხანია ცნობილი გახდა, რომ „რუსთავი-2"-ის შენობა რომ ჩამოინგრა, იქ თურმე სარემონტო სამუშაოებს გიგა ბოკერიას ცოლის დის და თუ არ ვცდები, კეზერაშვილის ცოლის სამშენებლო ფირმა აწარმოებდა. მოგეხსენებათ, ამ შემთხვევამ ორი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, რომლის ოჯახის წევრებიც დღეს ელემენტარულ ყურადღებას ითხოვენ და შეურაცხყოფის მეტს ხელისუფლებისგან ვერაფერს იღებენ. კინაღამ გამომრჩა, პარლამენტის შენობის კედელიც ჩამოინგრა ქუთაისში, ისედაც ცოდვით დაწყებულ მშენებლობას რამდენიმე მუშაც ემსხვერპლა.

დიდი ხანი არ არის, რაც ხაშურში პოლიციის შენობაში დაიღუპა სოსო ქიმერიძე, რომელიც ნაცემი და ნაწამები იყო.

ახლახან მითხრეს, იმერეთში, კერძოდ ხარაგაულში, ჩინელებს სამ ლარად უფორმებენ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთებსო. ჩინელები მიწებს მასიურად ყიდულობენ და ეს ხელისუფლებაც მათ მაქსიმალურად უწყობს ხელსო. გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ქართული მიწის ზედა შრის გაყიდვის ბიზნესშიც ყოფილა ჩართული საქართველოს ხელისუფლება. სპეციალისტები აცხადებენ, რომ მიწის ამ დონეზე ჩამოყალიბებას ასეული წლები სჭირდება. ტყეს რომ ყიდიან, ამაზე ლაპარაკი აღარც ღირს, ისედაც ცნობილია, მაგრამ მათი ვანდალიზმს დასამტკიცებლად აგვისტოს ომის დროს ტყის ხანძარს გაგახსენებთ, რომელზეც ამბობენ, სპეციალურად ნაციონალების გაღვივებული იყო ის ხანძარი ტყეშიო...

რა თქმა უნდა, ამაზე გაეღიმებოდა სარკასტულად მაია ნადირაძეს, ეკა ტყეშელაშვილს, ეკა ხერხეულიძეს, ხათუნა ოჩიაურს, გადააქნევდა მოზრდილ თავს და ოდნავ გააღებდა პირს გივი თარგამაძე... მაგრამ, ამბობენ, გადამალეს ეს ხალხი, ხალხს ძალიან აღიზიანებდა და იმიტომო...

* * *

**ქართველი ხალხი, ვისაც დასავლელი მასწავლებლები და მათი ადგილობრივი შეგირდები დემოკრატიას ასწავლიან, თვითონ არიან ქართველი ხალხისგან დემოკრატიასასწავლებლები. დემოკრატიის სახელით მოსულმა ნაციონალურმა გუნდმა საქართველოში გლოვა და სისხლისღვრა მოიტანა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მთელი ამ 8 წლის განმავლობაში ქართველი ხალხი ყველა წელიწადს და ზოგჯერ წელიწადში ორჯერ მშვიდობიან, ცივილიზებულ საპროტესტო მანიფესტაციებს აწყობდა ისე, რომ „ერთი ფოთოლიც" არავის შეურხევია,**



და როგორ იქცეოდა ამ დროს მეორე მხარე? ძალადობა, უსამართლობა, დაჭერები, ციხე და სატანჯველი 8 წლის განმავლობაში მათი დემოკრატიული იარაღი იყო მოწინააღმდეგე აზრის მქონე ადამიანების მიმართ და ამ დემოკრატ მმართველს — სახელად მიხეილ სააკაშვილს, ერთხელაც არ გაჩენია სურვილი პირისპირ დალაპარაკებოდა ხალხს, გაეგო რას აპროტესტებდნენ ისინი და ასინეთად არ გამოეყენებინა ჩაშვებაში გაწაფული ძველი „კმარელები". დასავლეთი კი, დასავლეთი, ხან ე.წ. „მწვანე შუქს" ანთებდა, ხან შეშფოთდებოდა ხოლმე...

ნაცებმა, ვინაც ამდენი სისხლი დაღვარა და ამ წლების განმავლობაში საქართველო იავარჰყო, ახლა საზღვარგარეთ დაძვრებიან, კორუმპირებული უცხოელების მოსასყიდად, რათა კვლავ ხელისუფლებაში დარჩნენ...



რაც ჩამოვთვალე (და რაც ახლა არ გამახსენდა), ამის ჩამდენ ხელისუფლებას საქართველოში მხარდამჭერები კიდევ ჰყავს, რომლებიც ამბობენ, რომ გზები გაკეთდა, არის შუქი, შადრევნები, გაკეთდა ფასადები მარჯანიშვილის მოედანზე, სიღნაღში და ა.შ. სანამ ღმერთი აწონის ცოდვა-მადლს, ჩვენ დავფიქრდეთ, რა უფრო მნიშვნელოვანია — გზები, ატრაქციონები და ყინულის მოედნები თუ ადამიანების სიცოცხლე, რომელიც ერთხელ ეძლევა და იმასაც ვიღაც ზნედაცემული ღორად დაბადებული ზონდერ-ნაციონალი ართმევს? არის უზენაესი საქართველოში ადამიანი? მისი სიცოცხლე? მისი უფლებები? ამის დამადასტურებლად ზემოთმოტანილი ანატომიური სურათი გამოადგება ადამიანს...

მოახლოებული არჩევნები საქართველოს და ქართველი ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ძალადობასა და მშვიდ ცხოვრებას შორის უნდა გავაკეთოთ არჩევანი. უკეთესი ცხოვრების შექმნა საკუთარი ხელებით უნდა დავიწყოთ ოქტომბრის თვიდან.

თუ არადა, მეუფე იობის სიტყვები არ იყოს: თუ ესენი კიდევ ხელისუფლებაში დარჩებიან, საქართველო აღარ იარსებებს...

**ირანდა კალანდაძე**

# vis sindiszea `Cawyobili~ tenderebi, da ratom gadaiqca `grinservisi~ `abeliad~

რამდენიმე თვის წინ ჟურნალისტებისა და ოპოზიციის ყურადღება მიიპყრო კომპანია "გრინსერვისმა", რომელმაც მხოლოდ ბოლო წლის განმავლობაში 6 მილიონის ღირებულების 17 ტენდერი მოიგო. უცნობი არავისთვის იყო, რომ კომპანია ლაშა ფურცხვანიძესა და კობა ხარშილაძეს (ზურაბ ჟვანიას ყოფილი დაცვის უფროსი) ეკუთვნოდათ, მაგრამ ფურცხვანიძე — ძველი თბილისის რაიონის გამგებელი იყო, ხოლო ხარშილაძე მისი მოადგილე, და ამიტომაც კომპანია გაფორმებული იყო ოთხ უცნობ ადამიანზე. ხარშილაძე და ფურცხვანიძე თანამდებობებიდან განთავისუფლების შემდეგ (ყველას ახსოვს, სავარაუდოდ, ცნობილი სკანდალი, კაბინეტებში ვიდეოკამერების აღმოჩენის შესახებ, რომლებსაც ფურცხვანიძისა და მისი გუნდის პოლიტიკური კარიერა შეეწირა) ოფიციალურად გახდნენ "გრინსერვისის" მეპატრონეები, თუმცა მათი კარიერული ცვლილების გამო თბილისის მერიის "გრინსერვისთან" გაფორმებული კონტრაქტების რაოდენობა არ შეცვლილა.




2007-2009 წლებში, როდესაც ძველი თბილისის რაიონის გამგებლის თანამდებობა ჯერ კიდევ ლაშა ფურცხვანიძეს ეკავა, თბილისის მერია სწორედ ფურცხვანიძის საკუთრებაში არსებულ შპს "გრინსერვისთან" აფორმებდა კონტრაქტებს ქალაქში მწვანე ზოლის ექსპლუატაციის საჭირო მომსახურების შესყიდვაზე. მაგალითად 2008 წელს ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მწვანე ზოლის ექსპლუატაციისთვის საჭირო მომსახურების შესყიდვაში ორიდან — ერთი, გამარჯვებული კომპანია სწორედ "გრინსერვისია", რომელმაც თბილისის მერიისგან 1 მილიონ ლარზე მეტი მომსახურება შეისყიდა. დაუსჯელობის და უპატრონობის სინდრომმა ისე გაათავხედა მაღალჩინოსნები, რომ არც იმას მალავდნენ ტენდერები რომ მხოლოდ თვალის ასახვევად ცხადდებოდა, და არც მერიისაა თუ სხვა საჯარო სამსახურების ვებ-გვერდებზე ერიდებოდნენ უკანონო ინფორმაციის დადებას.

რამოდენიმე თვის წინ, უგულავამ საჯაროდ დაგმო ის რომ "გრინსერვისმა" 800 %-იანი მოგება ნახა, გაუუქმა ადეიშვილისა და ცხადია საკუთარი დავალებით დადებული ხელშეკრულებები და ისევ ადეიშვილს გადასცა ეს საქმე "შესასწავლად". საზოგადოება მაშინ ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა "გრინსერვისის" საქმე შეუქცევადი, ზვავური, და რაც მთავარია ერისა და სახელმწიფოსთვის უაღრესად სასიკეთო პროცესის დასაწყისად ქცეულიყო. ხალხს აინტერესებდა, მართლა დაიძრა თუ არა "ყინული". ვის დასჯიდნენ და როგორ, რას დაჰპირდებოდნენ "განტევების ვაცებს" ერთგულების საფასასურად, და საიდუმლოს შენახვის სამაგიეროდ და ა.შ. 2008 წლიდან დღემდე პირველი შემთხვევა იყო რომ სახელმწიფომ თავისი შვილობილი კომპანია და თავისი გუნდის წევრები "გაიმეტა" და საჯაროდ სამსჯავროზე გამოიტანა მათი საქმეები. თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით სჩანს ასე. რა ფაქტორებმა აიძულა მთავრობას ასე მოქცევა? ახლოვდება არჩევნები, და ნაცებს ეხლა ისე სჭირდებათ მოსახლეობის მხარდაჭერა, როგორც არასდროს, ეხლა ისე ნაკლებად სჭირდებათ ახალი ბრალდება როგორც არასდროს, და თან ამჟამად მერია და "გრინსერვისი" ისე გათვახედდა, როგორც არასდროს. საქმე იმაში გახლდათ, რომ თბილისის მერიამ მიმდინარე წლის 8 თებერვალს გამოაცხადა ტენდერი ბარათაშვილის ქუჩაზე დასარგავი ხე-მცენარეების შესყიდვის მიზნით. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, მერიას განზრახული ჰქონდა შეესყიდა 120 ცალი კვიპაროსის ნერგი. შესყიდვის საერთო ღირებულებად 225 000 ლარი იყო დასახელებული, ასეთი მცენარის მიწოდების სურვილი თუ საშუალება საქართველოში ერთადერთ კომპანიას შპს "გრინსრევისს" აღმოაჩნდა და ტენდერშიც მხოლოდ ეს კომპანია მონაწილეობდა. "გრინსერვისმა" რასაკვირველია, პირველადი შეთავაზება მერიის მიერ გამოცხადებულ სავარაუდო ღირებულების იდენტური გამოაცხადა, და რაკი კონკურენტი არ ჰყავდა ეს თანხა (225,000 ლარი) შემდგომში არც შეცვლილა. მერიასა და გრინსერვის შორის ხელშეკრულება, 13 მარტს დაიდო და ხელშეკრულების თანახმად მერიამ კვიპაროსის თითო ნერგში 990 ლარი გადაუხადა "გრინსერვისს". სულ 118 800 ლარი — 120 ნერგის სანაცვლოდ. არადა მერიის ამა წლის 30 იანვრის ხელშეკრულების თანახმად, ერთ-ერთი სხვა კომპანიისაგან შესყიდული ერთი ნერგის ფასი 30 ლარი იყო, ანუ 33 ჯერ ნაკლები, ვიდრე ბარათაშვილის ქუჩის ტენდერის შემთხვევაში. როგორც კი ეს ფაქტი ჟურნალისტებისა და საზოგადოებისთვის გახდა ცნობოილი, უგულავამ კომპანია "გრინსერვისთან" ხელშეკრულება გააუქმა. თბილისის მერმა თათბირის შემდეგ განაცხადა, რომ "გრინსერვისმა" სახელმწიფოს მიმართ აღებული ვალდებულება არაკეთილსინდისიერად შეასრულა და საკითხი სამართალდამცავ ორგანოებს დამატებით შესასწავლად გადაეგზავნაო. ხოლო გაუქმებული მომსახურების ხელახლა შესყიდვაზე ახალი ტენდერი გამოცხადებაო. — უგულავა ამ გამოსვლებით ცდილობდა თავისი და მთელი მერიიის დანაშაული დაეფარა. რადგანაც ტენდერი ზუსტად მერიამ გამოაცხადა და ფასის განსაზღვრა კანონმდებლობის მიხედვით ევალდება არა კომპანიას, არამედ ტენდერის გამომცხადებელ ორგანოს. ეს ყოვლად უაზრო ფასი (225,000 ლარი) რომელიც 33-ჯერ აღებატება რეალურ ფასს, მერიის დადგენილია. და მეორეც. ბარათაშვილის ქუჩაზე უკვე დარგულია კიპაროსები და ტენდერის გაუქმება საქმეს რაღას უშველის? და თუ მაინც როგორღაც გვშველის, ის მაინც გაგვაგებინოს ვინმემ, რაღა საჭიროა ახალი ტენდერის გამოცხადება — დარგულ მცენარეებს ამოთხრიან და კონკურსში გამარჯვებული კომპანია თავიდან დარგავს? მაგრამ მერიას ერთი საქმის სამჯერ ან 5 ჯერ გაკეთების გამოცდილება ნამდვილად აქვს. აეროპორტის გზის შუა ზოლის გამწვანებაზე პრაქტიკულად ყოველ ორ თვეში ერთხელ ცხადდებოდა ტენდერი. ტენდერების მიხედვით, კომპანიას ევალებოდა მცენარეების შემოტანა და მათი მოვლა-პატრონობა, თითქოს ყოველ თვე ახალ-ახალ მცენარეებს რგავდნენ. სინამდვილეში, ჩვენ ვერც გავაკონტროლებთ რამდენი ახალი ბუჩქი დაირგო და ან რამდენჯერ გამოუცვალეს მას მიწა. და კიდევ, თავდაპირველად მერიის გამოცხადებული ტენდერებიდან (სადაც "გრინსრევისი" მონაწილეობდა) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხსნიდნენ კონკურენტ კომპანიებს. სატენდერო დოკუმენტაციებს კი თავად თბილისის მერი აწერს ხელს. თითქმის ყველა სატენდერო დოკუმენტაცია იდენტურია. იმ შემთხვევაშიც კი თუ მერიას არ მოსწონდა "გრინსერვისის" მუშაობა და ახალ ტენდერს აცხადებდა — მაშინაც გამარჯვებული "გრინსერვისი" იყო. საინტერესოა, თუ კომპანია იმდენად ცუდად მუშაობდა რომ მერია იგივე სამუშაოს შესრულებაზე ახალ ტენდერს აცხადებს, იგივე კომპანია, რომელმაც ცუდად იმუშავა, როგორ იგებს თავიდან ტენდერს?! ამ საქმის გამოძიება რომ მართლა ობიექტურად მოხდეს, პირველ რიგში თბილისის მერის პასუხისმგებლობის საკითხი იქნება დასმული, მაგრამ არა თუ მერს და მერიას არავინ ახლებს ხელს, თავად "გრინსერვისიც" არხეინად აგრძელებს მუშაობას. ეს უბრალოდ, მორიგი პიარაქცია იყო. წესით, "გრინსერვისი" როგორც იურიდიული პირი აღარ უნდა არსებობდეს, კომპანიის კრების ოქმის მიხედვით ფურცხვანიძემ და ხარშილაძემ საკუთარი წილი კოტე ხარაიშვილს გადასცეს. უნდა შეცვლილიყო კომპანიის სახელწოდებაც, "გრინსერვისის" ნაცვლად ასპარეზზე "აბელია" გამოდის. თუმცა, ეს იმდენად უმნიშვნელო ცვლილებაა, რომელიც სავარადუდო, მხოლოდ ქაღალდზე განხორციელდა, რომ "გრინსრევისის" თანამშრომლებმაც კი არაფერი იციან. იგივე სამუშაოს ასრულებენ, იგივე ხელფასს იღებენ, იგივენაირად ეწყებათ და უმთავრდებათ სამუშაო დღე. "გრინსერვისთან" ხელშეკრულების გაწყვეტიდან ერთი თვის თავზე კომპანია სამუშაოს ჩვეულ რიტმში აგრძელებს და მისი თანამშრომლები ახალ ნარგავებს რგავენ, ან ძველ, უკვე გამხმარ ნარგავებს ცვლიან ახლით. პარადოქსია, მაგრამ ზუსტად ამ წუთას ისინი ისევ აეროპორტის ტრასის გამყოფი ზოლის გამწვანებაზე მუშაობენ, უკვე მერამდენედ.

**თამარ კეშელავა**



# tragikomedia `qarTuli demokratia~ da buqsirze gamobmuli miSas jibis opozicia

ეკრანზე დროშებით აჭრელებული ავტობუსების გრძელი კოლონა რომ დავინახე, მაშინვე ის გავიფიქრე რატომღაც, მიშა ხომ არ მოდის ხელმეორედ წალენჯიხიდან ახალი რევოლუციის მოსაწყობად და ხომ არ გვეშველა-თქო?

**ბოლო ხანებში მიშა სააკაშვილი რადიკალურად დაუპირისპირდა პრეზიდენტ სააკაშვილს და კვირა არ გავა, კრიტიკის ქარცეცხლში არ გაატაროს იგი მრავალი გაუკეთებელი და მიფუჩეჩებული საქმეების გამო, ბედოვლათობის გამო, უპასუხისმგებლობის გამო.**

ამიტომაც ვიფიქრე, ალბათ, ამოუვიდა ყელში მიშას ეს პრეზიდენტი მიშა, შეკრიბა თავისი მომხრეები და მის ჩამოსაგდებად აქეთკენ მოეშურება, კოლონას თვითონ მოუძღვის და საჭესთანაც თვითონ ზის, როგორც მას ჩვევია-თქო, მაგრამ მძღოლს რომ დავაკვირდი, მიშას ნაცვლად გიორგი თარგამაძე არ შემრჩა ხელში?

— მესაჭე არ უვარგა ქვეყანას... მესაჭე უნდა გამოიცვალოსო, — ამბობდა გიორგი და მარჯვედ ატრიალებდა საჭეს.

როგორც გაირკვა, ქუთაისში ყრილობა ჰქონია ქდმ-ს და ეს კოლონაც ამასთან დაკავშირებით წამოუსხამს მის ლიდერს.

მერე იყო ყრილობა, ისეთი ყრილობა, რომ ყრილობის უნახავს გაგხდიდა კაცს.

იყო კრიტიკულზე კრიტიკული, მრისხანეზე მრისხანე გამოსვლები — ახვლედიანი ისეთ ექსტაზში შევიდა, ძლივს გააჩერეს, ხოლო ინგამ, მარად მშვენიერმა და



ცეცხლოვანმა ინგამ, აქეთ სააკაშვილი ჩადო საფლავში, იქით ივანიშვილი და ნდობა და სიყვარული მხოლოდ ერთადერთ ძალას, ქართველ ხალხს, გამოუცხადა.

მოკლედ, ქდმ-ს ორატორების მოსმენისას გონებას ოდნავ თუ მოადუნებდი და სიფხიზლეს დაკარგავდი, შეიძლება გეფიქრა: — ეს რა შეურიგებელი, ეს რა რადიკალური ოპოზიცია გვყოლია ამ ქდმ-ს სახით. ამათთან შედარებით სხვა ოპოზიციური პარტიები ტკბილ იავნანას უმღერიან ამ ჯიბგირ ხელისუფლებასო.

* * *

შეიძლება, დაიქირავო შინამოსამსახურე, დაიქირავო ქალი ერთი ღამით, დაიქირავო მცველი, ადვოკატი, დაიქირავო ზურგის ან სხვა რაღაცის მომფხანველი, მაგრამ ხელისუფლების მიერ ოპოზიციის დაქირავება, საქართველოს გარდა, მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ მსმენია.

რატომ და რა დამსახურებისთვის გაეწია გიორგი თარგამაძეს ეს უპრეცედენტო დახმარება?

გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, გიორგი თარგამაძის უცაბედი აღზევება დიდ ღალატს უკავშირდება, ღალატი კი, როგორც ამბობენ, ამ ყმაწვილს ყოველთვის ემარჯვებოდა.

* * *

ნაცმოძრაობის გარშემო ახლა რამდენიმე ოპოზიციური პარტია უვლის დავლურს და სცენის შუაში ბუდას ქანდაკებასავით ასვეტილ „ნაცმოძრაობას" შიგადაშიგ ხან ენას უყოფს, ხან კრიტიკულ რეპლიკას ესვრის...

მოფიქრება არ გინდა, კაცო, იმისთვის რომ დემოკრატიულობის ილუზია შექმნა და დიდი დემოკრატიის სახელი დაიგდო, მიდიხარ რომელიღაც პარტიის ლიდერთან და ეუბნები: — მე შენ გიხდი ფულს, ოღონდ შენ და შენმა პარტიამ უნდა მაკრიტიკოთ, მლანძღოთ, მაგინოთ, გამაშავოთ... ამით თქვენ ოპოზიციონერის სახელს მოიხვეჭთ, მე კი დემოკრატის გვირგვინს დავიდგამ თავზე. ამაზე უკეთესი, ამაზე სარფიანი სხვა საქმე არსებობს? — შეგინებული შემგინებელს შეგინებისთვის ფულს იქით უხდიდეს და დიდ პატივში ჰყავდეს, ასეთი ამბავი გაგიგია ოდესმე? არა, ხომ? ჰოდა, ახლა გაიგებ...

ამგვარ სარფიან შეთავაზებას, უმეტეს შემთხვევაში, თანხმობა და გარიგება მოსდევს ხოლმე, მერე კი იწყება დიდი სპექტაკლი, დიდი წარმოდგენა, სახელწოდებით „ქართული დემოკრატია", რომელსაც, პირველ ყოვლისა, საგასტროლო-საექსპორტო დანიშნულება აქვს და როგორც ადგილობრივი მაყურებლის, ასევე საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის მოტყუებას ისახავს მიზნად.

**სპექტაკლი „ქართული დემოკრატია" წარმატებით გადის ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს, გაეროს, ეუთოს, აშშ-ს ადმინისტრაციის პოლიტიკური თეატრების სცენებზე და გამოცდილი ექსპერტების და „თეატრმცოდნეების" დიდ მოწონებასაც იმსახურებს ხოლმე.**

2007 წლის მიწურულიდან „ქდმ" ამ სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა, რომელიც დიდოსტატურად ასრულებს თავის როლს.

„ქდმ"-ს ახალი პარტნიორები გამოუჩნდნენ, „ახალი მემარჯვენეების" და „ედპს"-ს სახით, რომლებიც ნამდვილ ოპოზიციურ კოცონს ანთებენ სცენაზე და ამ კოცონში სააკაშვილს უპირებენ ჩაგდებას, ის კი არ ნებდება და ამ ჯიკავ-ჯიკავში ნელ-ნელა იბადება ახალი ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორი შეუპოვარი ბრძოლა მიდის საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების დასამკვიდრებლად.

* * *

**გიორგი თარგამაძე გინესის წიგნშია შესატანი — კაცმა, რომელსაც ტელევიზია დაურბიეს, თანამშრომლები ცემა-ტყეპით გამოუყარეს გარეთ და ქუჩაში დატოვეს, რამდენიმე დღეში შექმნა მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ორგანიზაცია გამართული სისტემით, ცენტრალური და რეგიონალური ოფისებით და საპარლამენტო არჩევნებშიც სერიოზულ წარმატებას მიაღწია.**

სერიოზული პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურების მშენებლობას წლები სჭირდება, თარგამაძემ კი ეს სულ რამდენიმე თვეში მოახერხა და თავის გუნდთან ერთად პარლამენტშიც შევიდა.

წლებს თავი დავანებოთ, დიდი, ძალიან დიდი ფული სჭირდება ამის გაკეთებას და ჯადოქარმა თარგამაძემ, როგორც ჩანს, ამ ფულის ოპერატიულად მოძიებაც შესძლო.

ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ რეკორდსმენი თარგამაძე გინესის წიგნში რომ არის დაუყოვნებლივ შესატანი, ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება?

როგორც ამბობენ, ორგანიზაციის ოპერატიულად შექმნაში მას სახელისუფლებო სტრუქტურები დაეხმარნენ, ეს დახმარება კი ფრიად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო ყველა მიმართულებით, მათ შორის ფინანსური უზრუნველყოფის კუთხითაც.

**პარტიები მოახლოებული არჩევნების წინ რეპეტიციას გადიან და მომავალი არჩევნების გასაყალბებლად ემზადებიან, ხოლო სოციალური კვლევების ცნობილი ინსტიტუტები „მენდე-გენდე" და „აი რაია" ბლოკნოტებში რაღაც ციფრებს ინიშნავენ.**

**ეს მომავალი არჩევნების შედეგებია...**

**მართალია, არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა, მაგრამ ამათ შედეგები უკვე იციან...**

ტრაგიკომედია „ქართული დემოკრატიის" დამდგმელი რეჟისორები ოკეანისგაღმიდან, თავიანთ ევროპელ ასისტენტებთან ერთად ტრაგიკომედიის ფინალურ სცენას ამუშავებენ...

დაიღალა საქართველო არჩევნების თემაზე დადგმული ამ უნიჭო, ერთმანეთის ტყუპისცალივით მსგავსი სპექტაკლებით.



არ არის გამორიცხული, შეურაცხყოფილი მაყურებელი სცენაზე აიჭრას და ეს უტიფარი კომედიანტები კინწისკვრით გაყაროს.

* * *

— მესაჭე არ გვივარგა, ბატონოო, — მრავალმნიშვნელოვნად ამბობს თარგამაძე და საჭეს თავმომწონედ ატრიალებს.

„ხალასტოიზე" ატრიალებს ბატონი თარგამაძე ამ საჭეს — მისი ავტობუსი სააკაშვილის ავტობუსზეა გამობმული ბუქსირზე და საითაც მიშას ავტობუსი წავა, თარგამაძის ავტობუსიც იქით მიდის...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## jondi baRaTuria:

# ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ბატონ ბიძინას რთული ხასიათის კაცი ვგონივარ...



*„საერთო გაზეთს" „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრა.*

**— „ქართული ოცნების" ლიდერმა ჟურნალისტებთან დაადასტურა, რომ თქვენს შორის კონსულტაციები მიმდინარეობდა., როგორც თქვენ ამბობთ, თუ ბატონმა ბიძინამ, იცოდა თქვენი გადაწყვეტილება საბურთალოს რაიონში მაჟორიტარ კანდიდატად კენჭის ყრის შესახებ, მაშინ რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება ამ ოლქში დავით უსუფაშვილის წარდგენის შესახებ?**

— თანდათანობით სიტუაციას ვალაგებთ და ეტაპობრივად მოვაგვარებთ. პირადად, საურთიერთოდ რთული ადამიანი არ ვარ, ჩემთან კომუნიკაციის გამონახვა შესაძლებელია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ბატონ ბიძინას რთული ხასიათის კაცი ვგონივარ. ვხედავ, რომ ბიძინა ივანიშვილს ქართველ პოლიტიკოსებზე მაინცდამაინც კარგი წარმოდგენა არ აქვს და ამ საკითხში მეც ვეთანხმები. თუმცა უნდა ითქვას, რომ პოლიტიკაში ბევრი ღირსეული ადამიანიცაა.

**— საბოლოოდ, გადაწყვეტილი არ არის დასი კოალიციაში გაერთიანდება, ან საერთოდ, რა სახით მოხდება თქვენი ურთიერთობა?**

— ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ არის და აღნიშნული საკითხები განხილვის თემაა.

**— ბატონო ჯონდი, ერთი თვის უკანაც აცხადებდით, რომ „ქართული ოცნებასთან" კონსულტაციები მიმდინარეობდა, თუმცა კონკრეტული შედეგი არ ჩანს. საბოლოოდ, როდის მოხდება რეალურად პოზიციების შეჯერება?**

— გადაწყვეტილების მიღება, როცა მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული ვიცი, როდის მივიღებ, მაგრამ ახლა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ჩემზე დამოკიდებული არაა. მიუხედავად ამისა, „ქართული დასი" არ ჩერდება, მიდის თავისი გზით. იმ შემთხვევაში, თუ ერთობა არ შედგა საარჩევნო კამპანიის დასაწყებად, პარტია მზადაა და უმრავლეს რაიონებშიც შერჩეული გვყავს მაჟორიტარი კანდიდატები.

**— ივანიშვილის მხრიდან მოლოდინის რეჟიმით ერთგვარად პარტიას ხომ არ დააზარალებთ, რადგან დროულად ვერ დაიწყებთ წინასაარჩევნო კამპანიასა და ვერ წარადგენთ „ქართული დასის" მაჟორიტარ კანდიდატებს?**

— ალბათ, პროცესების დალაგებას, მაქსიმუმ, ერთი კვირა დაველოდებით, გავიგოთ, თუ ვის, რა, როგორ უნდა.

**— რატომ გაიწელა კონსულტაციები თქვენსა და ივანიშვილს შორის?**

— ზოგადად, ქვეყანაში რთული პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობს, შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღებას გარკვეული სირთულეებიც ახლავს. ვცდილობთ, თანამშრომლობისთვის უკეთესი ფორმატი შევარჩიოთ, ამიტომ გაგრძელდა ხანგრძლივად პროცესი.

**— იმ შემთხვევაში თუ მოხდა „ქართული დასის" კოალიციაში გაწევრიანება როგორი იქნება, თქვენი პოზიცია. მოხსნით კანდიდატურას საბურთალოზე?**

— მე ვარ საბურთალოს მაჟორიტარი კანდიდატი და სანამ ჩემს კანდიდატურას დავაყენებდი, კოლეგიალურად, ჩემს კოლეგებთან კონსულტაციები გავიარე, ზოგთან სამი, ნაწილთან ორი თვის უკან და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ჩემი მაჟორიტარად დასახელება.

**— შეცდომაზე მიუთითეთ ივანიშვილს და როგორ ფიქრობთ, როგორ გამოასწორებს „ქართული ოცნების" ლიდერი შეცდომას საბურთალოზე მოხსნის დავით უსუფაშვილის კანდიდატურას?**

— ბიძინა ივანიშვილი ძლიერი პოლიტიკური ლიდერი და ნიჭიერი ადამიანია, ამიტომ ჩემი ჭკუის სწავლების გარეშე როგორღაც მოახერხებს გადაწყვეტილების მიღებას. საკითხი, ვფიქრობ, შეთანხმებადია. არც ვნერვიულობ, რადგან საქმე მაქვს გონიერ ადამიანთან და ყველაფერს შეთანხმების, პატივისცემის გზით გადავწყვეტთ.

**— გასულ კვირას NDI-ის კვლევები პოლიტიკური პარტიის რეიტინგების შესახებ გამოქვეყნდა. კვლევამ რა გიჩვენათ, როგორ ფიქრობთ, რა ტაქტიკა იქნება ოპოზიციისთვის მომგებიანი?**

— სამწუხაროდ, ნავარო კვლევის ჩატარებას უკვეთავს კომპანიას, რომელიც არის ყოფილი ცესკოს თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილის მფლობელობაში. იგი სააკაშვილის თანაგუნდელი და მხარდამჭერია, რის გამოც, ყოველთვის გაყალბებულ კვლევის შედეგებს აქვეყნებს, თანაც ისეთ კომიკურსა და აბსურდულს, რომ საზოგადოებას კვლევებისადმი ნდობა დაეკარგა. ჩვენ პარტიული კვლევა ივნისის თვეში ჩავატარეთ. ახლა შედეგების დაჯამება მიმდინარეობს, მაგრამ მინდა გაგახაროთ, რომ „ქართულ დასს" 12%-მდე მხარდამჭერი ჰყავს.

**— მაშინ, რატომ არ აისახა თქვენი რეიტინგი კვლევაში?**

„— კვლევა, რომელიც გვეუბნება, რომ თურმე გიორგი თარგამაძესა და ინგა გრიგოლიას ივანიშვილზე მაღალი მხარდაჭერა აქვს, სხვას რას უნდა ველოდო?

**მირანდა ნაბახტეველი**



# kaxa benduqiZis reformebi sruli idiotizmia

*ვესაუბრებით კოალიცია „ქართული ოცნების" ეკონომიკურ ექსპერტს — ბატონ დემურ გიორხელიძეს*

**— ბატონო დემურ, როგორ შეაფასებთ ხელისუფლების წინასაარჩევნო პროგრამას, ლიტონი სიტყვებით მანიპულირება დღეს უკვე შეუძლებელია რეალობა კი დაპირებებთან არაადეკვატური ოპოზიციას გასაქანს არ აძლევენ, მოკლედ, ბრძოლა, არათანაბარ პირობებში მიმდინარეობს, ოქტომბერი კი ახლოვდება...**

— თავისთავად ცხადია, რომ წინასაარჩევნო კამპანია დაწყებულია, აქამდე ხელისუფლება „ზღაპრულ" ქვეყანას აშენებდა თავისთვის, სადაც ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არ ფიგურირებდა ამ მიზნებსა და ამოცანებში. თუმცა, გაჩნდა ახალი პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნების" სახით, რომელიც დღეს ძალას იკრებს და საღ მოსაზრებებს სთავაზობს საზოგადოებას.

თუ ხელისუფლება იმ დანაშაულებრივ ეკონომიკურ პოლიტიკას გააგრძელებდა, რომელიც ქვეყნის მამამ და „დიდმა რეფორმატორმა" ქვეყნის გასალატაკებლად და გასანადგურებლად გადადგა ქვეყანა უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ამიტომ ახალი პრემიერ-მინისტრი მიხვდა, რომ იმ ძველი სისულეების გაგრძელება არ შეიძლებოდა. მართალია მან ახალი პროგრამა ვერ წარმოადგინა, მაგრამ თქვა, რომ ახალი პრიორიტეტები დაასახელა. მართალია, ეს პრიორიტეტები მანამდე „ქართულმა ოცნებამ" გააჟღერა, მაგრამ ეს არ იყო დამთხვევა. ეს ყველაფერი გვიკარნახა დრომ და სიტუაციამ, რომელიც დღეს ქვეყანაში არსებობს.

**— კოალიცია „ქართულ ოცნებას" თავისი ეკონომიკური პროგრამა ჯერ არ წარმოუდგენია, თუმცა, მეცნიერთა დიდი ჯგუფი, მათ შორის თქვენც, ამ მიმართულებით მუშაობთ, რამდენად რეალური იქნება განსახორციელებლად ეს პროგრამა?**

— ჩვენი პროგრამა აბსოლუტურად რეალურია, იმიტომ, რომ გვყავს დარგის საუკეთესო სპეციალისტები და თუ მათი გამოცდილება გამოყენებული იქნება, საქმე გამოვა. ამ პროგრამის შექმნაზე ჩვენ შვიდი თვე ვიმუშავეთ და სარეკლამოდ არაფერი გაგვიკეთებია, წარმოვადგინეთ ფუნდამენტალური კონცეფცია ქვეყნის ეკონომიკისა და მისი ცალკეული დარგებისა. მასში შედის როგორც ენერგეტიკის პროგრამა, ისე სატრანსპორტო მიმართულების, მაკროეკონომიკა, მცირე და საშუალო ბიზნესი და ა.შ. ცოტა თავისებურება ის გახლავთ, რომ „ქართული ოცნება" არის კოალიცია რომელშიც არის ხუთი სუბიექტი და ყველამ თავისი ხედვა წარმოადგინა, რაც შემდგომში, ცხადია, გათვალისწინებული იქნება. თუმცა, ის პროგრამა რაც „ქართულ ოცნებას" აქვს, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ არის ფუნდამენტური, რომელიც შემდგომში ქვეყნის სამოქმედო გეგმა უნდა გახდეს.

**— რატომ არ გამოაქვეყნეთ?**

— ყველა მსურველს შეუძლია მოვიდეს და ნახოს, ის ძალიან დიდია — 18 ტომი. თუ როდის და როგორი ფორმით გავრცელდება ის, ამას „ქართული ოცნების" პოლიტიკური ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

მე, პირადად, მიხეილ სააკაშვილს ყველაზე დიდ შეცდომად მიმაჩნია ის, რომ მან ოლიგარქ კახა ბენდუქიძეს ჩააბარა რეფორმების განხორციელება საქართველოში, ამას არც ერთი გონიერი ადამიანი არ გააკეთებდა. ის, რაც დღემდე კახა ბენდუქიძემ ქვეყანაში გააკეთა, ქართველი ხალხი რომ ძლიერი ყოფილიყო, არ დაუშვებდა! საბოლოოდ მისი რეფორმებიდან ის მივიღეთ, რომ მან თავისი საქმე გაიკეთა, გააჩნია მონოპოლიები, ხელისუფლების წევრებთან ერთად გადაინაწილა ქონება და ქვეყანაში მივიღეთ ტოტალური უმუშევრობა. მისი რეფორმების პერიოდში ერთი სამუშაო ადგილიც კი არ შექმნილა. იდიოტიზმია ის რეფორმა, რომელიც სამუშაო ადგილებს არ ქმნის. მან მხოლოდ თავისი ვიწრო წრისათვის შექმნა კარგი პირობები. ეს იყო ბენდუქიძის რეფორმების შედეგი. პირდაპირ გეტყვით — მათ ეს სიმდიდრე არ შერჩებათ!



დღეს ქართველ კაცს აქვს ორი გზა, ან ნორმალური სახელმწიფო ჩამოაყალიბოს და დემოკრატიულ პრინციპებზე ააშენოს, ან ბენდუქიძეები ქვეყანაში თავის საქმეებს გაიკეთებენ და ქართველ კაცს აქ აღარ დაედგომება! სოფლის მეურნეობის მიგდებას, რომელსაც ბენდუქიძის რეფორმა ითვალისწინებდა, ერთგვარი სერიოზული მიზანი ჰქონდა — სოფლად ხალხის აყრა და იმ მიწების მითვისება! ეს იყო მზაკვრული გეგმა, რომელსაც ქართველი ხალხი, მიუხედავად დღევანდელი მდგომარეობისა, არავის არ აპატიებს. ხალხმა რომ აპატიოს, ღმერთი არ აპატიებს!

**— ბატონო დემურ, ბიძინა ივანიშვილსაც რომ ოლიგარქს ეძახიან და უკიჟინებენ?**

— ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქი არ არის, მისი საქმიანობა წლების განმავლობაში სახეზე იყო და მთავრობაში ყოფნით ფული არ უშოვია. და თუ ის დღეს განცხადებებს აკეთებს, მასში ქვეყნის განვითარების და მდგომარეობიდან გამოყვანის ღრმა აზრია ჩადებული. ეს არის მისი შანსი — საქმის გასაკეთებლად და ეს შანსი ყველა მოქალაქეს თანაბრად ეკუთვნის.

**— ოქტომბერში კოალიცია „ქართული ოცნების" გამარჯვებას თუ ხედავთ?**

— იცით, რა, ოქტომბრამდე ძალიან დიდი დროა, პოლიტიკაში კი ასპროცენტიანი წინასწარი პროგნოზები არ არსებობს. გარანტიები არც ერთ მხარეს არა აქვს, „ქართული ოცნების" გამარჯვება კი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად იმოძრავებს ის, რადგანაც მას ჰყავს ერთადერთი მოკავშირე ამ ქვეყანაში — ეს გახლავთ ქართველი ხალხი და მისი განწყობა. უზუსტო ნაბიჯები კი რომ იყოს გადადგმული, შემდგომში წინასაარჩევნოდ ეს ძალიან მძიმედ აისახება ქვეყნის მომავალზე.

ღიად ვაცხადებ, რომ „ქართულ ოცნებას" აქვს ბევრი საშიშროება და საფრთხე, რადგანაც კოალიციის ზოგიერთ წევრს ეიფორია ახასიათებს. ეს არის შეცდომა, რომლის გამოსწორება აუცილებელია.

**ეთერ კასრელიშვილი**

# ... da xval iyo omi!
# ... da zeg ar iyo saqarTvelo!

SOS! SOS! SOS! SOS! SOS! SOS! SOS! SOS! SOS!

**ვახტანგ ხარჩილავა**



ბოლო ხანებში აქტიურად დაიწყო საუბარი სამოქალაქო დაპირისპირების შესახებ.

**— სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალია! პროცესები სამოქალაქო ომისკენ მიდის!** — ისე იოლად და არხეინად ამბობენ ამ სიტყვებს მავანნი და მავანნი, თითქოს დიდ სახალხო სეირნობას ეხებოდეს საქმე და არა ომს, სისხლისღვრას, ქვეყნის დაქცევას და განადგურებას.

ეტყობა, საყოველთაო სენად და ეროვნულ უბედურებად ქცეულმა ნიჰილიზმმა სიტყვებთან ჩვენი დამოკიდებულებაც შეცვალა და სიტყვებს ისე მექანიკურად, უაზროდ წარმოვთქვამთ, მათ შინაარსს კი არ ვუკვირდებით და არ ვუღრმავდებით.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სიტყვებს პირიდან ისე ვყრით, ისე ვიფურთხებით, როგორც მზესუმზირის ჩენჩოს.

ეს რომ ასე არ იყოს, ეს ორი საგანგაშო და შემაძრწუნებელი სიტყვა — სამოქალაქო დაპირისპირება — ასეთი წამღერებით არ წარმოითქმებოდა.

**თუ რეალობასთან ახლოს არის ის, რომ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მივექანებით, მაშინ მთელი ქვეყანა ასე მშვიდად კი არ უნდა უსმენდეს ამ ინფორმაციას — განგაშის ზარებს უნდა არისხებდეს!**

**განგაშის ზარების დარისხება კი არა ჩამიჩუმი არ ისმის არსაიდან.**

თითქოს ეს ამბავი ქართველ ხალხს საერთოდ არ ეხება, თითქოს ეს დაპირისპირება საქართველოს ტერიტორიაზე კი არა, სადღაც სხვაგან უნდა მოხდეს და ეს საზარელი ომი არც ჩვენს სახლებს შეეხება, არც ჩვენ, არც ჩვენს შვილებს, არც ჩვენს შვილიშვილებს, არც ჩვენს ახლობელ-ნათესავებს.

ქართველი ხალხი, ქართველი საზოგადოება ისეა გასუსული, გეგონება, შესაძლო სამოქალაქო დაპირისპირებაში მხოლოდ პოლიტიკოსები და პოლიტიკური ორგანიზაციები გამართავენ ერთმანეთთან ხელჩართულ ბრძოლებს, ჩვენ კი ბრძოლის შედეგებს დაველოდებით და გამარჯვებულს დაფნის გვირგვინს დავადგამთ, რომ ახლა იმან გვიპატრონოს და გვებატონოს.

* * *

წლის ბოლოს, დეკემბრის მიწურულს, ოცი წელი შესრულდება იმ დღიდან, როცა რუსთაველის პროსპექტზე პირველი ტყვია გავარდა და ქართველთა შორის სისხლიანი დაპირისპირება დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ სადაცაა ოცი წელი გასრულდება იმ საბედისწერო მომენტიდან, დღემდე არავინ იცის დანამდვილებით ვინ ისროლა ის პირველი ტყვია, რომელიც, ჩემი აზრით, დღემდე არ გაჩერებულა და დღემდე ბრუნავს ჰაერში.

**არც ოცი წლის წინათ დაწყებული ის ომი დამთავრებულა დღემდე.**

**უფრო მეტიც, რაც დღეს ხდება, სწორედ იმ საზარელი ომის გაგრძელება მგონია...**

**მართალია, არც ავტომატის კაკანი ისმის , არც ზარბაზნების გრიალი, არც ტანკების გრუხუნი, მაგრამ ის ომი დღემდე გრძელდება ჩვენს ხსოვნაში, ჩვენს მოგონებებში, ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში.**

**ჩვენ ის ომიც კი ვერ დავამთავრეთ ბოლომდე და ახალ ომს ვიწყებთ?**

**იქნებ იმიტომაც ვაპირებთ ახალი ომის დაწყებას, ის ძველი რომ ვერ დავამთავრეთ?**

მართალია, 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა პოლიტიკური შეფასება კი მისცა 1992 წლის 22 დეკემბერს დაწყებულ უბედურებას, მაგრამ პოლიტიკურ შეფასებას სამართლებრივი შეფასებები არ მოჰყოლია და არც კონკრეტული დამნაშავეების პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარა დღემდე.

ამიტომაც არის ის ომი დაუმთავრებელი და ამიტომაც ემზადებიან ვიღაცვიღაცები იმ დაუმთავრებელი ომის გა-









# qarTvelma xalxma samoqalaqo dapirispireba ar unda dauSvas!



საგრძელებლად და ერთხელ და სამუდამოდ დასამთავრებლად.

თუ ეს მოხდება, ალბათ, საქართველოც დამთავრდება მაშინ და ცოცხლებიც და მკვდრებიც ერთად დავისვენებთ...

* * *

ბრძოლები დამთავრდა და ჩაკეტილი რუსთაველის პროსპექტი რომ გაიხსნა, ის კოშმარული სურათი, რაც მე იქ ვნახე, არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან.

ვერ აღვწერ ამ სურათს, შეუძლებელია ამის გამოხატვა, ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო, რომ მიხვდე, რა შეუძლია სიძულვილს.

არ ვიცი, საიდან ჰქონდათ ამდენი ტყვია-წამალი, საიდან ჰქონდათ ამდენი ჭურვი, ამდენი ყუმბარმტყორცნი და, რაც მთავარია, საიდან ჰქონდათ ამდენი სიძულვილი, რომ ასე იავარეყოთ ყველაფერი?

დრო გავიდა, ტყვიით დაცხრილული კედლები გაილესა, დანგრეული შენობები აშენდა, ტოტებგასხეპილმა ხეებმა ახალი ტოტები შეისხეს და კვლავ სიმწვანით შეიმოსნენ, მაგრამ სიძულვილს არაფერი ეშველა, სიძულვილს საშველი არ დაადგა — ის დღემდე გვანადგურებს, გვხლეჩს და ახალი დაპირისპირების და ანგარიშსწორებისკენ გვიბიძგებს.

* * *

**განა არგუმენტები არ მაქვს, მაგრამ ნუ მომთხოვთ არგუმენტებით იმის დამტკიცებას, რასაც ახლა ვიტყვი. ისე, სიტყვაზე მენდეთ: აფხაზეთი და სამაჩაბლო აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე წაგებული ბრძოლების გამო კი არა აქ, რუსთაველზე, ერთმანეთისთვის ნასროლი ტყვიის გამო დავკარგეთ.**

საერთოდ ყველაფერი, ყველა უბედურება, რაც დღეს გვჭირს, იმ ერთი ტყვიის გამო გვჭირს და სანამ იმ ტყვიას უკან, ლულაში არ ჩავაბრუნებთ, მშვიდობა და თანხმობა არ იქნება საქართველოში.

* * *

**— რატომ არ უყვართ ქართველებს საქართველო?** — ეს ის კითხვაა, რომლისთვისაც სრულფასოვანი პასუხი ვერ მომიძებნია.

**მართლა, რატომ არ უყვართ ქართველებს საქართველო?**

**ალბათ იმიტომ, რომ ქართველებს ქართველები არ უყვართ ისეთი სიყვარულით, რომელიც იმ ქვეყანასაც შეაყვარებს, სადაც ქართველები ცხოვრობენ.**

რა თქმა უნდა, უკლებლივ ყველა ქართველზე არ ვამბობ იმას, რაც ახლა ვთქვი, მაგრამ ქართველთმოძულე ქართველებსაც რომ ბევრს ვხედავ გარშემო, ამას რა ვუყოთ?

რაღაც ანომალიაა ეს, შეიძლება, ფსიქიკური პრობლემაა, შეიძლება, საუკუნეთა განმავლობაში სისხლში შემოპარული და იქ დარჩენილი უცხო გენის ავანტურისტული გამოვლინება თუ გამოხტომა, ან კიდევ სხვა რამ, მაგრამ, ფაქტია, ქართველთა ერთ ნაწილს არც ქართველები უყვარს და არც საქართველო.

შეიძლება, ბევრისთვის მიუღებელ უცნაურ რაღაცას ვამბობ, მაგრამ კარგად მიმოიხედეთ გარშემო, კარგად დააკვირდით თქვენს ზოგიერთ თანამემამულეს, დააკვირდით მათი ცხოვრების წესს და ადვილად დარწმუნდებით, რომ ეს ასეა.

**ზოგისთვის ციხეა ეს ქვეყანა, საიდანაც როგორმე უნდა გაიქცეს, ზოგისთვის მონებით დასახლებული ტერიტორია, სადაც მისი ამპარტავნობა, ზღვარგადაცილებული ამბიციები და ეგოისტური ინსტინქტები ადვილად შეიძლება დაიცხროს და დაიკმაყოფილოს, ზოგისთვის კი სარფიანი სავაჭრო ადგილი, ბაზრობა, „იარმარკა“, სუპერმარკეტი, რომლებიც სახელისუფლო აპარტამენტებში, სამთავრობო სტრუქტურებში, პარლამენტშია შეტანილი და სადაც გაცხოველებული ვაჭრობა მიდის საქართველოთი.**

საქართველო არ იყიდებაო, კი ამბობს ნასარიძე, მაგრამ სინამდვილეში საქართველო, როგორც ამბობენ, მთლიანად გაყიდული და გადანაწილებულია.

აი, ამის ჩამოსაწერად, ამის იურიდიულად გასაფორმებლად ხომ არ ჭირდებათ ვიღაც-ვიღაცებს ომი და ამ მიზნით ხომ არ ეძებენ სპარინგპარტნიორს?

* * *

**ხელისუფლება შარზეა — მე დემოკრატიული, სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარებისთვის ვილვწი, ვიღაცები კი ომისა და რევოლუციისთვის ემზადებიანო.**

**ამ „ვიღაცებში“ მოცემულ სიტუაციაში ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს გულისხმობს, რომელსაც რუსეთის კაცად და რუსული სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელ ფიგურად აცხადებს.**

ენა როგორ უნდა მოგიტრიალდეს კაცს, ბიძინა ივანიშვილი რუსეთის აგენტად შერაცხო, თუმცა ამაზე საუბარს თავი დავანებოთ და ის გავიხსენოთ, კიდევ ვინ იყვნენ ე.წ. რუსეთის აგენტები ამ ხელისუფლების მტკიცებით.

ვინ იყვნენ და იგორ გიორგაძე, ბადრი პატარკაციშვილი, ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი, ზურაბ ნოღაიდელი, კონსტანტინე გამსახურდია, ცოტნე გამსახურდია, ლევან ბერძენიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური, გოგა ხაინდრავა, ლევან გაჩეჩილაძე, გუბაზ სანიკიძე, სხვები და სხვები...

**რა გამოდის, ყველა ვინც კი კრიტიკული სიტყვა შეჰბედა მის უმწიკვლოესობა ხელისუფლებას, უკლებლივ ყველა მაინცდამაინც რუსეთის, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის აგენტურაა?**

**არ შეიძლება კაცი უბრალოდ იყოს ოპოზიციაში და არ იყოს რუსეთის აგენტი?**



როცა, ხელისუფლების შეფასებით, ყველა ოპოზიციონერი ერთი სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, რუსეთის აგენტია, ჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლება ხელოვნურად აკოწიწებს მეხუთე კოლონას, რომ მერე ამ კოლონასთან ანგარიშსწორების საბაბით ძალისმიერი მეთოდებით გაუსწორდეს მისთვის არასასურველ ყველა პოლიტიკურ სუბიექტს.

არის კიდევ ერთი გარემოება: თუ მთელი ოპოზიციური სპექტრი პრორუსული ორიენტაციისა, გამოდის, რომ პრორუსული ორიენტაციისაა ის ელექტორატიც, რომელიც ამ ოპოზიციურ სპექტრს უჭერს მხარს.

ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას დავუჯერებთ და ვირწმუნებთ, რომ ივანიშვილი რუსული პროექტია, ავტომატურად კეთდება დასკვნა, რომ ის ასიათასობით ქართველი, რომლებიც ივანიშვილს უჭერენ მხარს, პრორუსული ორიენტაციისა ყოფილან და, აქედან გამომდინარე, ყალბია თურმე ის ინფორმაცია, თითქოს საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი საქართველოს ნატოში გაწევრიანების მომხრეა.

**ხელისუფლება მთელი ოპოზიციური სპექტრის პრორუსულ ძალად მონათვლით, ფაქტობრივად, ეჭვქვეშ აყენებს თავისი ლეგიტიმურობის საკითხს და იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ის საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არ აურჩევია და არჩევნების გაყალბებით არის დაუფლებული ძალაუფლებას, რისი გაკეთებაც მას გარეშე ძალების მხარდაჭერის გარეშე არ შეეძლო.**

**გამოდის, რომ ეს ხელისუფლება თვითონ არის რომელიღაც უცხო ქვეყნის ან უცხო ქვეყნების რომელიღაც ალიანსის აგენტურა.**

სულაც არ არის გამორიცხული, რომ ეს უცხო ქვეყანა რუსეთი იყოს...

გემახსოვრებათ, ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ ბევრი ადამიანი, რომლებიც რუსეთის ხმალამოღებულ მტრებად და შეურიგებელ ოპონენტებად ითვლებოდნენ, სწორედ რუსეთმა შეიფარა და რუსეთმა უპატრონა.

ამ სააკაშვილს და მის გუნდს გასაქცევად თუ შეექნა საქმე, გამორიცხული არ არის, მათი უმრავლესობა ისევ რუსეთის მოწყალე კალთას შეეფაროს და იქიდან დაგვეჭყანოს — მოგატყუეთ, ქართველებო, ჩვენს მიერ აგენტებად გამოცხადებული პირები კი არა, რუსეთის აგენტები ჩვენ ვიყავითო...

* * *

ამასწინათ ერთ გაზეთში ყოფილი მხედრიონელების და ზვიად გამსახურდიას მომხრეები პოლემიკას შეჰყვნენ და გამსახურდიას მომხრეებმა ისეთი ცოდვები გაუხსენეს მხედრიონელებს, თმები ყალყზე დაუდგებოდა კაცს.

რედაქციამ სასწრაფოდ შეწყვიტა პოლემიკა, რადგან მიხვდა, რომ ამ საშინელი ამბების გახსენება არ შეიძლებოდა...

ზემოთ ვთქვი, რომ ის საზარელი ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და სულ მცირე ნაპერწკალია საჭირო, რომ ჯერჯერობით ლუქდადებულმა იმ სიძულვილმა კვლავ იფეთქოს.

არავის არაფერი არ დავიწყნია, რადგან ასეთი რაღაცების დავიწყება შეუძლებელია.

დავიწყებით ვერ დაივიწყებ, მაგრამ შეხებითაც არ უნდა შეეხო, არ უნდა უჩხიკინო, თორემ შეიძლება ნაღმივითი აფეთქდეს...

დანაღმულ ველს ჰგავს იმ ავადმოსაგონარი ძმათამკვლელი ომის გახსენება.

იმ გაზეთში მოთხრობილ ამბებზე უფრო შემზარავი ამბები ვიცი, თუმცა ამ ამბებზე არასოდეს დამიწერია, არასოდეს



მისაუბრია საჯაროდ, რადგან ეს იგივეა, ადამიანებს ხელახლა მოუწოდო და ხელახლა წააქეზო შურისძიებისკენ.

ერთ რამეს მაინც ვიტყვი: არავის ისეთი აზარტით, ისეთი მონდომებით და ისეთი სისასტიკით და დაუნდობლობით არ ებრძვის ქართველი, როგორც ქართველს.

თუნდაც ამიტომ არ შეიძლება ქართველთა შორის ომი, რადგან ომი ქართველთა შორის ომი კი არა თვითმკვლელობაა...

* * *

ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს ვიღაც რევოლუციისთვის და სამოქალაქო დაპირისპირებისთვის ემზადება, თვითონ კი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ამ სამზადისს ხელი შეუშალონ და არჩევნები მშვიდობიანად და სამართლიანად ჩაატარონ.

„ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“, „გაღმა შეედავე და გამოღმა დაგრჩებაო“ — სწორედ ამაზეა ნათქვამი.

**ბიძინა ივანიშვილს რევოლუცია და ხელისუფლებაში ძალისმიერი გზებით მოსვლა რომ სდომოდა, რაღა ერთი წლის განმავლობაში გაჭიმავდა „ამ საქმეს“ და ყვავყორანივით მისეულ „ნაცმოძრაობას“ თავს რატომ დააკორტნიებდა — გასული წლის ოქტომბრის თვეშივე, როცა პოლიტიკაში მოსვლის განაცხადი გააკეთა, ერთი რომ ეთქვა: — ხალხო, გამოდით გარეთ და ამ ქვაბ-ავაზაკებს კუდით ქვა ვასროლინოთო, მთელი საქართველო გამოვიდოდა გარეთ და ეს იმდენად მასშტაბური, იმდენად გრანდიოზული საპროტესტო გამოსვლა იქნებოდა, ყოველგვარი სისხლისღვრისა და ექსცესების გარეშე, ტრიუმფალურ გამარჯვებას მოიპოვებდა.**

ბიძინა ივანიშვილი არ წავიდა ამ გზით და მიუხედავად ხელისუფლების მიერ მისი მისამართით განხორციელებული არაერთი მაპროვოცირებელი ქმედებისა (მოქალაქეობის ჩამორთმევა, უსაფუძვლო ჯარიმები, დაყადაღებები და ა.შ.) მან შეძლო შეენარჩუნებინა სიმშვიდე და ერთგული დარჩენილიყო პრინციპისა: — ხელისუფლება უნდა შეიცვალოს მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებით.

როცა აკვირდები, თუ როგორი შეუპოვრობით და სტოიციზმით, როგორი მოთმინებით მიდის იგი დასახული მიზნისკენ, როგორ არ აქცევს ყურადღებას შეურაცხმყოფელ რეპლიკებს, ბინძურ ცილისწამებებს და უსაფუძვლო ბრალდებებს, როგორ მოუწოდებს ყოველდღე თავის ასიათასობით მხარდამჭერს, არ აჰყვნენ ხელისუფლების პროვოკაციულ გამოწვევებს, ყოველივე ამის შემდეგ ძალიან სინდისგარეცხილი უნდა იყო, რომ ამ ადამიანს რევოლუციისკენ მისწრაფებებში და ძალისმიერი მეთოდებით ძალუფლების ხელში ჩაგდების მცდელობაში დასდო ბრალი.

ხელისუფლება წაღმა-უკუღმა ატრიალებს ივანიშვილის განცხადებას — თუ არჩევნები გაყალბდა, ჩვენ დავიცავთ ჩვენს ხმებს — და ამ განცხადებაში რატომღაც სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მოწოდებას ხედავს.

— ივანიშვილს არ აინტერესებს არჩევნების შედეგები... მას აინტერესებს სიტუაციის დაძაბვა, ტემპერატურის კრიტიკულ ზღვრამდე აწევა, ამისთვის კი საბაბად არჩევნების გაყალბების თემას გამოიყენებს, — ასკვნიან „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები.

როგორც ვთქვით, ოქტომბრიდან დღემდე თითქმის ათი თვის განმავლობაში სიტუაციის გამწვავების იმდენი მიზეზი და საბაბი ჰქონდა ივანიშვილს, მას რომ ეს სდომოდა, ათჯერ მოახდენდა რევოლუციას.

ცხადია, პრობლემა ივანიშვილის „რევოლუციურ ახირებებსა და ამბოხება-აჯანყებისადმი მიდრეკილებებში კი არ არის, არამედ ხელისუფლების პათოლოგიამდე მისულ სურვილში, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ნებისმიერი ხერხით, ნებისმიერი მეთოდებით, მათ შორის პირველყოვლის, არჩევნების გაყალბებით შეინარჩუნოს ძალაუფლება, რადგან ძალაუფლების შენარჩუნება არის მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის ერთადერთი გარანტი.

ფაქტია, ხელისუფლებამ იცის, რომ ობიექტურ, სამართლიან არჩევნებში ის „ქართულ ოცნებას“ ვერ მოუგებს, ამიტომ მას სხვა გამოსავალი არ აქვს,

14 gv.

SOS! SOS! SOS! SOS! SOS! SOS! SOS!

13 gv.

გარდა გაყალბებისა, გაყალბების შემდეგ კი თუ ხალხი თავისი ხმების დასაცავად ქუჩაში გამოვა, ის მზად არის, ხალხისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება — დაიცვას თავისი ხმები, გააპროტესტოს უსამართლობა და უკანონობა — ამბოხებად, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად გამოაცხადოს და ქუჩაში გამოსულ მშვიდობიან მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდეს, რაც ამ ხელისუფლებას აქამდეც ბევრჯერ გაუკეთებია.

**ცოტათი უტრირებული ფორმით რომ ვთქვათ, ხელისუფლება ირიბად მიგვანიშნებს შემდეგზე: — მომეცით არჩევნების გაყალბების საშუალება, აღიარეთ გაყალბებული შედეგები, აღიარეთ, რომ გავიმარჯვე, თუ ამას არ გააკეთებთ და ხმის ამოღებას გაბედავთ, ყველაფერზე წამსვლელი ვარ...**



**ხელისუფლება, ფაქტობრივად, გვაშანტაჟებს და დენთის კასრზე შესმულ ქვეყანას აფეთქებით ემუქრება თუ არჩევნებში დამარცხდება.**

ექსპერტთა და პოლიტოლოგთა აზრით, ხელისუფლება ამუშავებს კიდევ ერთ სათადარიგო ვარიანტს — ეს არის ომის პროვოცირება, ამ მოტივით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, საპარლამენტო არჩევნების ჩაშლა და გაურკვეველი ვადით გადადება.

ექსპერტთა აზრით, ეს მოხდება მაშინ, თუ ხელისუფლებას არჩევნებში გამარჯვების ყველანაირი იმედი გადაეწურება.

სამწუხაროდ, სააკაშვილი და მისი გუნდი მმართველობის ამ ცხრა წლის განმავლობაში ჩადენილი ცოდვების და დანაშაულებების მძევალია.

საკუთარი წარსული დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მათ თავზე და ერთი წაფორხილებაც საკმარისია, ეს მახვილი მათ კისერზე დაეშვას.

* * *

ასეთი მძიმე, ძალზე საგანგაშო სურათი დაიხატა ამ წერილში, თუმცა, ვფიქრობთ, არც არაფერი გაგვიზვიადებია და არც არაფერი გამოგვიგონია.

ეს რეალობაა, მკაცრი, ფეთქებადსაშიში, საბედისწერო რეალობა, რომლის შელამაზების და შეფერადების უფლება არავის არ აქვს, რადგან საკითხი ქვეყნის ყოფნა-არყოფნას ეხება.

არა აქვს მნიშვნელობა, რა საბაბით, რა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით შეიძლება დაიწყოს სამოქალაქო დაპირისპირება საქართველოში, ყველა შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება და მოკითხვითაც სწორედ მას მოეკითხება ყველაფერი.

**ხელისუფლება უნდა მიხვდეს, ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ მისი გადარჩენის და შემდგომშიც პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების ერთადერთი შანსი არჩევნების გაუყალბებლად, დემოკრატიულად, ცივილიზებულად ჩატარებაა, ანუ ის გზაა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას სთავაზობს.**

სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს!

ეს უნდა გააცნობიეროს ამ ხელისუფლებამ და შაჰიდის ქამარშებმული თვითმკვლელივით არ უნდა მოიქცეს.

მერწმუნეთ, ხვალ რომ სამოქალაქო ან სხვა ტიპის ომი დაიწყოს საქართველოში, ზეგ არ იქნება ქართული სახელმწიფო.

იქნება ქვეყანა, მაგრამ არ იქნება სახელმწიფო...

ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია აღკვეთოს ეს საშიშროება — არის ქართველი ხალხი.

სწორედ ქართველმა ხალხმა უნდა განაცხადოს მთელი კატეგორიულობით, რომ ის არ დაუშვებს რაიმე სახის პროვოკაციას, რომელიც ომის საფრთხეს რეალურს გახდის.

* * *

წერილის დასაწყისში ვთქვით, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული ომი ჯერ არ დამთავრებულა. არსებობს ეჭვი, რომ ის, სამოქალაქო ომად მონათლული, მაგრამ სინამდვილეში მთელი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ომი დღეს იმ ავანტურისტების პარტიულ შვილიშვილებს სურთ დაამთავრონ, რომელთა პოლიტიკურმა წინაპრებმაც დაიწყეს იგი.

დაამთავრონ ის დაუმთავრებელი ომი და ამით დაამთავრონ საქართველოც.

# guram CaxvaZe: `nacionaluri moZraobis~ programa mxolod winasaarCevno piaria



**„საერთო გაზეთს" ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით „ეროვნულ-დემოკრატიული" პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი გურამ ჩახვაძე ესაუბრა.**

**— ბატონო გურამ, საზოგადოებას მოუწოდეთ, უარი თქვან მმართველი გუნდის წინასაარჩევნო პროგრამაზე და ხელი არ მოაწერონ „ნაციონალური მოძრაობის" პროექტს „ხელშეკრულება საქართველოსთან". რატომ, რა არის მიზეზი?**

— შეგახსენებთ, რომ მმართველმა გუნდმა ამომრჩეველთან ამგვარ ხელშეკრულებას ხელი უკვე ორჯერ, 2004 და 2008 წწ საპარლამენტო არჩევნების დროს, იმ პირობით, მოაწერა რომ სოციალურ პრობლემებს მოაგვარებდა, დაძლევდა უმუშევრობას, მაგრამ „ნაციონალურმა მოძრაობამ" პირობა ორივე სახელისუფლო ვადის დროს დაარღვია. ჩვეულებრივ ყოფით პირობებში, პიროვნებას, რომელიც ხელშეკრულებას დაარღვევს, ნდობა აღარ უნდა გამოუცხადო. პოლიტიკაშიც ასეა. ამიტომ საზოგადოებას, უბრალოდ, შევახსენე, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ პირობა გატეხა და მათ კიდევ ერთხელ მხარი აღარ უნდა დაუჭირონ.

მეორე მიზეზი, რის გამოც „ნაციონალური მოძრაობის" პროექტს ამომრჩეველმა მხარი არ უნდა დაუჭიროს, არის ის, რომ პროგრამა შედეგზე ორიენტირებული არ არის და წინასაარჩევნო პიარისთვისაა განკუთვნილი. თუმცა დოკუმენტში წარმოდგენილი საკითხები საქართველოს მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია.

**— „ნაციონალური მოძრაობის" პროგრამის მიხედვით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში უნდა განახევრდეს უმუშევართა რაოდენობა, უნდა მოხდეს სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სოფლის მეურნეობის განვითარება. რატომ თვლით, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია და პროგრამა შედეგზე ორიენტირებული არ იქნება?**

— მმართველი გუნდის გეგმით უნდა მოხდეს უმუშევართა აღწერა, დატრენინგება და შესაბამის ბაზაში დარეგისტრირება. რა აკლია ამ გეგმას და რატომ ვერ მივაღწევთ რეალურ შედეგს? პირველი არის ის, რომ აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა სადაც განსაზღვრული იქნება უმუშევრის სამართლებრივი სტატუსი. მეორე, ჩვენ გვჭირდება უმუშევრობის დაზღვევა, რაც სახელმწიფოს მხრიდან უმუშევრებზე ფულადი დახმარების გაწევას გულისხმობს. არც ერთი მათგანი „ნაციონალური" მოძრაობის გეგმაში შემოთავაზებული არ არის.

ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფო უმუშევარ ადამიანებს უნდა დაეხმაროს ახალი სამუშაო ადგილის მოძიებაში, რაცა ასევე ამ გეგმაში არ არის.

**— მმართველმა გუნდმა დასაქმების სამინისტრო სწორედ ამისთვის ჩამოაყალიბა და სათავეში პაატა ტრაპაიძე ჩაუყენა.**

— პაატა ტრაპაიძე უპორთფელო მინისტრია, რომელსაც სამინისტრო არ გააჩნია. ეის არის მინისტრი, რომელსაც დასაქმების პოლიტიკის რეალიზაციისთვის შესაბამისი სტრუქტურა არ აქვს. ამიტომ ვამბობთ ეროვნულ-დემოკრატები რომ, საჭიროა, ქვეყანაში ჩამოყალიბდეს დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, იგივე შრომის ბირჟა. მას ექნება რეგიონალური განყოფილებები, სადაც რეგისტრაციას გაივლიან უმუშევარი მოქალაქეები და მიიღებენ უმუშევრობის ყოველთვიურ შემწეობას, გაივლიან უფასო პროფესიულ გადამზადებას და სააგენტო დაეხმარება მათ ახალი სამუშაო ადგილის მოძიებაში.

**— რაც შეეხება მმართველი გუნდის პროგრამას სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში, აქაც თვლით, რომ უმუშევრობის მსგავსად შედეგი არ გვექნება?**

— სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის საკმარისი რაოდენობის, გამართული ინფრასრუქტურის გარდა, მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება გლეხისთვის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული მომსახურება, რომელიც შეიძლება, რიგ შემთხვევაში, კერძო სექტორმაც ითავოს. საამიტომ პრობლემა ისაა, რამდენად შეძლებს გლეხი აღნიშნულ მომსახურებაში ფულის გადახდას. დღეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გლეხური მეურნეობების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაა.აამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნულ-დემოკრატებს საკუთარი გეგმა გვაქვს. უუფასო არაფერი არ უნდა იყოს, მაგრამ კრედიტები სოფლის მეურნეობას აუცილებლად დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი სჭირდება. ამისთვის აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას სახელმწიფო კომერციული აგრარული ბანკი, რომელი კრედიტებს მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე და ძირითადად, წვრილ გლეხურ მეურნეობებზე გასცემს.

**— როგორია თქვენი სტრატეგია, არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებთ მონაწილეობას, თუ საარჩევნო ბლოკის სახით?**

— ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური გარემოს უზრუნველსაყოფად „ეროვნულ-დემოკრატების" სურვილია ზომიერი პოლიტიკური ძალების გაერთიანება მოხდეს.

**— ზომიერ პოლიტიკურ ძალებში ვის გულისხმობთ?**

— „ახალ მემარჯვენეებს", „ქრისტიან-დემოკრატებს", „ედპ"-ს. გაერთიანება კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ედპ" არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღებაზე არ მუშაობს.

**— როგორია, თქვენი დამოკიდებულება არჩევნებთან დაკავშირებით? ხელისუფლების მხრიდან იქნება გარანტია, რომ საპარლამენტო არჩევნებში ევროპული სტანდარტების დაცვით თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ჩატარდება?**

— არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. საქართველოში ჩატარებული არჩევნები, თუ საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა, მაშინ საქართველო ევროატლანტიკურ სივრცეში გასაწევრიანებლად მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს, რაც ჩვენი ქვეყნის წარმატება იქნება, იმის მიუხედავად არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს. რისკი, რომ ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს, ყოველთვის არსებობს. ამის გასანეიტრალებლად აუცილებელია საერთაშორისო დამკვირვებლებისა და არასამთავრობო სექტორის მობილიზება და საარჩევნო პროცესებზე დაკვირვება. თუმცა სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქართველი ხალხის აქტიურობა და საარჩევნო უბნებში მისვლა.

**— ბატონო გურამ, ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, რომ „ქართული ოცნების"" გამარჯვების შემთხვევაში საქართველო დამოუკიდებლობას დაკარგავს. თქვენი პოზიციის გასამყარებლად რა არგუმენტი გაგაჩნიათ?**

— პოლიტიკური თვალსაზრისით, „ქართული ოცნება" პრორუსული ძალაა. ვგულისხმობ, იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც კოალიციაში გაერთიანდნენ, ნაწილი მაგალითად, ბატონი დავითაშვილი და ბატონი ძიძიგური რუსული ორიენტაციის შესახებ ღიად აცხადებენ. კოალიციაში შემავალი პარტიების ნაწილი ნეიტრალიტეტის პრინციპს იცავენ, რაც „ედპ"-თვის საქართველოს რუსული გავლენის სფეროში დაბრუნებას ნიშნავს. ამასთან, ივანიშვილის გუნდის წევრებმა თავის დროზე დადეს გეგმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შესახებ, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ცალკე სუბიექტად აღიარებას გულისხმობდა. ეს ბატონ თედო ჯაფარიძის თანავტორობით შექმნილი პროექტი გახლდათ. თუნდაც ბატონი პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც „რესპუბლიკური პარტიის" სახელით აცხადებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთთან კონფედერაციის შექმნის შესახებ.

**— ბატონი ბიძინა ივანიშვილი ცალსახად ამბობს, რომ საქართველოს მიზანი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა. შესაბამისად, „ქართული ოცნება"," თუ რუსული ინტერესების გამტარებელია, ივანიშვილი რატომ გამოდის ამგვარი მოწოდებებით?**

— ბატონმა ივანიშვილმა, როცა პირველი წერილი გამოაქვეყნა, სადაც განმარტებული იყო მისი შეხედულებები, პოზიციები, თუ როგორ უყურებდა საქართველოს მომავალს, კარგად ჩანდა მისი დამოკიდებულება ქვეყნის საგარეო ვექტორებთან დაკავშირებით და ეს ნამდვილად პროდასავლური ორიენტაცია არ იყო. გორში მოსახლეობასთან შეხვედრისას ივანიშვილს საგარეო ორიენტირების შესახებ პოზიცია შეცვლილი ჰქონდა და თქვა, საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი უნდა გახდესო. პპოზიციების ასეთი ცვალების გამო უკვე მის გულწრფელობაში ეჭვი მეპარება.

**— თქვენ არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს?**

— არის პოლიტიკოსთა ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ. ამაზე საუბარი მიუღებელია მაშინ, როცა რუსების მიერ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია. თავდაპირველად ოკუპირებული ტერიტორიების აღდგენა უნდა მოხდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებაზე, სავაჭრო ურთიერთობის აღდგენასა და სხვა.

**— საუბარია, რომ საქართველოში არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ქვეყნის შიგნით არსებული დესტაბილიზაციით რუსეთის ხელისუფლებამ, შესაძლოა, ისარგებლოს და საქართველოში კვლავ შემოიჭრას. როგორია თქვენი დამოკიდებულება?**

— **NDI**-ის კვლევებმა ცხადი გახდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ქუჩაში გამოსვლის მომხრე არ არის. ცხადია, საფრთხე იმისა, რომ რუსეთი საქართველოში შემოვა, არსებობს და შეიძლება საბაბად არჩევნების გაყალბება გამოიყენოს.

**მირანდა ნაბახტეველი**

NDI
NATIONAL
DEMOCRATIC
INSTITUTE
FOR INTERNATIONAL AFFAIRS

# am xelisuflebas surs mTeli saqarTvelo kikud aqcios, magram araferi gamouva

***„საერთო გაზეთის" სტუმარია, „ქართლი ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატი სენაკის რაიონში, მწერალი გურამ ოდიშარია.***

**— ბატონო გურამ, ბიძინა ივანიშვილმა ამ მართლაც უმნიშვნელოვანესი მისიის შესრულება თქვენ ურთულეს პერიოდსა და ურთულეს რეგიონში დაგაკისრათ. ფაქტობრივად ურთულეს პოლიტიკურ რეგიონს შეეჭიდეთ. საქართველოში ისტორიულად უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ძვრები სწორედ სამგრელოდან იწყებოდა ყოველთვის. როგორ და რამდენად ხართ ამისთვის მზად, ბატონო გურამ?**

— სიმართლე გითხრათ, საქართველოს და განსაკუთრებით ჩემი მხარის დასახმარებლად მზად ყოველთვის ვიყავი. სამეგრელო, ისტორიულად და საქართველოს ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენდა და წარმოადგენს. ახლა კი, თავისთავად, როცა ხდები პარტიული, ეს მეტ ორგანიზებულობას, დისციპლინირებულობას და ა.შ მოითხოვს, მაგრამ ახლა უკვე ეს კონკრეტულად ბატონი ბიძინას და მთელი გუნდის დავალებაცაა ის, რომ მე სენაკში ვიყარო კენჭი. სენაკი კი ჩემი სამშობლოა. მე სოხუმში დავიბადე, გავიზარდე და იქ ჩემი მამა-პაპათა საძვალეა. სენაკში არის ერთი სოფელი ნოსირი, არის პირველი ნოსირი, მეორე ნოსირიც და ერთი სოფელი ფაქტობრივად, არის საოდიშარიო. მანდ ბევრი ოდიშარია ცხოვრობს, რომელთა წამომადგენლებიდანაც ბევრი ხატავს, წერს, ზოგიც ფეხბურთს მიჰყვება. გარდა ამისა, მანდ არის სამხედრო ბაზაცა და ბევრი დევნილიც ცხოვრობს. დაახლოებით, 10 000 დევნილი ცხოვრობს სენაკის რაიონში, რომელთა მოსანახულებლადაც, ბოლო თხუთმეტი წელია ხშირად დავდივარ ხოლმე და ვეკითხები, რა შემიძლია გავაკეთო მათთვის და რით დავეხმარო?! როგორც იმ კუთხის შვილს, მათი გასაჭირიც ყოველთვის მიმქონდა გულთან. რაც მთავარია, სპექტაკლი, რომელიც ჩემი სცენარის მიხედვით ბატონმა თემურ ჩხეიძემ დადგა — "ზღვა, რომელიც შორია...", ჩვენ სენაკშიც ჩავიტანეთ და იქაურებსაც ვაჩვენეთ. გარდა ამისა, იქაური ინტელიგენციიდან ძალიან ბევრი მეგობარიც მყავს. თემურ ჩხეიძის ამ სპექტაკლში ბევრია საკამათო და სპექტაკლის დასრულებისას (თავისი სატკივარის გასაზიარებლად), ხალხი შინ აღარ მიდიოდა ხოლმე. რჩებოდა და ხშირად დისკუსიაც იმართებოდა, მაგალითად, იმაზე, თუ რატომ თქვა აფხაზმა გმირმა ესა თუ ის ფრაზა?! ქართველმა რა და რატომ უპასუხა ასე და რისი თქმა უნდოდა ამით და ა. შ?! ამით, აფხაზი და ქართველი ხალხის ერთობლივი სატკივარისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესი მიმდინარეობდა. სპექტაკლი ოთხ კამერაზე გვაქვს გადაღებული და სურვილი გვაქვს, იქაც მოვაწყოთ ჩვენება, რადგან ყველას ნანახი არა აქვს. ნახვის სურვილი კი საკმაოდ დიდია, რადგან ეს აფხაზეთის მტკივნეული თემაა და აფხაზეთთან არის დაკავშირებული თვითონ სენაკიც. აფხაზეთისა და სენაკის თემას უკავშირდება გმირი კაცის, ჟიული შარტავას ისტორიაც, რომელიც დაიბადა სენაკში, მოღვაწეობდა თბილისში და და დაიღუპა ჩემს მშობლიურ დედაქალაქ სოხუმში. იქედანაა აქვს ფესვები გურამ გაბისკირიასაც, რომელიც იყო ქალაქის მერი და გმირი, ომამდეც და ომის დაწყების დროსაც. გემახსოვრებათ კიდეც კადრები, როდესაც მას ეუბნებიან, დაიჩოქოს და ის პასუხობს: „í èêîãäà â æèçí è"- არასდროს ამას არ გავაკეთებო!. იქედანაა წარმოშობით გენარალი გენო ადამიაც და ბევრი რამ აკავშირებს მასთან. ომის დროს, როდესაც უღელტეხილი გადმოვიარეთ, მე გავიარე სენაკი. შემდგომ, ცოტას რომ გაივლი, ცხენისწყალია, სადაც დავინახე „შუაზე გაყოფილი საქართველო"- ცალ მხარეს (რომელიც შემდეგ მაქვს აღწერილი). სენაკის მხარეს იდგა „ბმპ"- მეომართა ჯავშანმანქანა, რომელზეც იყო შინდისფერი დროშა. მასზე წვერმოშვებული მეომარი ბიჭები ისხდნენ და ეჭირათ კალაშნიკოვები. გადავედით ცხენისწყალს და გავიხედეთ და იქაც იგივე „ბმპ" დგას, იქაც წვერმოშვეული ბიჭები შინდისფერი დროშითა და იგივე კალაშნიკოვებით ხელში. მოკლედ, განსხვავება არაფერი იყო. აი, ეს იყო „შუაზე გაყოფილი საქართველო" და ის უბედურება, რაც მაშინ დაგვატყდა თავს და ჯერაც არ არის დასრულებული. ასე, რომ სენაკი ჩემთვის ამიტომაც არის ძალიან მნიშვნელოვანი და მტკივნეული ამ კუთხითაც.

**- საერთოდ, სამეგრელო და ლაზური ფენომენი ბიბლიურ ლაზარესთან და ამით საქართველოს აღდგომასთან არის დაკავშირებული. ამით, საქართველოს აღდგენა-გამთლიანებაც თავისთავად სამეგრელოს უკავშირდება. საქართველოს ყველა კუთხეს და მით უფრო, სამეგრელოს, ბოლო პერიოდში ყოველთვის უჭირდა. როგორ აპირებთ ამ მართლაც დაჩაგრული და გაჭირვებული მხარის დახმარებას, ბატონო გურამ?**

— ნებისმიერი დახმარება, უპირველესად, მატერიალური, ამ ეტაპზე, სამწუხაროდ... ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სიტყვით გავამხნევოთ და მოვუწოდოთ, რომ კიდევ ორი თვე და რაღაც დღეები უნდა მოვითმინოთ და გავძლოთ! ჩვენი ხსნაც ჩვენსავე ხელთაა და ნებისმიერი მათგანის მომავალიც მათ ხელთაა. და, აი, მართლაც, თქვენ სწორედ აღნიშნეთ, რომ ბოლო პერიოდის ყველა ის სისასტიკე, რაც ამ მხარეს შეეხო და ამ მხრივ, გარკვეულწილად, ეს სამეგრელოსაც ყველაზე დაჩაგრული კუთხედ წარმოაჩენს. აი, ამასწინათ, კიდევ ერთხელ ვნახე ერთი გადაცემა... იქ იყო დარჩელში (არქივის კადრები — .ბ.ა.) თუ როგორ ვებრძვით ქართველები ერთმანეთს. როგორ ებრძვიან ქართველები ქართველებს. ეს ყველაფერი სამეგრელოში ხდებოდა და კიდევ ერთხელ თავიდან განვიცადე თითქოს ეს ყველაფერი. და ეს ყველაფერი სწორედ სამეგრელოში ხდებოდა და ეს მათაც განიცადეს. საუბედუროდ და სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხალხის დასახმარებლად სხვამ არაფერი გააკეთოს! რომ ეს მასთან არ მივიდეს. ეს ყველაფერი კი იმ ეგიდით ხორციელდება, რომ „მე უნდა ვიყო ტახტზე, მე უნდა ვმართო ქვეყანა და როგორც მინდა, ისე გავაკეთო ყვლაფერი და აი, შენ კი, უფლებას არ გაძლევ, რომ გააკეთო სიკეთე"!. აი, ხალხამდე რომ არ უშვებს... და ამას ხედავენ ადამიანები. ხოლო ის, ვინც ამას ვერ ხედავს...? დიდი ხანია არ მინახავს „რუსთავი 2"-ისა და „იმედის" გადაცემები. სწორედ ამ დღეებში ჩავრთე და ვუყურე. იქ იყო ბიძინა ივანიშვილის მიერ დებუტატების წარდგენის კადრებიც და აი, კახეთში რაც მოხდა... ბატონი ბიძინა რომ ჩავიდა და უთხრა დაგეხმარებით: „მარტო ის კი არა, რაც ვთქვი, ამის გარდა კიდევ ბევრი რამ, რა შემიძლია გაგიკეთოთ და რითი შემიძლია დაგეხმაროთ და გვერდში დაგიდგეთო?" ადამიანი მთელი სულითა და გულით, არალიტონი სიტყვებით, ცდილობდა უბედურებაში ჩავარდნილი ხალხის გასაჭირის გაზიარებას. მაგრამ მთავარი ისაა, როგორ აჩვენეს და როგორ გაუკუღმართებულად გააშუქეს ეს ყველაფერი?!



**- იმ დროს, თუ ვინმე ამ უმძიმეს პერიოდში შენი მოქალაქეების დახმარების ხელს გიწვდის, სახელმწიფოს ეხიდება მადლობის მაგიერ ზიზღი და სიძულვილი უნდა დაახვედრო? ადრეც ხომ ეხმარებოდა ივანიშვილი თავის ქვეყანას. ხომ აღმოჩნდა, თეატრები, უნივერსიტეტები, ტაძრები, სკოლები და ა.შ. უამრავი რამ - ყველაფერი ივანიშვილის გაკეთებული რომ ყოფილა?! მართალია, რურუამ „გაკეთებულის ხარისხი" დაუწუნა, მაგრამ ასეთი უმადურობა როგორ შეიძლება?**

— ეს არის გაუგონარი უმადურობა, რომელიც თუ ასე გაგრძელდა — მტრისას. თუ ეს უმადურობა ასე გაგრძელდა, მაშინ ჩვენ თაობები გაგვეზრდება, რომლებიც იმ უძვირფასეს სულიერ თვისებებს დაკარგავენ, რაც გაჭირვებულის, მოყვასის გვერდში დგომისა და დახმარების სიკეთის ქმნის მადლით წარმოიშობა. ამბავი, რომელსაც გავიხსენებ, სამეგრელოშიც მსმენია: ცხენოსან კაცს გზაზე ცუდად მყოფი კაცი შემოხვდება, რომელსაც მუცელი ხელით უჭირავს და გზაზე კოტრიალობს. ცხენოსანი ჩამოდის ცხენიდან. მიდის მასთან და ეკითხება, რამე ხომ არ უჭირს და რა დახმარების გაწევა შეუძლია? ეს კაცი წამოხტება, მოახტება მხედარის ცხენს და გააჭენებს. ცხენის პატრონი ეძახის: - „ გაჩერდი, ერთი წუთით გაჩერდიო"! ცხენზე შემომჯდარი და უკვე ცხენს დაპატრონებული კაცი შეჩერდება და უკვე ქედმაღლურად ეკითხება: - „რაო, რა გინდაო?" ცხენის პატრონი ეუბნება: -„სოფელში, სადაც მიდიხარ, აუცილებლად შეგეკითხებიან, საიდან გყავს ეს ცხენი და აუცილებლად შეგეკითხებიან იმასაც, ეს ცხენი როგორ იშოვნე და როგორ მოიპოვეო? შენ კი, როცა ეტყვი მათ, ეს ცხენი ასე მოტყუებით რომ წამგვარე, მაშინ კაცი კაცის ნდობას დაკარგავს და გთხოვ, ეს არ გააკეთოო"! ანუ კაცი, რომელმაც ცხენი დაკარგა, კიდევ სხვა ადამიანებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე და ქვეყანაზე ფიქრობდა.!

**— ამ ისტორიამ, ბატონო გურამ, დათა თუთაშხია გამახსენა.**

— დიახ, ესაა. ნამდვილად თუთაშხიას მომენტია- ერთი ისევ ადამიანებზე და ქვეყანაზე ფიქრობს, მეორე კი- არაფერზე არ ფიქრობს. ისევე, როგორც, მაშინ, როდესაც არიან ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ „ივანიშვილის გაკეთებული რემონტი ისევ თავიდან არის გასაკეთებელიიო"- ეს უკვე უმადურობაა და ეს უმადურობის გრძნობა არ უნდა გადაეცეს თაობიდან თაობას.

**— ხალხი ყველაფერს ხედავს, ბატონო გურამ.**

— მართალია, ხალხი ყველაფერს ხედავს და ჩვენი მისიაც სწორედ ის არის, რომ იმ ჩვეულებრივ ადამიანებს ვესაუბროთ ჩვეულებრივად, ადამიანურად და ვუთხრათ. სწორედ იმ ადამიანს ველაპარაკოთ და მათთვის გასაგები ადამიანური ენით ავუხსნათ, რომ ეს ასე არ არის, ვინც ეს ვერ ვერ ნახა, ეშინია, ან კიდევ რაიმე სახვა მიზეზი არსებობს ამისა. ვუთხრათ, რომ მოვა ოქტომბერი და მის ხელთაა ეს ყველაფერი! ჩვენს შემთხვევაში, ყველაფერი მათზეა, დამოკიდებული - თუ მოახერეხებს და ხმას მისცემს- აი, მერე შეიცვლება ყველაფერი! მერე უკვე ჩვენც გვექნება საშუალება დავეხმაროთ — სამგრელო იქნება ეს თუ საქართველოს ნებისმიერი რეგიონი.

**- ბატონი ბიძინას აქციებზე გამოსვლის წარმატების მთავარი მიზეზსაც, როგორც რიგითი ადამიანი, მეც იმაში ვხედავ, რომ ეს არ არიან მდიდარი და „ოლიგარქი ადამიანის" დაპირებებზე წამოგებული ადამიანები. ივანიშვილი ხალხთან საოცრად უშუალო კონტაქტს ამყარებს, რადგან ხალხიც გრძნობს მის გულწრფელობას, სიკეთის კეთების სურვილს.**

— რა თქმა უნდა, ხელისუფლებას გარკვეულად სურს და ცდილობს „კიკუს დონეზე" დაიყვანოს ბიძინა ივანიშვილს ხალხთან ურთიერთობა. ამიტომ ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლისგან ხშირად გაოგონებთ: „აი, ივანიშვილის ფული აქვს ბევრი და ამიტომ მიდიან მასთან. ფული აქვს და ამიტომ გადავიდა მასთან ამდენი ხალხი", თან ამ რიცხვს, მაგალითად, 27 მაისს. . .

**— უკვე ველარ ამბობენ.**

— მართალია, ველარ ამბობენ. აქციებზე ხალხმრავლობით ისინიც არიან შეძრწუნებულნი და იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოებრივ ინეტერესებზე იფიქრონ, პარტიულ ინტერესებზე ზრუნავენ, იმიტომ რომ სხვას ვერაფერს ხედავენ. თავიდან, როდესაც ამბობდნენ, რომ „ჩვენ ერთი გუნდი ვართო" — მე ვფიქრობდი, რომ ეს ერთიანობა საქართველოს ინტერესების გატარებას გულისხმობდა. მერე კი აღმოჩნდა, რომ ეს არის „რამოდენიმე კაცისგან შემდგარი გუნდი", რომელიც თავის თავს აიგივებს საქართველოსთან. ასეთი რაღაც, შესაძლოა, 37 წელს ხდებოდა. იმიტომ, რომ უაღრესად პატივსაცემი პროფესიაა დამლაგებლის პროფესია, მაგრამ როდესაც დამლაგებლის მქონე სტატუსის მქონე ადამიანს საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ამ დამლაგებელს სამსახურიდან მხოლოდ იმის გამო ათავისუფლებს, რომ მას ისე არ მოსწონს და არ აქებს ჩვენს პრეზიდნეტს - ამხელა შიში, ალბათ, 37 წელსაც არ იყო! ასეთი შიშის დანერგვით ხელისუფლება ვერაფერს გააკეთებს და ააშენებს და რამდენადაც სჩანს, რომ მათ ასეთი ხალხი უნდათ, ეს იმ ეგვიპტური ხელოვნების ნიმუშებს მახსენებს, რომელიც ფარაონის კულტის შექმნას ემსახურებოდა. სადაც გამოსახულია ფარაონის უდიდესი ფუგურა და ჭიანჭველასავით პატარა ადამიანები. აი, ეს უნდა შეიცვალოს და მწამს და მჯერა, რომ ოქტომბერში ჩვენ ამას შევძლებთ.

**ბაია ამაშუკელი**



იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# kibos wamali gamogonilia da aTwelze metia arsebobs, Tumca mas samedicino mafia guldasmiT malavs...

**საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ბატონ კახა საბახტარაშვილს იმ მოარული ხმების შესახებ ვკითხე, რომელიც ავთვისებიან სიმსივნეს, ე.წ კიბოს ეხებოდა.**

**— ბატონო კახა, კლასიკურ მედიცინაში, ანდა მიკრობიოლოგიაში, სულაც მცენარეთა და ცხოველთა ფიზიოლოგიაშიც კი, შესაძლებელია თუ არა, მართლაც იყოს შექმნილი პრეპარატი, რომელიც კიბოს ბოლო სტადიაზე კურნავს? და თუ ეს ასეა, რა უნდა იყოს მისი დამალვის მიზანი?**

**კახა საბახტარაშვილი:** — „ავთვისებიანი სიმსივნეების პრობლემა რომ სამუდამოდ მოგვარდეს, მსოფლიოში აღარ იქნება საჭირო იმ 1547 დასახელების კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატის წარმოება, რომლისგანაც კოლოსალური მოგება მიიღება. მე მრავალჯერ ვთქვი და კვლავ გავიმეორებ, კიბოს წამალი გამოგონილია და ათ წელზე მეტია, რაც არსებობს, მაგრამ „ჯანმო“ და მისი ლობისტი კონცერნები წარმოებაში არ უშვებენ. ავთვისებიანი წარმონაქმნებისა და ბრტყელუჯრედოვანი კარცენომების პრობლემა რომ გადაწყდეს, მაშინ უმსხვილესი ფარმაცევტული ქარხნები უნდა დაიხურონ. როგორ გგონიათ, ამხელა ლუკმას ადვილად დათმობენ?

მოგეხსენებათ, ბოლო წლებში უცნაური ისტერიის სახე მიიღო გრიპებმა. მე ეჭვი მაქვს, ხომ არ არის ეს მსოფლიო ფარმაცევტულ მაგნატთა დიდი თამაში? ეჭვს მიძლიერებს ისიც, რომ ამ მაგნატებისთვის ცნობილია ასპირინის ჯგუფის პრეპარატების მომაკვდინებელი თვისება გრიპის დროს, მაგრამ თუ არ იქნება მსხვერპლი, არ იქნება პანდემია, ანუ არ გაიყიდება ვაქცინები და ანტივირუსული პრეპარატები“...

ახლახან მომაწოდეს sott.net-ზე გამოქვეყნებული ინფორმაცია — ახალი არაფერი გამოუგონებიათ, ვირთხებზე ჩატარებული კვლევების შედეგად, უკვე არსებული იაფი პრეპარატით, კანადაში, ედმონტონის ალბერტის უნივერსიტეტში კიბო განკურნეს. აქცენტი იმაზე კეთდება, რომ მსოფლიოს უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიები ამ მიგნებით არ ინტერესდებიან და რატომღაც, არც „ახალი ამბები“ და საინფორმაციო საშუალებები იჩენენ ინტერესს — საუბარია გასული წლის მაისზე, სამი თვის შემდეგ, რაც ბატონ კახასთან ზემოხსენებელი ინტერვიუ მქონდა.

კიბოს განკურნება მოხდა დიდი ხნის ცნობილი პრეპარატით — დიქლორაცეტატით, რომლის შეძენა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს და გამოიყენება ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შემთხვევებში.


იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი


დიქლორაცეტატს, ბევრი სხვა პრეპარატის მსგავსად, გვერდითი ან უკუჩვენება აქვს, მაგრამ მასზე ყურადღების გამახვილება არ ხდება, მით უფრო, რომ როდესაც ადამიანის ქსოვილებზე გამოსცადეს, ისე შთაინთქა კიბოს უჯრედები ფილტვებსა და ტვინში, რომ ჯანმრთელობა არ დაუზიანებია.



სიმსივნის რთული ფორმით დაავადებულ ვირთხებზე ექსპერიმენტის დროს, მათ აძლევდნენ წყალში გახსნილ დიქლორაცეტატს. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ კიბოს მეტასტაზები კლებულობდა და საბოლოოდ გაქრა. პრაპარატი არ საჭიროებს პატენტს. ამდენად, მსოფლიოს მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების მიერ წარმოებული ძვირადღირებული არაერთი წამლის შეძენა საჭირო აღარ გახდება.

მოგეხსენებათ, ე.წ „კიბო“, უჯრედის გადაგვარების კრებსითი სახელია, რომელიც, განკურნების შესაძლებლობის მიხედვით ავთვისებიან და კეთილთვისებიან სიმსივნეებად კლასიფიცირდება. ახალი მიგნების შემთხვევაში, საუბარია მძიმე ფორმაზე.

კანადური ინფორმაციის გადამღერება რომ არ გამოსულიყო, კომენტარისთვის ონკოლოგიურ საავადმყოფოს მივაშურე, თუმცა სიტყვა „საავადმყოფო“ პირობითია, უფრო, ჭურვმოხვედრილი ქართულ-ჩინური საველე ჰოსპიტალი შეეფერება. ზემოხსენებულ კითხვაზე პასუხის გაცემა ავად ან კარგად, არავინ ისურვა, პასუხი კი არა, აგრესიაც კი ვიგრძენი.

**— გასაგებია. რაც ხდება ჯანდაცვის სფეროში, ყველამ ვიცით, მაგრამ თქვენთან რა ხდება, რა თანხის გადახდა უწევს პაციენტს ისეთი სიმსივნური ფორმების დროს, რომელიც სასიკვდილო არ არის, ვთქვათ, მკერდის კიბოს შემთხვევაში, როცა, ის რომ იკითხო, რომელ ოთახში ზის ექიმიო, იმაშიც ფული უნდა გადაიხადო.**

— არა, ქალბატონო მაია, ნამდვილად არ არის ონკოლოგიურში ასე. პაციენტი აფორმებს ისტორიას, წვება პალატაში და იხდის რაღაც ხუთ ლარს. ონკოლოგიური პაციენტი, იცით, როგორ არის, შეიძლება, ერთ დღეში ვერ მორჩეს გამოკვლევას და იყოს რაიონიდან ჩამოსული. ამ შემთხვევაში, საწოლის ფულს იხდის, ზოგი იმასაც არა — ამ საშინელ პალატებში ვინმე რომ შემოგყვეს, იქით უნდა უთხრა მადლობა. ბევრჯერ ყოფილა, რომ შეგვცოდებია პაციენტი, არავისთვის გვითქვამს და ისე გაგვიჩერებია 2-3 დღე.

რაც შეეხება თანხას, ასაკობრივია. ვთქვათ, 60 წელს ზემოთ საკმაოდ დიდი დაფინანსებაა, 70%-ს იხდის სახელმწიფო, 30%-ს — პაციენტი, ხოლო 16 წლამდე უფასოა. მკერდის სიმსივნის შემთხვევაში, გააჩნია, 800-იდან 1500 ლარამდე ჯდება ოპერაცია, თავკისერში 1200 ლარი — კეთილთვისებიანზე გეუბნებით, რაც შეეხება „ონკოს“, ყველა პროგრამულია და 580 ლარია გადასახდელი.

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ ლეიკემიაზე, ე.წ „სისხლის გათეთრებაზე“, იგივე „სისხლის კიბოზე“, საქართველოში შეუძლებელია მისგან განკურნება?**

— რას ამბობთ, ჩემი ახლობლის ბავშვი განიკურნა, 5 წლის იყო რომ დაემართა და 15 წლისაა ახლა, არაფერი აღარ სჭირს. ლეიკემიის ცენტრი ჩვენთან არც იყო, დიღომში და სისხლის გადასხმის ინსტიტუტშია.

**— აბა, რატომ მიჰყავთ გერმანიაში, ხელმისაწვდომობის მხრივ საქართველოში უფრო ნაკლები ხარჯი არ ექნებათ?**

— ვერ გეტყვით, ხომ გითხარით, ბავშვებზე უფასოა. კიბოს რისკი ყველა ადამიანში 50/50-ზეა. როდესაც ანამნეზის შეკრება ხდება, აუცილებლად ვეკითხებით პაციენტს, ვინმეს ხომ არ ჰქონდა მის წინაპრებში სიმსივნე.

**— რამდენადაც ვიცი, ჩინელების გამოჩენამდე, ონკოლოგიური საავადმყოფოს ტერიტორიით კიდევ ვიღაც იყო დაინტერესებული...**

— „პეგასუს“ — რაღაც დიდი ფარმაცევტული კომპანია ყოფილა, ვითომ, ონკოლოგიური კლინიკა და ის კომპანია გაერთიანდებოდა, მაგრამ რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ.

**— დარჩა „პეგასუს“ ონკოავადმყოფებზე გაუსაღებელი წამლებით?**

— ასე გამოდის.

**— ახლა ლამაზ საავადმყოფოში როგორ იქნება ხელსმისაწვდომობის საკითხი?**

— ამას ჯერ არავინ ამბობს, მაგრამ ფასები თუ რეალური არ იქნა, ერი, როგორც ასეთი, გადავშენდებით და გავწყდებით. ვისაც ოკოლოგიასთან შეხება არ აქვს, ის ვერ ხედავს — უამრავი გამწარებული ადამიანია, უამრავი დაგვიანებული...“

**ნინო (მოქმედი ფარმაცევტი):** — „ადამიანი ათასგვარი ჩამოწერილი წამლების დასახელებით სავსე



თაბახის ფურცლით რომ შემოდის და როცა ყველა მათგანი ადგილზე აღმოჩნდება, სახეზე იმედი ესახება, მრცხვენია. დანამდვილებით ის შემიძლია გითხრა, რომ იმ დაავადებისთვის, რაც დავუშვათ, ერთ კონკრეტულ ადამიანს სჭირდება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად თუ განსაკურნებლად, ექიმის მიერ ჩამოწერილი ოცი დასახელების პრეპარატიდან, შეიძლება, მხოლოდ ორი-სამი სჭირდებოდეს.

— პირადად მქონდა მსგავსი შემთხვევა — როდესაც თვალები შუბლზე ამივიდა, (267 ლარი გამოვიდა) ექიმმა დამაკვალიანა, რამდენიმეს მინუსი მიუწერა გვერდზე, თუ გინდა, ამათ ნუ მიიღებ, მაგრამ, რასაც პლუსებს დავუწერ, ის აუცილებელიაო. ახლა, ამაზე გადავირიე, ეს როგორ-მეთქი? მე ვალდებული ვარ დაგიწერო, მაგრამ თუ არ მიიღებ, არაფერი დაშავდება, თუ მიიღებ, არ გავნებს, ჯიბეს შეგითხელებს მხოლოდო. საბოლოოდ 60 ლარის წამალი დამჭირდა. ექიმი წლებია მიცნობს და გამოდის, ამიტომ „დამინდო“?

— ალბათ. საქმე რაშია, იცით, საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრომ უცხოეთიდან გადმოიღო ე.წ „გაიდლაინი“, რომელიც ქართულადაა რედაქტირებული. ექიმს წინ უდევს საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს კომისიის მიერ მიწოდებული დაავადებათა კლინიკური სურათი და ჩამონათვალი, რითი უნდა უმკურნალოს. ექიმს არ აქვს უფლება საკუთარი გამოცდილებითა თუ შეხედულებისამებრ უმკურნალოს. ისიც ზის და წერს იმ ჩამონათვალს. აბა, არ დაწეროს — მტრისას! სამსახურს ხომ დაკარგავს და კარგია, თუ საციხოდ არ გაუხდა საქმე. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ფარმაცევტული მაფია რომ სავსებით რეალური იყოს, არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ არ იყოს — ეს უფრო საკვირველი იქნება.

გახსოვთ, ყველა აფთიაქს ჰქონდა ლაბორატორიის ტიპის განყოფილება, სადაც წამლები მზადდებოდა და კაპიკები ღირდა, როგორ ფიქრობთ, ვის ინტერესებში უნდა ყოფილიყო მათი მოსპობა?

ქიმია! — ჯანმრთელობის პირველი მტერი! ჩვენ რატომ ვიწოდებით ფარმაცევტებად, წარმოდგენა არ მაქვს — ვდგავართ დახლთან და ვყიდით თაროებზე თუ უჯრაში მოთავსებულ პრეპატარატებს, ისიც არ ვიცით, გვაქვს თუ არა, კომპიუტერში უნდა ვნახოთ. ასეთივე წარმატებით ვიდგებოდი ყასბის ადგილზე კუნძთან და ყასაბი აფთიაქში, თუმცა ის წარმატებით შეძლებს ფარმაცევტობას, მე კი, საკითხავია, ვივარგებ ყასბად?“

როგორც იტყვიან, ყოველმხრივ მძიმე სურათია, კაცი ავად ნუ გახდება, თორემ წასულია მისი საქმე...

**მაია ჭელიძე**

# `qajebi modian~ damravldebian...

**ქაჯები მოდიანო**, რამდენიმე წლის წინ გაგვაფრთხილა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა. გამართლდა მისი წინათგრძნობა, ქაჯები მოვიდნენ და რაც ძალზე სავალალოა, გამრავლდნენ კიდეც!

ქართული ენის ლექსიკონში, სიტყვა **„ქაჯი“** განმარტებულია, როგორც: ავსული, ეშმაკი, კუდიანი, მაცდური, თავზე ხელაღებული და დამთხვეული ადამიანი.

თანამედროვე გაგებით, **ქაჯი** ანუ ქაჯური ქცევა კიდევ უფრო მძიმე სიტუაციას გამოხატავს, რომელსაც ჩვენი არაკომპეტენტურობის გამო სხვა უფრო გასაგები ან ზუსტი სინონიმი ვერ მივუსადაგეთ. მიუხედავად ამისა, შევეცდებით ე.წ. **ქაჯობა** და **ქაჯობის** გამომხატველი ქცევები კონკრეტულ და რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით ავხსნათ, რაც, იმედია, ადვილად გასაგებს გახდის ქაჯობის ფენომენის ნიუანსებს.



დღევანდელი პარლამენტის წევრების უმრავლესობის დამოკიდებულებას ქართული ენის პრობლემებისადმი, **ქაჯობის** მეტს ვერაფერს დავარქმევთ. რამდენი წერილი იწერება და რამდენი სტატია ქვეყნდება ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც იტყვიან, შეაყარე კედელს ცერცვი. პრობლემა კომპლექსურია და მისი მკვდარი წერტილიდან დაძვრას ქართული სისხლი ჭირდება.

**ქაჯობის** გამოხატულების ერთ-ერთ მთავარ ქმედებად მიგვაჩნია ხელისუფლების მიერ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის დაბოლება მრავალ საკითხში. სხვა რა შეიძლება დავარქვათ ისეთ აბსურდებს, როგორებიცაა: „ბათუმი ყველაზე ნაკლებნალექიანი ქალაქია შავი ზღვის აკვატორიაში“, „ბათუმის პლაჟი გაცილებით უფრო კეთილმოწყობილია, ვიდრე ნიცის, კანის, მონტე-კარლოსი, ბარსელონას და ა.შ“, „სამ ოთხ წელიწადში ავაშენებთ ქალაქ ლაზიკას, სადაც ნახევარი მილიონი მოსახლე იქნება“ და მრავალი სხვა. ბუნებრივია, ასეთი უგუნურობები კომენტარს არ საჭიროებენ.

ხელისუფლება ქაჯური უტიფრობით გვიმტკიცებს, რომ საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოში ბიზნესის წარმოების სიმარტივით და საიმედობით. ასეთ პირობებში რა ღმერთი გაუწყრათ უცხოელ ინვესტორებს, რომ თუნდაც თბილისის ცენტრში მუქთად შეძენილი მიწის ნაკვეთებისა და შენობების პირობებში აბსოლუტურად ყველა დაწყებული სასტუმროს მშენებლობა დაკონსერვებული რომ არის?

ხელისუფლებას ჯერ არ ნახულ და გაგონილ ქაჯობად უნდა ჩაეთვალოს თავისი ქვეყნის მოსახლეობისთვის საინფორმაციო საშუალებების შეზღუდვის ყოველგვარი მცდელობა და ნადირობა თეფშებზე. ამ მიმართებით მართლაც რომ პირველ ადგილზე ვართ მსოფლიოში.

**ქაჯობის** დამადასტურებელ ფაქტებს რა გამოლევს, მაგრამ იმედია, შემოდგომაზე, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მოსახლეობის უკიდეგანო დაბოლება და აბუჩად აგდება შეწყდება, მაგრამ თავად ჩვენი მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის ქაჯობას, ალბათ, კარგა ხანს არაფერი ეშველება. სამწუხაროდ, დიდი მტკიცება არ უნდა, რომ ამ მიმართებით, ანუ ჩვენი მხრიდან, ქაჯობის გამოვლინების ხარისხი წლიდან წლამდე მატულობს. არადა, საკითხავი და დასაფიქრებელი ის არის, რომ თუნდაც ჩემს მახსოვრობაში, ანუ დაახლოებით 50 წლის წინ სულ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობდით. მარტო იმის გახსენება რად ღირს, როგორი დამოკიდებულება და მოწიწება არსებობდა უმცროს-უფროსს შორის, მოსაწავლესა და მასწავლებელს შორის, სკოლის დირექტორი ხომ ყველა ჩვენგანისათვის უპირველეს საპატივცემულო პიროვნებას წარმოადგენდა. მიზეზები, რამაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა, მრავალფეროვანია, რომელიც ამჯერად ჩვენი განსჯის საგანს არ წარმოადგენს და ამიტომ ყველასთან ბოდიშის მოხდით, კვლავ გავაგრძელებ, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ქაჯებისა და ქაჯობის (ხშირად თავხედობის) ინსტიტუტის ფარდის ახდას.

ჰქვია თუ არა **ქაჯობა** ისეთ ქცევას, როცა სკოლის მასწავლებელი თავის მოსწავლეს სიგარეტს მოსთხოვს და „მაგარი ტიპის“ სახელის მოსახვეჭად მასთან ერთად გააბოლებს?

**ქაჯობად** მიმაჩნია საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან ხალხის თავშეყრის ადგილებში (მ.შ. პანაშვიდებზე, გასვენებებში) გამორჩეულად ხმამაღლა საუბარი სხვისთვის უინტერესო თემებზე.

**ქაჯობის** მეტი შეიძლება დაერქვას იმ შემთხვევას, როცა თოთო ბავშვით, მგზავრი მანქანაში მძღოლის გვერდით დასკუპდება და თანაც სიგარეტს გააბოლებს. საინტერსოა, როდის შემოვიდა მოდაში ქაჯების მიერ ტაქსში ან საერთოდ მსუბუქ მანქანაში ჩაჯდომისთანავე სიგარეტის მოკიდება, ასეთი ქცევაც ცივილურ ქვეყნებში აბსურდად ითვლება, გვახსოვდეს, რომ ჩვენც „ევროპელები ვართ“.

**ქაჯობაზე** მეტია საოჯახო ნარჩენების, ნაგავის, სიგარეტის ნამწვავის სახლის ფანჯრიდან, აივნიდან გადაგდება ან სადარბაზოში დაყრა.

**ქაჯობა** არ არის, როცა სკვერებში ან პარკებში, ახალგაზრდობა საბალე სკამების საზურგეებზე არიან შემოსკუპებულნი, ფეხებით დასაჯდომზე ასულები იქაურობას მიზანმიმართულად რომ ანადგურებენ და ანაგვიანებენ.

**ქაჯობის** ყველა ნორმას სცილდება, როცა ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილის მეტყველებაში მასობრივი ხასიათი მიიღო თავიანთი დედების წამდაუწუმ დაგინების ამაზრზენმა გამონათქვამებმა და ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების ყოველი სიტყვის შემდეგ, აბსოლუტურად უადგილოდ ხმარებამ. ჩვენი თაობა დედას სხვას ვაგინებდით და ისიც ძალზე იშვიათად, ეს მამაცხონებულები და დედაარღნიანები, თავიანთ დედებს თავადვე უსწორებენ ანგარიშს.

ზემოთ ნათქვამს რა ეწოდება, კაცობრიობას ჯერჯერობით არ დაუდგენია. დიდად სამწუხაროდ ყოველწლიურად პრემირებული ჩვენი ზოგიერთი ვაი მწერალი თავის პოპულარობას სწორედ ამ ჟარგონების წამდაუწუმ ხმარებით აღწევს, ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!

**ქაჯების** გარდა რა შეიძლება ვუწოდოთ ისეთ „მოქალაქეებს“, რომლებიც ძალიან ხშირად მანქანებიდან ყრიან სიგარეტის ნამწვავს, მის კოლოფს, ბანანის კანს, ნახმარ „შპრიცებს“ და სხვა. საგულისხმოა, რომ ყველაზე გამომწვევად და ხშირად, ამას დაბურულიმინებიანი ჯიპის ტიპის მანქანების მძღოლები, თავიანთი მგზავრები ან ეგრეთყწოდებული მავანთა დაცვის ბიჭები ჩადიან. სამწუხაროდ, ანალოგიური ქცევისგან ზოგჯერ არც ჩვენი „სანაქებო“ პატრულის ეკიპაჟი არის უცოდველი.

უფრო დიდი **ქაჯობა** იქნება, როცა რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთი ძალზე პრესტიჟული და პოპულარული სახელოვნებო სასწავლო აკადემიის რექტორმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის არ იყოს, გვარს არ დავასახელებ, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, არც მეტი, არც ნაკლები განაცხადა: „სადგურის ან ბაზრის რომელიც გნებავთ ქართული სიმღერა მირჩევნია ნებისმიერ რუსულ სიმღერასო“... რას იზამთ, კაცია და გუნება, რომ იტყვიან, გემოვნებაზე არ დაობენ. უფრო მეტიც, ერთ-ერთმა „პოპულარულმა“ ახალგაზრდა მწერალმა, რომელიც ყოველ წელს სხვადასხვა პრემიის ლაურეატობას „ირტყამს“ ერთ-ერთი ჟურნალის ერთ-ერთ ინტერვიუში ხმამაღლა განაცხადა: „მეზიზღება ქართული ტრადიციები და ქართველი ჩოხოსნებიო“.

სხვა კიდევ რა უნდა გითხრათ, ბატონებო, იქნებ ამ წლის შემოდგომამდე მაინც მოასწროთ რაიმეს გაკეთება.

**ანთიმოზ ოკრიბელი**



**ვალერი გელაშვილი:** 2008 წელს დავტოვე რესპუბლიკური პარტია და დავუბრუნდი ბიზნესს. ახლა უკვე ჩემს ბიზნესს საქართველოში მიხედავს ჩემი შვილი. დღეს ისეთი ვითარებაა ქვეყანაში, ყველანი ვალდებულები ვართ, აქტიურად ჩავებათ პოლიტიკაში, ყველამ უნდა შევიტანოთ წვლილი. ეს მარტო ბატონი ბიძინას გასაკეთებელი საქმე არაა, მას ხალხი სჭირდებოდა და მეც გადავწყვიტე, გვერდით დავუდგე.

ერთადერთი პიროვნება, ვისაც შეეძლო რაღაც ძვრები მოეხდინა საქართველოში, ეს ივანიშვილია და როცა მან პირველად გააკეთა განცხადება, პირადად მე ძალიან გახარებული ვიყავი, ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანას ეშველებოდა. მას აქვს იმის გამოცდილება, რომ ქვეყანას მიხედოს. სხვათა შორის, მე მას აქამდე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ყოველთვის მიკვირდა, რატომ არ მიდიოდა პოლიტიკაში მისი შესაძლებლობების მქონე ადამიანი.




ვიცი, რომ გამადიდებელი შუშით მიყურებენ, უკან დამყვება კუდი მუდამ. საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისას მხოლოდ კანონით ვიხელმძღვანელებ. სხვათა შორის, ხაშურში არასოდეს დამჭირვებია დიდი თანხა კამპანიისთვის, რადგან ხაშური არასოდეს მიმიტოვებია უყურადღებოდ. არც ახლა დამჭირდება დიდი თანხება, ორი-სამი ოფისის შენახვა კიდევ სიძნელეს არ წარმოადგენს. გრანდიოზულ ღონისძიებებს არ ვგეგმავთ. ბიძინა ისეთი პიროვნებაა, მას დიდი წარდგინება არ სჭირდება.

ვიცი, რომ ხაშურში ბევრი ბიზნესმენი დაიბარეს, საპროცესო გარიგებები გაუფორმეს, ფული მიატანინეს და პირობითი სასჯელები მისცეს კონტროლზე რომ ჰყავდეთ. საერთოდ ბიზნესი არსებობს კი საქართველოში, ესაა საკითხავი. სახელმწიფო ტენდერებში ისევ თავიანთ ხალხს აგებინებენ.

7 წელი შესრულდა იმ ინციდენტიდან, რაც მე შემემთხვა. ძალიან ბევრ მიზეზს ასახელებდნენ, მაწოდებდნენ ამ დანაშაულის ჩამდენთა გვარებს, მაგრამ ხელს არ ვკიდებდი. მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მე მივდიოდი სასამართლო პროცესის ჩასაშლელად, რადგან ერთ-ერთი მოსამართლე დაიჭირეს არასწორად, სხვის მაგივრად. (მე თვითონ შევუთვალე ოჯახს, დავეფიქსირებინე მოწმის სტატუსით. სამწუხაროდ ეს პროცესი გადადეს. ამას დამატებული ის, რომ დაუმორჩილებელი ვიყავი ამ მთავრობისთვის.) ანუ დაიჭირეს შუამავალი. ეს ამბავი დაკავშირებული იყო ჩემს პროცესებთან. ქუთათელაძის დროიდან მოყოლებული ამბავია. ეს საქმე უნდა დახურულიყო. ქრთამი მიუტანეს სხვა პიროვნებას და არა იმ მოსამართლეს, ვინც მოითხოვა. ქრთამი უნდა მიეტანა კუდის თანამშრომლებს. გვარებიც ვიცოდი მათი. მე პროცესებს ვეღარ დავესწარი ცნობილი მიზეზის გამო. ის პიროვნება დაიჭირეს და რამდენიმე წელი ციხე მისცეს. მან კარგად იცის საქმის დეტალები. ეს პიროვნება უკვე გათავისუფლებულია, მაგრამ დღეს ყველა დაშინებულია და ხმას არ იღებს. ალბათ, გავა დრო და მე თვითონ მივეხმარები, რომ მისი რეაბილიტაცია მოხდეს.

ამ ინციდენტიდან ერთხელ დამკითხა პროკურატურამ, როცა ვილნიუსიდან ჩამოვფრინდი პირველ სასესიო კვირას და მას შემდეგ არაფერი ისმის. მე კარგად მახსოვს იმ ნიღბოსანის ფიზიკური აღნაგობა და თვალები, ვინც კონდახი ჩამარტყა სახეში. როცა გავიკითხე ასეთი გარეგნობის ბიჭი ვინ არის-მეთქი სპეცნაზში, მითხრეს: „მასტერა“ არისო. მაგრამ მასტერას სურათი ვნახე და ეს ის ადამიანი არ იყო. ეს პიროვნება ერთხელ შევნიშნე კიდევ ტელევიზორში, როცა ოქრუაშვილის ოფისს დაეცნენ. ვის უნდა მივმართო გამოსაძიებლად, ამ ხელისუფლებას?! თავის თავს ხომ არ დაიჭერენ?! ეს მითითება პირველი პირიდან მოდიოდა. კარგად ვიცი, რომ ინციდენტის ადგილიდან 200 მეტრში კოდუა მანქანაში იჯდა.

– ახლა დავიწყებ მოსახლეობასთან შეხვედრას. ვეცდები მივიტანო მათთან ის მესიჯები, რაც ბატონმა ბიძინამ დასახა. არა მგონია, პროგრამაში რაიმე ცვლილება შევიტანო, ჩემი მხრიდან თავხედობა იქნება, კორექტივი შევიტანო იმ ადამიანის პროგრამაში, რომელიც ბიზნესშიც და გამოდილებითაც ჩემზე იერარქიულად მაღლა დგას.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
ႱႠႤႰႧႭ ႢႠႦႤႧႨ

# მუსიკალური სმენა და მასთან დაკავშირებული პათოლოგიები

გავრცელებული შეხედულების თანახმად, მუსიკალური სმენა ღვთისგან ბოძებული ნიჭია. რამდენ ჩვენგანს უჩნდება არასრულფასოვნების განცდა, როცა საუბარი მუსიკას ეხება, არცთუ იშვიათად გვესმის თვითკრიტიკული შეფასება: „მას ყურზე სპილომ ფეხი დააბიჯა“.

მართლაც, ასეთი იშვიათობაა მუსიკალური სმენა? რატომ არის, რომ ზოგს გააჩნია, ზოგს კი – არა, ან საერთოდ, როგორ წარმოიშვა იგი?

საკმარისია გავიხსენოთ, რომ ნებისმიერი უნარი ადამიანს მხოლოდ იმიტომ გააჩნია, რომ განვითარების პროცესში მასზე სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნილება გაჩნდა; მაგალითად, ორ ფეხზე სიარული ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა მხოლოდ იმიტომ დაიწყეს, რომ საჭირო გახდა ხელების განთავისუფლება.

ასეთივე გარემოებებმა განაპირობა მუსიკალური შესაძლებლობების განვითარებაც. ეს ფუნქცია მას შემდეგ გაჩნდა, რაც ცოცხალ არსებებს ერთმანეთთან ბგერების საშუალებით დაკავშირების აუცილებლობა შეექმნათ.

ადამიანს მუსიკალური სმენა მეტყველებასთან ერთად უვითარდება. ასალაპარაკებლად ჩვენ გვჭირდება ბგერების ერთმანეთისგან ძალის, ხანგრძლივობის, ტემბრისა და სიმაღლის მიხედვით გარჩევა, რის უნარსაც უწოდებენ კიდეც მუსიკალურ სმენას.

ერთი სიტყვით, ეს არის ადამიანის სპეციფიკური უნარი და მას არაფერი აქვს საერთო ბიოლოგიურ სმენასთან, რომელიც ადამიანის განვითარების პარალელურად იხვეწება და ვითარდება.



### ბგერითი ამუზიის საიდუმლო

ამუზია პათოლოგიური მდგომარეობაა, როდესაც ადამიანს საერთოდ არ გააჩნია მუსიკალური მონაცემები, აბსოლუტურად ვერ არჩევს მუსიკალურ ბგერებს ტონალობისა და ძლიერების მიხედვით.

დედამიწის მოსახლეობის 4 პროცენტი პათოლოგიით იბადება. ეს, რა თქმა უნდა, დაავადება არ არის, მაგრამ დისკომფორტს უქმნის ადამიანებს, რასაც არ არის გამორიცხული, თან სდევდეს ფსიქოლოგიური პრობლემები.

საუკუნეების მანძილზე ფიქრობდნენ, რომ ადამიანები უბრალოდ მუსიკალური სმენის გარეშე იბადებოდნენ და ეს ნიჭი იყო, რომელიც ვიღაცას ჰქონდა, ვიღაცას კი – არა. სულ ახლახან გამოირკვა, რომ ამუზია თავის ტვინში არსებული პატარა თანდაყოლილი ანომალიის შედეგია.

ექსპერიმენტით დადგინდა, რომ „სმენიან“ და „უსმენო“ ადამიანებს, თურმე, განსხვავებულად ჰქონიათ მოწყობილი მარჯვენა ნახევარსფეროს შუბლის ქვედა წილის ხვეული: მუსიკალური სმენის არმქონეებს, ტვინის ამ ნაწილში გაცილებით მცირე რაოდენობით ჰქონიათ განვითარებული ტვინის თეთრი ნივთიერება, ვიდრე მათ, ვინც სწორად და კარგად აღიქვამს მელოდიებს.

სპეციალისტები ამ განსხვავების შედეგს მეტად მარტივად ხსნიან: თავის ტვინის თეთრი ნივთიერება პასუხს აგებს ინფორმაციის გადაცემაში და რა გასაკვირია, რომ მუსიკალური ბგერების აღქმაში პასუხისმგებელ უბანში მისმა უკმარისობამ სერიოზული პრობლემები შეუქმნას პიროვნებას მუსიკალური ბგერების შემეცნებაში?

ექსპერიმენტის შედეგი საინტერესოა იმითაც, რომ მასში მონაწილეებს მუსიკის მოსმენისას, ტვინის კომპიუტერულ-რეზონანსული სკანირებისას თავის ტვინის შესაბამის უბანში განსხვავებული აქტივობა დაუფიქსირდათ; როდესაც მუსიკალური სმენის არმქონეები სიმღერას ცდილობდნენ, ტვინის ხსენებული უბნის თეთრ ნივთიერებაში ცვლილებები თითქმის არ ფიქსირდებოდა.

ასე რომ, ვისაც ჰგონია, ყურზე სპილომ დააბიჯა ფეხი, სინამდვილეში გათხელებული აქვთ ტვინის ის სპეციფიკური უბანი, რომელიც მუსიკალური ბგერების აღქმასა და მათ დამუშავებაზეა პასუხისმგებელი, ეს შუბლის წილი და ქერქის შესაბამისი ზონაა.

### აბსოლუტური მუსიკალური სმენა

აბსოლუტურ მუსიკალურ სმენაზე პასუხისმგებელია გენი ან გენთა ჯგუფი – ამტკიცებენ კალიფორნიის უნივერსიტეტის თანამშრომლები. სხვა რა დასკვნა შეიძლება გამოიტანო, როცა მუსიკოსები და მომღერლები წლების განმავლობაში მუშაობენ მუსიკალური სმენის დასახვეწად, ამ დროს კი ყოველ ათი ათასს ადამიანში ერთი იბადება ისეთი, რომელსაც აბსოლუტური მუსიკალური სმენა დაბადებიდან თან დაჰყვა?

გენთა ჯგუფის კონკრეტული დასახელებისგან მეცნიერები ჯერჯერობით, თავს იკავებენ, რამეთუ მათ დასაზუსტებლად კიდევ ცოტა დრო სჭირდებათ, იმაში კი, აბსოლუტური მუსიკალური სმენა გენებით რომ არის განპირობებული, იოტისოდენა ეჭვიც კი არ ეპარებათ.

### დედებო, იყავით ფრთხილად!

მოსაზრება, თითქოს ამუზია მემკვიდრეობითია, ანუ მუსიკალური სმენის არმქონე მშობლებს აუცილებლად შეზღუდული მუსიკალური შესაძლებლობების შვილები ეყოლებათ, სიმართლეს არ შეეფერება. არ არის გამორიცხული, კარგი მუსიკალური სმენის ბავშვი დადგეს, მთავარია, იავნანა დედამ არ უმღეროს – აცხადებენ სპეციალისტები და მტკიცედ სწამთ, რომ ბეთჰოვენისა და მოცარტისთვის იავნანა მუსიკალური სმენის არმქონე დედებს რომ ემღერათ, უსმენობა გარანტირებული ექნებოდათ.

როდესაც პატარას დაბადების პირველ ხანებში იავნანას არასწორად უმღერის დედა, მის ტვინში მუსიკალური ბგერები დამახინჯებულად, შეცდომით ფორმირდება, რის კარნახითაც შემდგომში ბავშვები არასწორად წარმოქმნიან მუსიკალურ ბგერებს.

ასე რომ, თუ დედას მუსიკალური სმენა არ გააჩნია, უმჯობესია, თავი შეიკავოს ხშირი და ხმამაღალი სიმღერისგან, რადგანაც მუსიკალური სმენის დამახინჯებული აღქმის გამოსწორება მართალია შესაძლებელია, მაგრამ საკმაოდ დიდი დრო და ნერვები სჭირდება.

უმჯობესია, პატარას ხარისხიანი ჩანაწერებიამოასმენინოთ, იავნანის მღერა კი გაცილებით კარგი მუსიკალური შესაძლებლობების ბებიებს ანდეთ.

# სხეულის ტემპერატურა

სხეულის ტემპერატურა ადამიანის ორგანიზმის თბური მდგომარეობის კომპლექსური მაჩვენებელია, რომელიც სხვადასხვა ორგანოს, ქსოვილების მიერ სითბოს გამომუშავებასა და გარემოს თბურ ცვლასთან დაკავშირებულ პროცესთა მიმდინარეობას ასახავს. ადამიანის სხეულის საშუალო ნორმალური ტემპერატურა, ეგზოთერმული რეაქციებისა და დამცავი მექანიზმების წყალობით, რომლებიც სხეულიდან ჭარბ სითბოს გამოყოფს, ჩვეულებრივ 36,5-დან 37,2-მდე მერყეობს.

ჩვენი სხეულის მთავარი თერმოსტატი თავის ტვინში მდებარე ჰიპოთალამუსია, რომელიც მუდმივად არეგულირებს ჩვენს ტემპერატურას. დღე-ღამის განმავლობაში სხეულის ტემპერატურა დღეღამური რიტმების შესაბამისად იცვლება – დილასა და საღამოს შორის სხეულის ტემპერატურული სხვაობა 0,5-1,0$^0$C-ს შეადგენს. განსხვავებულია ტემპერატურა თავად სხეულის ორგანოებს შორისაც; მაგალითად, შინაგან ორგანოებს, კუნთებსა და კანს შორის სხვაობა ზოგჯერ 5-10 გრადუსიც კია. როცა თერმომეტრი პირის ღრუში 37,0 გრადუსია, კუჭში, თირკმელებსა და სხვა ორგანოებში – 36,5-ია, იღლიისქვეშა ფოსოში – 36, თეძოს ღრმა კუნთოვან ღარში – 35, წინამხრის ფოსოში – 32, მტევნისაში – 28, ტერფის ცენტრში – 27-28.

ქალბატონებში ტემპერატურა მენსტრუალური ციკლის ფაზების მიხედვით იცვლება, თუ ჩვეულებრივ ქალის სხეულის ტემპერატურა 37 გრადუსია, ციკლის პირველ დღეებში ის ქვეითდება 36,8-მდე, ოვულაციის წინ – 36,6-მდე, მომდევნო მენსტუაციის დაწყების წინ 37,2-მდე იზრდება, რამდენიმე დღეში კი კვლავ 37 გრადუსამდე დადის.

მამაკაცებში სხეულის ტემპერატურა სათესლეების არეში, სხეულის დანარჩენ ნაწილებთან შედარებით, 1,5 გრადუსით დაბალია. ტემპერატურა ფიზიკური დატვირთვის დროსაც იცვლება.

სხეულის მაღალ კრიტიკულ ტემპერატურად მიჩნეულია 42 გრადუსი, რადგან ამ დროს თავის ტვინში ირღვევა ნივთიერებათა ცვლა და ზიანდება ტვინოვანი ქსოვილი.

ადამიანის ორგანიზმი სიცივეს უფრო კარგად იტანს, ვიდრე სიცხეს. როცა სხეულის ტემპერატურა 32 გრადუსამდე ეცემა, ადამიანებს ეწყებათ კანკალი, რომელიც ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მომტანი არ არის, 27 გრადუსზე იგი კომაში ვარდება, ირღვევა გულის მუშაობა და სუნთქვა, 25-ის ქვევით დაბალი კრიტიკული ტემპერატურაა.

### ჰიპერთერმია

ჰიპერთერმია სხეულის ტემპერატურის მომატებაა 37 გრადუსზე ზევით, რომელიც გამოწვეულია რომელიმე დაავადებით. ეს მეტად გავრცელებული სიმპტომია და თან ახლავს ნებისმიერ სისტემის მდგომარეობიდან გამოსვლას. არსებობს სამი ხარისხის ჰიპერთერმია: დაბალი – 37,2-38, საშუალო – 38-40, მაღალი – 40-ის ზევით. სხეულის ტემპერატურის 4,2-ზე მეტად აწევა გონების დაკარგვას იწვევს.

### ტემპერატურის მატების მიზეზები

**იმუნური სისტემის ფუნქციათა დაქვეითება** – ამ დროს აღინიშნება დაბალი ხარისხის ჰიპერთერმია, თუმცა, ზოგჯერ, შესაძლოა თავი იჩინოს საშუალო ხარისხის ფორმამაც. ჰიპერთერმია შეიძლება იყოს როგორც პერიოდული და დროებითი (შეძენილი იმუნოდეფიციტები, სისტემური წითელი მგლურა), ან მუდმივი (პოლიართრიტები). სტანდარტული ჩივილების გვერდით თავს იჩენს მოთენთილობა, წონის დაკლება, ღამით გაძლიერებული ოფლდენა.

**ინფექციური და ანთებითი დაავადებები** – ასეთ დროს გვხვდება დაბალი (კრონის დაავადება და წყლულოვანი კოლიტი), მაღალი (ბაქტერიული პნევმონიები), გარდამავალი (ინფექციური მონონუკლეოზი, ოტიტი), სეპტიური (ფილტვების აბსცესი, გრიპი, ენდოკარდიტი), მუდმივი (მენინგიტი), რეციდიული (მალარია) ჰიპერთერმია.

ჰეპატიტებისას ჰიპერთერმია მოსალოდნელი დაავადების მაუწყებელია, აპენდიციტისას კი, პირიქით, დაავადების მწვავე სტადიაზე მიგვანიშნებს. თუ ტემპერატურა



უეცრად იმატებს ტაქიკარდიის ფონზე, პაციენტს აღენიშნება სუნთქვის გაძნელება და გონების დაბინდვა, ეს სიცოცხლისთვის მეტად საშიში სეპტიური შოკის მაუწყებელია, რომელიც გადაუდებელ კვალიფიციურ დახმარებას საჭიროებს.

**სიმსივნეები** – პირველადი სიმსივნეებისა და მეტასტაზებისას შესაძლოა გაჩნდეს დაბალი და საშუალო ხარისხით მომატებული ტემპერატურის ხანგრძლივი პერიოდები, მაგალითად, მწვავე ლეიკემიისას, თუმცა, შესაძლოა, ჰიპერთერმია უეცრადაც გაჩნდეს.

**თერმორეგულაციის დარღვევა** – ასეთ დროს ტემპერატურა უეცრად და მკვეთრად იმატებს 41,7 გრადუსამდე, ეს ჩვეულებრივ თან ახლავს სიცოცხლისათვის მეტად საშიშ დაავადებებს: ინსულტს, თირეოტიქსიკურ კრიზს, ავთვისებიან ჰიპერთერმიას, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებას. თერმორეგულაციური მექანიზმების გამო გაჩენილ დაბალ და საშუალო ჰიპერთერმიას ყოველთვის თან ახლავს მომატებული ოფლდენა.

**სამკურნალო პრეპარატები** – ჰიპერთერმია და გამონაყარი ყველაზე ხშირად ვლინდება სოკოს საწინაალმდეგო პრეპარატების, სულფანილამიდების, პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკებისადმი მომატებული მგრძნობელობის პირებში. ჰიპერთერმია ქიმიოთერაპიის თანამდევიც არის. იგი შესაძლოა გაჩნდეს იმ პრეპარატებით მკურნალობის დროსაც, რომლებიც ოფლდენას აპროვოცირებს. სხეულის ტემპერატურა იმატებს ზოგიერთი პრეპარატის გადამეტებული დოზებით მიღების შემთხვევაშიც.

**პროცედურები** – გარდამავალი და დროებითი ჰიპერთერმია შესაძლოა განვითარდეს ქირურგიული ოპერაციების, ჰემოტრანსფუზიების (ტემპერატურის უეცარი მომატება და კანკალი) შემდეგ. უეცარი ან თანდათანობით გამოვლენილი ჰიპერთერმია ახასიათებს ზოგიერთ რადიოლოგიურ გამოკვლევებსაც, განსაკუთრებით ისეთებს, სადაც კონტრასტული ნივთიერებები გამოყენება.

გვერდი მოამზადა
**ზვიად ლონდაძემ**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# momavali saparlamento arCevnebi saqarTvelos momavals ganapirobebs

საქართველოში არჩევნების თარიღი ჯერ არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ოქტომბრის მოლოდინი, როცა ეს არჩევნები უნდა გაიმართოს, თავისთავად უკვე პოლიტიკური ინტრიგაა. ახლა ოპოზიციის მიტინგებზე იმდენი ხალხი მოდის, რომ ნებისმიერ ადრინდელ ოპოზიციას შურისგან გული უსკდება.

ბიძინა ივანიშვილი ანცვიფრებს საქართველოს მოსახლეობას თავისი დაპირებების მასშტაბებით, რის ფონზეც ხელისუფლების დაპირებები მხოლოდ იმპროვიზაციად ფასდება.

არსებობენ რეჟიმები, რომლებსაც არჩევნები ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ასეთი რეჟიმები სულაც არ არის ყველაზე დემოკრატიული. პირიქით — სადაც არჩევნები რეგულარულად იმართება, არავის მოსდის აზრად, იგი სამყაროს აღსასრულად შეაფასოს. ჩვეულებრივ, ხალხის არჩევანი აშფოთებთ იმ ქვეყნებში, სადაც გასამარჯვებლად სახელმწიფოს ხელში არსებული ყველა ბერკეტის გამოყენებას უდიდესი ძალისხმევა სჭირდება; სადაც არჩევნებში დამარცხება ყველაფრის დაკარგვას ნიშნავს.

საქართველო ასეთი ქვეყნების სიაში თავიდანვე, რევოლუციური ეპოქის დასაწყისიდანვე მოხვდა და ახალი იმპულსი შესძინა კამათს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა რეფორმების „თეთრი ხელთათმანით“ კეთება.

სააკაშვილის მოსისხლე მტრებიც კი ვერ მალავენ გაოცებას: მან ყველაზე დიდი ჩავარდნები და კატასტროფები საკუთარ თავს თვითონვე მოუწყო და ამიტომაც საქართველოს უახლეს ისტორიას არაერთი საყრდენი გამოაცალა. ერთ-ერთია ოპოზიციის ყოველწლიური დარბევა, რაც თვითმკვლელობას ჰგავს და ცინიკური პოლიტიკური თვალსაზრისითაც ყოვლად უაზროა. არც 2006 წლის ნოემბერში (მაშინ დამკვიდრდა ეს ტრადიციად), არც შემდგომ პერიოდში, ოპოზიციას იოტისოდენა შანსი არ ჰქონდა, ჩაბღაუჭებოდა ქართული პოლიტიკის „მისადგმელ სავარძელს“, რის გამოც კულუარებში ისინი ქვეყნის მეთაურს ემადლიერებოდნენ.



კიდევ ერთი საყრდენია 2008 წელი — სამხრეთ ოსეთი. კატასტროფა შესაძლოა, გარდაუვალი იყო, მაგრამ არავის შეუშლია ხელი, ამაში მონაწილეობა არ მიეღო — ყველანაირი საავტორო უფლება ხომ მოსკოვს დაუთმეს.

სააკაშვილის მომხრეებიც კი აღიარებენ, რომ თავდაპირველად არანაირი აუცილებლობა არ იყო, ჩამოეყალიბებინათ ძალაუფლების ვერტიკალი რუსულ ყაიდაზე, პრესა ისე შეევიწროებინათ, რომ იგი მტრად მოეკიდებინათ, რაც მოახერხეს კიდეც... შეიძლებოდა, ეს ყველაფერი აგვეხსნა პრეზიდენტის პიროვნების ფსიქოლოგიური ნიუანსებითა და მისი პოლიტიკური შეხედულებებით, რომელთა შორის დემოკრატიული წარმოდგენებისთვის ადგილი ვერ მოიძებნა, და ესეც სიმართლე იქნებოდა. რასაკვირველია, სააკაშვილმა ქართულ სიუჟეტს თავისი ელფერი შესძინა, მაგრამ იქნებოდა კი ეს სიუჟეტი პრინციპულად განსხვავებული, სააკაშვილი სხვანაირი რომ ყოფილიყო?

ნებისმიერი რეფორმა მოქალაქეებისთვის არის გამიზნული. სწორედ ისინი არიან მზად, პირველსავე ხელსაყრელ მომენტში სწორედ რეფორმატორების წინააღმდეგ მისცენ ხმა და სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა. ასე რომ, სისტემური თვალსაზრისით, სააკაშვილის უსიყვარულობა დემოკრატიის მიმართ ორგანულად დაეტყო რეფორმების ბედზე ზრუნვას. თუ მოსახლეობა ხელს უშლის რეფორმას, ესე იგი, იგი ხალხის გარეშე უნდა გაატარო. ხალხისა და არჩევნების გარეშე.

პრეზიდენტი ახალ ქალაქს აშენებს — კურორტ-ბიზნეს-ცენტრს შავი ზღვის სანაპიროზე. რატომ? სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ამაყობს იმით, რომ უფლებამოსილია, ხალხს გააცნოს რეფორმატორული კრედო: ძველ ქალაქებს ამძიმებს ისტორია და ტრადიციები, რომლებიც ხანდახან ინვესტორს აფრთხობს. ამიტომაც უკეთესია, ყველაფერი ხელახლა დავიწყოთ, თითქოს არაფერი ყოფილა. ტრიალ მინდორზე.

თუკი გამსახურდიას პრინციპი იყო „საქართველო ქართველებისთვის“, სააკაშვილი თითქოს აშენებს „საქართველოს ქართველების გარეშე“. შესაძლოა, ეს ცინიკურად ჩანს, მაგრამ გარკვეულწილად რეფორმების წარმატება ამითაც აიხსნება. ხელისუფლება ქართველების გაქალაქებას ცდილობს, ხოლო ისინი, ვინც მიყრუებულ ადგილებს ვერ ტოვებს, მათზე ხელისუფლებას „ხელი დაუბანია“. რაც უფრო მკაცრია რეფორმა, მით უფრო იზრდება მანძილი ხელისუფლებასა და ხალხს შორის. ეს სავსებით ნორმალური იქნებოდა ნებისმიერ ქვეყანაში. საქართველოში კი, ამის პასუხად, ხელფასებს უზრდიან პოლიციაში, მტკიცდება ხელისუფლების ვერტიკალი და შესაბამისად, იქმნება რეფორმების რადიკალიზაციის შესაძლებლობა და ეს მანკიერ წრეზე სიარულს ჰგავს. ეს წრე ჩაკეტილია: ან რეფორმები, ან დემოკრატია.

ვინ არის ბიძინა ივანიშვილი? ეს არის ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში აფინანსებდა ხელისუფლების წამოწყებებს, მათ შორის — სოციალურ პროექტებს, მათ შორის — სამხედრო ბაზებს — პრეზიდენტის სიამაყეს.

თუნდაც რეფორმების გამო ვერტიკალზე დაფუძნებულ ხელისუფლებას მოსვენებას უკარგავს ქვეყანაში უკონტროლო სიმდიდრის არსებობა. არჩევნებამდე სამი თვით ადრე, შინაგან საქმეთა მინისტრად ინიშნება სადისტის რეპუტაციის მქონე კაცი, რომელიც პირადად სცემდა პატიმრებს. საზოგადოებამ ხელისუფლების ეს ნაბიჯი ერთსულოვნად შეაფასა მინიშნებად მათთვის, ვისაც არჩევნების გამოცხადებული შედეგები არ მოეწონება. პრეზიდენტი ამცირებს რისკს და ისედაც ყოვლისშემძლე ვანო მერაბიშვილს თითქოს კიდევ უფრო აძლიერებს პრემიერ-მინისტრად დანიშვნით. არადა, მას ხელიდან გამოაცალა ერთგული შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც სწორედ ასეთი რეპუტაციის კაცს ანდო, ადამიანს, რომელიც რეჟიმს ბოლომდე, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაიცავს.

არანაირ მნიშვნელობა არა აქვს, სააკაშვილი ამას რეფორმებისთვის აკეთებს თუ უბრალოდ უყვარს ავტორიტარული მართვა. ზღვარი იშლება და პროცესი შეუქცევადი ხდება — მოედანზე ჩნდებიან მემარცხენეებიც, განაწყენებული ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, სამსახურდაკარგული პოლიციელები... ისინი, ვინც გუშინ რეფორმებით აღფრთოვანებას გამოხატავდა, თუმცა დღეს ეს აღარ ახსოვს და ამაში ვერც დაადანაშაულებ.

# israeli sirias emuqreba, dasavleTi asadis gadadgomas amzadebs

**„რამე უნდა ვიღონოთ“ იმისათვის, რომ სირიული ქიმიური იარაღი „ბოევიკების“ ხელში არ მოხვდეს“, — ეს განცხადება ისრაელის ხელისუფლებას ეკუთვნის. „ასადის შემდგომ“ უსაფრთხოებისა და ინსტიტუციონალური მოწყობის თვალსაზრისით ვაკუუმის თავიდან ასაცილებლად, დასავლეთის სტრატეგები ორ ვარიანტს ამუშავებენ: სამხედრო საბჭო და გარდამავალი მთავრობა. რუსეთი და ჩინეთი ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით გარედან ჩარევას კვლავ ეწინააღმდეგებიან.**

კვირის დასაწყისში ისრაელმა გაავრცელა შეუნიღბავი გაფრთხილება: თუკი აუცილებელი იქნება, გამოიყენებს სამხედრო ძალას, რათა ქიმიური იარაღი სირიის მოკავშირის — „ჰესბოლას“ ხელში არ აღმოჩნდეს, — წერს გამოცემა **The Independent**. ეს განცხადება სირიის დიდ ქალაქებში — დამასკოსა და ალეპოში გააფთრებული ბრძოლების ფონზე გაკეთდა. ოფიციალური პირები არ გამორიცხავენ ავიადარტყმებს ავტოკოლონებზე, თუკი გაჩნდება საიმისო ეჭვი, რომ ქიმიური იარაღი ლიბანელი „ბოევიკებისთვის“ გადააქვთ.

„ვაშინგტონი იზიარებს ისრაელის შეშფოთებას, თუმცა, ზოგიერთი ცნობით, დიდად არ მოსწონს ისრაელის განზრახვა, იერიში მიიტანოს იარაღის არსენალზე“, — წერს გაზეთი. ისრეალელი ზოგიერთი ანალიტიკოსიც არ იწონებს სამხედრო ძალის გამოყენების იდეას.

„ასადის რეჟიმის კრახი გარდაუვალია, მაგრამ ვინ ჩაანაცვლებს მას? ხომ არ მოხდება ისე, რომ ქვეყანა უფრო მეტად ჩაეფლობა სისხლიან ქაოსში? — წერს **Die Welt**-ის მიმომხილველი.

სირიისთვის გაღებული ჯოჯოხეთის კარის დახურვა რთულია. გაეროს უშიშროების საბჭო პარალიზებული აღმოჩნდა რუსეთისა და ჩინეთის ვეტოს გამო, რომლებიც დღემდე არ პატიობენ დასავლეთს ლიბიის კამპანიას. ამერიკაცა და ევროპაც, ლიბიის გამოცდილების გათვალისწინებით, დიდად არ სწყალობს სამხედრო ოპერაციას. დიქტატურის მემკვიდრეობისთვის ბრძოლა უკვე დაწყებულია, წერს ავტორი.

ებრაელებმა დაიფიცეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ სირიული იარაღი რადიკალი ისლამისტების ხელში არ აღმოჩნდეს. „ჰესბოლა“ და „ჰამასი“ მას დაუფიქრებლად გამოიყენებენ — ვარაუდობს ავტორი. ისრაელის არმია მზად არის პრევენციული დარტყმისთვის — ამ განცხადებას ისრაელის თავდაცვის მინისტრი ავრცელებს.

„ამის ფონზე, ძალაუფლებისთვის ბრძოლა მძაფრდება თვითონ დამასკოში. სირიის სხვა ქალაქებში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, რეჟიმის დამარცხება გარდაუვალია“, — აცხადებს მიმომხილველი. ახლა კოფი ანანის გეგმასთან მიბრუნება ისეთივე რთულია, როგორიც მოლაპარაკებების გამართვა. სირია სისხლიან ჭაობს ჰგავს.

კულისებში დიდი მანევრებისთვის ემზადებიან — ასადის შემდგომი პერიოდის მოსამზადებლად, — ვკითხულობთ **Le Figaro**-ში. ძირითადად ორ ვარიანტზე მსჯელობენ: შესაძლოა, ძალაუფლება გადაეცეს სამხედრო საბჭოს ან ჩამოყალიბდეს დროებითი მთავრობა.



განიხილავენ შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს შექმნის შესაძლებლობას, რომლის შემადგენლობაშიც შევიდოდნენ სამხედრო სამსახურში დარჩენის მსურველი გენერლებიც და დეზერტირებიც. ეს საბჭო გარდამავალ პერიოდში — დაახლოებით 9 თვის განმავლობაში, იმუშავებს. შემდგომ უნდა დაიწყოს მზადება არჩევნებისა და კონსტიტუციის პროექტისთვის.

მეორე ვარიანტია გარდამავალი მთავრობის შექმნა. ამის სურვილი გამოთქვა საფრანგეთმა, რომელიც აცხადებს — აუცილებელია, უსწრაფესად ჩამოყალიბდეს გარდამავალი მთავრობა, რომელშიც შევიდოდნენ სირიის ეროვნული საბჭო, სირიის თავისუფალი არმია, შიდა ოპოზიციის წარმომადგენლები, აგრეთვე დამასკოს გავლენიანი სუნიტური ოჯახები. ამ საკითხში საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების აზრები გაიყო. ვაშინგტონი პირველ ეტაპზე სამხედრო საბჭოს შექმნის იდეას ემხრობა.

რატომ უჭერენ რუსეთი და ჩინეთი მხარს ბაშარს? ამ თემაზე ანალიტიკურ წერილს აქვეყნებს **The Huffington Post**. ბევრი მიმომხილველი ამას რუსეთისა და სირიის დიდი ხნის ურთიერთობით ხსნის, მიუხედავად იმისა, რომ სირია არც რუსეთისგან იარაღის მსხვილი შემსყიდველია და ტარტუსში მდებარე რუსეთის ბაზა ამერიკულის საპირწონეც არ არის.

არსებობს სხვა მიზეზები:

ამ ქვეყნების ხელისუფალთ ასადის მთავრობა განწირულად არ მიაჩნიათ;

ასადის გადადგომა არ არის მეამბოხეთა უკანდახევის წინაპირობა;

ჩინეთისა და რუსეთის აზრით, ამერიკის ძირითადი მოტივაცია ქვეყანაში ვითარების დარეგულირება კი არა, ხელისუფლების შეცვლით არაბულ სამყაროში პოზიციების გამყარებაა;

რუსეთისა და ჩინეთის ხელისუფალთა ვარაუდით, ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები მხარს უჭერენ სირიის ოპოზიციას ისე, რომ კარგად არ იცნობენ მას და მის გეგმებს...

საეჭვოა, სირიის პრობლემის მოსაგვარებლად ჩინეთმა და რუსეთმა საერთო გამონახონ ამერიკასთან, საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან.

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

მოგზაურობა სამშობლოში

# a l aTasa, ba l aTasa...

## ტყე-ჯავახეთი

*მართალია, ტყე-ჯავახეთში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მნიშვნელობის ხევები და ხეობები არ გვხვდება, მაგრამ სამოგზაურო მარშრუტების დადგენისას მაინც მცირე მდინარეების ორიენტირებით უნდა ვისარგებლოთ. აქ სამი ასეთი მდინარეა: საროსწყალი, ჭობარეთისწყალი და ბარალეთისწყალი, რომელთაც თავთავიანთი ღელე-შენაკადები აქვთ.*

* * *

მოლითიდან სამხრეთით ვეშვებით და ბარალეთისწყლის მარჯვენა სანაპიროს მივყვებით, სადაც პირველი ორი სოფელი **ჩიხარულა (ჭირხარულა)** და **ბალანთაა**. ჭირხარულა დღეს უმთავრესად სომხებითაა დასახლებული, ბალანთა კი ქართველებით. ბორჯომის რაიონის საზღვარიც აქ სრულდება. ეკლესია, თუნდაც დანგრეული, არცერთ ამ სოფელში არ არის შემორჩენილი, თუმცა ბალანთელები სოფლიდან მოშორებულ ტერიტორიაზე ერთ საინტერესო გამოსახულებიან ლოდს მიჩვენებენ. იგი საყდრის არქიტრავის ნატეხი უნდა იყოს. ზედ, მგონი, ხარი უნდა ყოფილიყო გამოხატული. ბალანთაში მცხოვრებ **მაღრაძეებს, მელიქიძეებს, ბერძენიშვილებსა და ზევდგინიძეებს,** რომელთაც ძირითადად მესაქონლეობით გააქვთ თავი, ამ ადგილებში ბაღები აქვთ გაშენებული და როგორც ამბობენ, სოფლის სახელწოდებაც ბალიდან მომდინარეობს (ბალიანი მთა) — ამ სიმაღლეზე ბალი რომ ხარობდეს, სხვაგან ვერ ნახავთო. მე ბალანთელების სხვა ნათქვამს უფრო დაუეჭვებლად ვიზიარებ — გადმოცემით ვიცით, რომ ამ მიდამოებში სოფელი **ალანთაც** იყოო. უფრო მეტიც —„ჭონას" სტრიქნები მახსენდება: **„ალათასა, ბალათასა ჩამოვკიდებ კალათასა, დედი, ერთი კვერცხი მომეც, ღმერთი მოგცემს ბარაქასა".** სოფელ ალანთა და ბალანთა ხომ არ იგულისხმება სიმღერის ტექსტში? ბალანთის ერთ უბანში ძველეპური სახლის გადაღებისას ასეთ სურათს ვხედავ: წინკარში თავსაფრიანი დედაკაცი



აზავრეთის ტაძრის ფასადები და თევდორეს წარწერა

ჩამომჯდარა ჯორკოზე, ცალი ხელით ჯაჭვზე ჩამოკიდებულ სადღვებელს არწევს, მეორეთი — აკვანს. დედაკაცი ჩემკენ არც კი იყურება, ფიქრებში გართულა. მეც ფიქრმა წამიღო — ვინც იცის, ასეთ დედას უმღეროდა „ჭონას" ავტორი?...

ბალანთის მერე ბარალეთისწყალს დასავლეთიდან ჯერ **მედეგისწყალი** ერთვის, შემდეგ კი **ბურნაშეთისწყალი,** რომელსაც ეს სახელი მის შუაწელზე მდებარე სოფელ **ბურნაშეთისგან** უსესხებია. ბურნაშეთი უკვე ახალქალაქის რაიონს ეკუთვნის და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოსული სომხებითაა დასახლებული. სოფლის ძველი სახელი ბურნაშენი ყოფილა, რასაც დასახლების თავში მდებარე ეკლესიის შიგნით შემონახული XII-XIII საუკუნეების ერთი წარწერა ადასტურებს: **„სახელითა ღმრთისაითა და შუამდგომლობითა წმიდისა გიორგისათა, დავწერე მე გიორგიმან, თქუენ ბურნაშნელთა მღდელთა — მოგეც ყანაი თიქაროანს ჩემგან ნასყიდი".**

X საუკუნით თარიღდება ეკლესიის აგების თანდართული წარწერა, რომელიც აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზეა მოთავსებული დანიელ წინასწარმეტყველის ლომთა ხაროში ყოფნის





ამსახველ რელიეფურ სიუჟეტთან ერთად: **„უფალო, ვითარცა იხსენ დანიელ პირისაგან ლომთაისა, ეგრე იხსენ ამის წმიდისა ეკლესიისა მაშენებელნი ხელთაგან ჯოჯოხეთისაგან".**

ხსენებული ეკლესია, რომელიც ახალი აღდგენილია, დარბაზული ტიპისაა, მას დასავლეთიდან და სამხრეთიდან გარშემოსავლელი აქვს მიშენებული. დასავლეთიდან ამ მიშანშენში სწორკუთხა კარია გაჭრილი, სამხრეთიდან კი სამთაღოვანი კარიბჭე. ტაძარი უმეტესად მოვარდისფრო თლილი ქვითაა ნაგები და ადრე გალავნით ყოფილა შემოზღუდული. სად წავიდა აქაური ძირძველი ქართული მოსახლეობა, ძნელი სათქმელია. **ვარაუდობენ, რომ იგი მეზობელ თრიალეთში გადასახლდა და იქაურ სოფელსაც ბურნაშეთი დაარქვა, მაგრამ დღეს არც თრიალეთის ბურნაშეთში ცხოვრობს ქართველობა, იქაც სომხები არიან მოსულები და ეკლესია იქაც მიტოვებულია. რამდენად რეალურია ზევით მოყვანილი ვარაუდი, ძნელი დასადგენია. საქმე ის არის, რომ თრიალეთის ბურნაშეთის ეკლლესიაც X საუკუნისაა, ხოლო მის ვრცელ ქართულ-ნუსხურ წარწერებში ნახსენებია ამ პერიოდის ადგილობრივი ფეოდალი, საყდრის ქტიტორი ლაგვალაისძე.**

ახალქალაქის რაიონის ბურნაშეთი ზღვის დონიდან 1900 მეტრზეა. კიდევ უფრო ზევითაა ბარალეთისწყლის მომდევნო შენაკადის სათავეში მდებარე სოფელი **აზავრეთი,** რომელიც ყველაზე მაღალი დასახლებაა არამარტო ჯავახეთში, არამედ მთელ აღმოსავლეთ საქართველოში (ზღვის დონიდან 2100 მ). **აზავერი ძველი ქართული სიტყვაა და საკიდარ ხარს ნიშნავს, რაც იმის მანიშნებელია, რომ სუბალპურ ზონაში მდებარე სოფელს ამ ჯიშისა და დანიშნულების საუკეთესო ხარები ჰყავდა.** ასეთი ხარები არათუ არ ჰყავთ, მათი გაგებაც კი არ აქვთ XIX საუკუნის 70-იან წლებიდან აქ მოსახლე არზრუმელ სომხებს.

აზავრეთი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული სოფელია, სადაც ზაფხულობით განსაკუთრებული ხალხმრავლობაა. ამ პერიოდში საშოვარზე თუ საცხოვრებლად სომხეთში წასული საშუალო თაობის დიდი ნაწილი მშობლებთან ბრუნდება ჯალაბით. ეს სოფელში შესვლისთანავე თვალში გეცემათ: ჯანიანი კაცები თივის ზვინებს დგამენ, ხანდაზმულები საფიხვნოში სხედან, ბალღები ველოსიპედებს დააქროლებენ და სახედრებს დაარბენინებენ. უფროსთაგან ზოგ-ზოგმა საყველპურო ქართული იცის და სარწყავი არხის წესრიგში მოყვანას გვთხოვს...

ეკლესია სოფლის თავში, ორსართულიან, აწოწილ საცხოვრებელ სახლებშია ჩაკარგული. არადა, **ეს საკმაოდ დიდი დარბაზული საყდარია. ერთი შეხედვით იგი, თითქოს, ბურნაშეთის ეკლესიას ჰგავს, მაგრამ, კარგად რომ დააკვირდები, მასზე ადრინდელიცაა და უკეთ ნაგებიც... ქვებიც სხვაგვარადაა დამუშავებული და დალაგებული — ორიგინალურად და ხატოვნად.** სამხრეთის დერეფანში თავდაპირველად ორთაღოვანი კარიბჭე ყოფილა გაჭრილი, მაგრამ მერე ცალი თაღი ამოუქოლავთ. ტაძრის შვერილი აბსიდის ქვათა ფორმა და წყობა, კბილანა ლავგარდანის შემორჩენილი ფრაგმენტები და სხვა დეტალები ნაგებობას IX საუკუნით ათარიღებს. აღმოსავლეთლ სარკმლის თავსართში არსებული რელიეფი ისეა დამდნარი, გადაჭრით ვერ იტყვი, რას გამოსახავს, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ვეშაპის მიერ იონას შთანთქმის და მუცლიდან ამოსვლის ამსახველი სიუჟეტია.

ძალიან საინტერესოდაა შემორჩენილი დასავლეთი ფასადი. მის ზედა მონაკვეთში მოჩანს ორი ამოქოლილი თაღი — კედელში შემორჩენილია არამარტო ოვალური ქვები, არამედ მათი კაპიტელებიც. **დაკვირვება ცხადყოფს, რომ ადრე ეს გახსნილი ორთაღედი პატრონიკეს ეკუთვნოდა. პატრონიკე, რომელიც დასავლეთის მინაშენის მეორე სართულს წარმოადგენდა, მოგვიანებით დაქცეულა და რაკი აღდგენა ვერ მოუხერხებიათ,** ორთაღედი ამოუქოლავთ და შიგ ცალი სარკმელი დაუტანებიათ. გასული ხანი და უყურადღებობის გამო კამარაც ჩამოქცევია ტაძარს. არადა, ხუროთმოძღვარს თავის დროზე გადახურვის სამედიობისთვის განსაკუთრებით უზრუნვია და კამარა ექვსი თაღით შეუკრავს. ამ თაღების ნაირ-ნაირი იმპოსტები ახლაც არის შერჩენილი კედლებში. დარბაზული ტაძრის ასეთი მრავალფეროვანი გადახურვა მანგლისთან ახლოს მდებარე ახალსოფლის (ლაკვის) პეტრე-პავლეს ნატაძარში თუ შეგხვდებათ მხოლოდ. აზავრეთის დიდებული ტაძრის ხუროთმოძღვრის სახელი ცნობილია საკურთხევლის აბსიდის მარცხენა ნაპირზე შემორჩენილი ნაკვეთი წარწერიდან: **„უფალო, თევდორე — ამის მაშენებელი შეიწყალე".**

ჭეშმარიტი ოსტატი ყოფილა თევდორე.

...აზავრეთისა და ბარალეთის წყლების შესართავიდან დასავლეთით, ერთ კილომეტრში არის მთლიანად ქართველებით დასახლებული მოზრდილი სოფელი **კოთელია.**

კოთელიის მოსახლეობის ერთი ნაწილი ძირძველი გვარეულობებია **(ნათენაძე, ზევდგინიძე, მელიქიძე, წინწკალაძე, ბერიძე, ზარიძე, ფანჯიკიძე),** მეორე ნაწილი მოსული ქართველობაა **(ანანიაშვილი, ნამორაძე, კოპტონაშვილი, სარალიძე, აჩელაშვილი, საბაშვილი, ხუციშვილი, ბერუაშვილი, ელიზბარაშვილი, ზურაბაშვილი, მეტრეველი).** რაც შეეხებათ ლაზარიაშვილებს და ხმალაძეებს, ძნელი დასადგენია, აქედან არიან ქიზიყში წასულნი, თუ იქიდან აქეთ მოსულნი. საერთოდ, სოფელში დღეს კახურ-ქიზიყური სახეები და კილოკავი ჭარბობს. კოთელიას ამ მხარეში ყველაზე ვრცელი სავარგულები აქვს, მაგრამ სიმდიდრით მაინც ჩამორჩება სხვა დიდ ჯავახურ სოფლებს. მეზობელი ბარალეთისა და მერენიის სომხებს რომ ჰკითხო, ამის მიზეზად ქართველთა სიზარმაცეს დაასახელებენ, მაგრამ სინამდვილეში თავი და თავი მიზეზი უწყლობაა. მაშინ, როცა ბარალეთი, ღრტილა და მერენია წყალს მიაქვს, კოთელიას სასმელადაც კი ენატრება. ბოლო დროს, ერთი-ორი ბიზნესმენის გამოჩენასთან ერთად, თითქოს გენერატორზე მომუშავე წყალსაქაჩიც გამოჩნდა, მაგრამ სანამ რიგში ჩამდგარი კოთელიელები ბარალეთიდან აქ მოუშვებენ წყალს, კარტოფილის ნარგავებს წყურვილი კლავს. აი, მეორე დღეა, რაც კარალეთში ვართ გაჩერებული და წყაროს წყალიც კი ერთი კილომეტრიდან მოგვაქვს ჩვენი „ნივით", დანარჩენი სოფელი მას ურიკებით ეზიდება.

სოფლის ცენტრში დგას წმინდა კვირიკეს ეკლესია „კვირიკეთი", რომლის დასავლეთ კეხზე XIX საუკუნეში მცირე სამრეკლო შემოუდგამთ. თავად ეკლესია, რომელიც თლილი ქვითაა ნაგები, XVI საუკუნეში აღუმართავთ. საყდრის კედელზე ამოკვეთილი მხედრული წარწერა გვეუბნება: **„ქ. ამის წმიდისა კვირიკეს საყდრისა აღმშენებელსა ქიშვადს და თანამეცხედრესა, მეფის ასულს თამარს შეუნდოს ღმერთმან".**

წარწერა XVI საუკუნისაა. ეს ის ქიშვად ავალიშვილი უნდა იყოს, რომელსაც თავისი გვარ-სახელი ამავე პერიოდის ლიკანის ტაძრის სამრეკლოზე აქვს დატოვებული. ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი მეუღლე თამარი ლუარსაბ I-ის ქალიშვილია. აღსანიშნავია, რომ 1535 წელს იმერთა მეფე ბაგრატ III-მ ლუარსაბ I-ის თანადგომით აქვე, მურჯახეთში, ომი მოუგო ოსმალეთს და ჯავახეთი 1545 წლამდე იმერეთს დაუქვემდებარა. ქიშვადს და თამარს სწორედ ამ ხანებში ექნებათ აგებული ეს ეკლესია, რომლის ქვეშ, მომდევნო წლებში ოსმალოსაგან შევიწროებულ მოსახლეობას სამალავი დარნები მოუწყია. ეს ამბავი კოთელიის სკოლის დირექტორმა, 85 წლის ვასილ ხუციშვილმა გვითხრა, რომელმაც ასევე სოფლის თავში, ბორცვზე შემოდგმული ქვაჯვარი და კვირაცხოვლის ნიშიც გვიჩვენა.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

ბურნაშეთის „წმ. გიორგი" აღმოსავლეთ სარკმლის წარწერით





კოთელიის „წმ. კვირიკე"



## ჯემალ დავლიანიძე

# mware gakveTilebi

# evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

### რეჟისორი საქართველოს უბედურებისა

საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკას შემოუტიეს დემოკრატიის სახელით. იქ, სადაც ევროამერიკული დემოკრატია არ არის, რაღა თქმა უნდა, დიქტატურაა! მათ, როცა სჭირდებათ, მართლაც დემოკრატს დააბრალებენ დიქტატორობას, ხოლო ტირანს და უზურპატორს დაარქმევენ დემოკრატს. უფრო მეტიც, თვით ნობელის პრემიასაც მიანიჭებენ ხალხის ჟლეტისათვის და რაც ყველაზე საოცარია — თუ საქმეს დასჭირდა, ნობელის პრემიას წინასწარ, ავანსადაც კი გასცემენ!

აბა, ბატონებო, სულ მცირე ხნით წარმოვიდგინოთ თავი ზვიად გამსახურდიას ადგილზე... მწერალი, მთარგმნელი, მეცნიერი, ლიტერატურის მკვლევარი, ესეისტი, მთელი ცხოვრება უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი, მსოფლიოში ცნობილი დისიდენტი და... მას აბრალებენ, რომ არის კგბ-ს აგენტი, დამბეზღებელი, ნევრასტენიით შეპყრობილი, უზურპატორი, დიქტატორი, პროვინციელი ფაშისტი, ნაცისტი, შოვინისტი...

მის წინააღმდეგ ვითომ გამოდიან ერთი მუჭა კრიმინალები, რასაც მსოფლიო თანამეგობრობა, მსოფლიოს ახალი მეწესრიგეები ანუ ევროამერიკელები, სახალხო აჯანყებად მიიჩნევენ.

როცა თოფის გასროლა დააგვიანა ე.წ. ოპოზიციამ, შევარდნაძემ, რომელიც ელცინს უკვე გაურიგდა — გამსახურდია აუცილებლად უნდა დავამხოთო, მამა ჯორჯ ბუშამდე ჩააღწია და მსოფლიოს გასაგონად დააყვირა — ზვიად გამსახურდია დინების აღმა მიცურავსო! ამ სიტყვების გაგონებაზე, სულ რამდენიმე დღეში, თბილისში ტყვიაც გავარდა და დაიწყო კლასიკური სამხედრო გადატრიალება.

რეჟისორი ამ უბედურებისა, ედუარდ შევარდნაძე, იჯდა მოსკოვში ანუ შტაბში და იქიდან ხელმძღვანელობდა დაწყებულ ოპერაციებს.

მანამდე საქართველო უკვე ბლოკადაში ჰყავდათ მოქცეული. სანთლით საძებარი გახადეს პირველი მოხმარების პროდუქტები: ფქვილი, მაკარონი, შაქარი! გაჩნდა დიდი რიგები ბენზინზე, დიზელზე, ნავთზე. პურის მაღაზიებთან ღამეებს ათენებდა მოხუცი თუ ბავშვი!

და, ეს ხდებოდა ე.წ. დემოკრატიული მსოფლიოს თვალწინ! თითი არავინ გაანძრია! გაისუსა ამერიკაც, ევროპაც და აზიაც!

საქმე ისე მოაწყვეს — ზვიად გამსახურდიას ლანძღვა-გინება დაუწყეს იმის გამო, რომ პურის ფასი არ გააძვირა!

თანამდებობიდან გადადგა პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, ვითომდაც ზვიადის დიქტატორობის გამო. სინამდვილეში იგი გახლდათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა სამხედრო გადატრიალების ორგანიზებაში. სხვათა შორის, შემდგომ, როცა შევარდნაძემ სიგუას ციხეში გამწესება მოინდომა, მას ისეთი ძლიერი ფესვები აღმოაჩნდა, ვერაფერი გააწყო.

ზვიად გამსახურდიას წაუყენეს ულტიმატუმი, რომ გადამდგარიყო. სთავაზობდნენ სხვადასხვა გარანტიებს, მაგრამ მისი დაპატიმრება ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამისი დასტურია ის, რომ ერევანში ჩასულ ლტოლვილ პრეზიდენტს უკან გააყოლეს სამხედრო საბჭოს მიერ არჩეული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთა ვინაობა ყველა ქართველს მოეხსენება. ამიტომ მკითხველს აღარ გადავღლი მათი ჩამოთვლით.

კანონიერ პრეზიდენტს მოუწყვეს სამხედრო გადატრიალება და მსოფლიომ ეს პუტჩი მონათლა, როგორც სახალხო აჯანყება. შემდგომ კი ჟურნალისტების მეოხებით ყოველივე ამას შეარქვეს სამოქალაქო ომი, რომელშიც მეორე მხარემ გაიმარჯვა!

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-31

### საქართველო მსოფლიო ახალი წესრიგის მესვეურებმა გაწირეს

ზვიად გამსახურდია ემიგრაციაში წავიდა. ჩეჩნეთს მიაშურა. საქართველოში ჩამოიყვანეს ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც 1992 წლის 7 მარტს აეროპორტშივე დიდი მადლობა გადაუხადა ინტელიგენციას მხარში დგომისათვის.

მოვუსმინოთ, შევარდნაძის შესახებ რას ამბობს ჯაბა იოსელიანი (სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი) თავის წიგნში „სამი განზომილება“ (გვერდი 67):

„ჩვენი პირველი სატელეფონო საუბარი არავითარი ღირსშესანიშნაობით არ გამოირჩეოდა. ვუთხარი, რომ ჩვენ, მე და კიტოვანმა, სამხედრო საბჭო შევქმენით და ხელში ავიღეთ ძალაუფლება, მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდია ჯერ ისევ ბუნკერშია, როგორც კი სიტუაცია გამოიკვეთება, ჩვენ ალბათ კიდევ დავუკავშირდებით ერთმანეთს...“

„...საღამოს ვრეკავ მოსკოვში, შევარდნაძესთან. ვეუბნები მოკლედ: თუ ჩამოდიხართ, ათ დღეს აღარ გადააცილოთ. ათი დღის შემდეგ შეიძლება გვიანი იყოს... შევთანხმდით, რომ იგი 7 მარტს ჩამოვიდოდა. საზოგადოებრივი აზრი მომწიფებული თუ არა, ასე თუ ისე, შემზადებულია. ტელევიზიით გადაიცა ჩემი გამოსვლა, ვალერი კვარაცხელიას ინტერვიუ, ნანა ჯაფარიძის საათნახევრიანი გადაცემა, სადაც შევარდნაძე ფრთხილად და ზომიერად ლაპარაკობდა საკუთარი მსოფლმხედველობის შეცვლის ირგვლივ... უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხშირად მპატიჟებს თავისთან, მამაშვილურად მეფერება... ძალიან გახარებულია, რომ ვითავე შევარდნაძის ჩამოყვანა... 7 მარტია. მივდივარ აეროპორტში შევარდნაძის შესახვედრად. თვითმფრინავიდან გადმოდის შევარდნაძე, მას მოჰყვებიან თბილისიდან წასული ქართლოს ღარიბაშვილი, ჩვენი ბიჭები, შევარდნაძის დაცვა — ყოფილ მოჭიდავეთა შემადგენლობა, ნანული შევარდნაძე, კიტოვანი, სიგუა, აქვეა ზურაბ წერეთელიც“.

„ჩამოდის ჰანს დიტრიხ გენშერი — გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ავტორიტეტი. ეს საქართველოსთვის უდიდესი მოვლენაა, ჩვენი, ჯერ კიდევ არალეგიტიმური ხელისუფლების ცნობა... გენშერს შეხვედრას ვუწყობთ კრწანისის რეზიდენციაში. პურ-მარილი ზურაბ წერეთელთან გვაქვს. გულითადი ვითარებაა. გენშერი იგონებს ანეკდოტს ამერიკის სახელმწიფო მდივნის ბეიკერის თვითმფრინავით მოგზაურობათა სიმრავლის გამო... მე, რაც შეიძლება დელიკატურად ვეკითხები, რამდენს გადაიხდიდა ფედერაციული გერმანია დემოკრატიულ რესპუბლიკასთან გაერთიანების წინ, რომ ეს გაერთიანება მომხდარიყო. „ალბათ არა ერთ მილიარდ დოლარს, არა?“ — „ალბათ!“ — განა ამაში შევარდნაძეს ლომის წილი არ მიუძღვის?“ — „რასაკვირველია“. — ვერ გაუგია საით ვღუნავ. „ჰოდა, ერთი-ორი მილიარდი გვასესხეთ, მუქთად არ გვსურს, არ გვინდა თქვენს კმაყოფაზე ვიყოთ“. სიცილით მაწყვეტინებს (ეს გენშერი აწყვეტინებს ჯაბა იოსელიანს! — ჯ.დ.): „რამდენი მილიონი ხართ საქართველოში?“ — „ხუთი“. — „ჰოდა, იყავით ჩვენს კმაყოფაზე“.

როცა ჯაბა იოსელიანმა და კიტოვანმა შევარდნაძე ჩამოიყვანეს (ისინი თვითონ ამბობენ ასე — ჩამოვიყვანეთო, მაგრამ სინამდვილეში, ყველაფერი შევარდნაძის მიერ გახლდათ დაგეგმილი!), მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ჩატარებული იქნა: საქართველოს თითოეული რაიონის ქონება დაიტაცეს, ბანკები გაძარცვეს, ელექტროენერგია ჩააქრეს და ქვეყანა ჩააბნელეს, საპროტესტო მიტინგები სასტიკად დახვრიტეს, უამრავი ადამიანი დააპატიმრეს და მოკლეს, მრავალი აწამეს, მრავალი სამშობლოდან გააძევეს. ყოველ დღე, ყოველ საათში, ქალაქებში თუ სოფლებში, სპეციალური დავალებით, სპეციალური ხალხი ისროდნენ ავტომატებს, ქალაქებში ღამე გარეთ ვერ გამოხვიდოდი, ისეთი საშინელი სროლა ისმოდა...





ჩამოვიდა შევარდნაძე, რათა ამ საშინელებისგან ეხსნა საქართველო, რომელიც თურმე თვით ქართველებმა დააქციეს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ამგვარი მწარე ხვედრისთვის ჩვენი ქვეყანა შევარდნაძის უფროსებმა, ხელმძღვანელებმა გაწირეს. ვინ იფიქრებდა, რომ ამ საზარელ დანაშაულში მსოფლიოს წამყვანი, ახალი წესრიგის მესვეურნი მონაწილეობდნენ?

### საქართველოში უნდა ჩაეკლათ ეროვნულობა და თვითმყოფადობა

საქართველო უნდა მოეთვინიერებინათ.

საქართველოში უნდა ჩაეკლათ ეროვნულობა, სარწმუნოება!

საქართველო თვითონვე უნდა ყოფილიყო საკუთარი მამულის, ენის და სარწმუნოების გათელვის ინიციატორი!

ქართველებს ერთმანეთისათვის და მეზობლებისთვის უნდა დაებრალებინათ თავს დამტყდარი ყველა სახის უბედურება!

უპირველესად, საამისოდ საჭიროდ ჩათვალეს ქვეყნის ჩაბნელება, დამშევა, დაშინება და უიმედობაში ჩაძირვა!

საამისოდ შევარდნაძემ ხელები დაიკაპიწა!

საქართველო ჯერ მთლად უნდა დაენგრია, გაეპარტახებინა, შემდგომ კი წვალებით და ჯახირით, ვითომ უნდა ფეხზე დაეყენებინა!

საამისოდ დასავლეთიდან და ოკეანის გაღმიდან სრული მხარდაჭერა გაჩნდა.

საინტერესოა, გადავხედოთ შევარდნაძის ინტერვიუს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტი“-ში (№ 610-611, 1992 წ.):

„ — სულ ცოტა ხნის წინათ თქვენს ინტერვიუებში ამბობდით ხოლმე, საქართველოში აღარასოდეს დავბრუნდებიო.

-მე მოვალე ვიყავი დავბრუნებულიყავი, რადგან ვგრძნობდი, რომ შემიძლია, რაღაც ვარგო ჩემს რესპუბლიკას, სადაც დიდი კრიზისია.

-თქვენ როგორღა დაგხვდათ რესპუბლიკა?

-ძალზე მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ არა უიმედო. ახლა, როცა თავი დავაღწიეთ საერთაშორისო იზოლაციას (შევარდნაძე თავისი პირით ამბობს, რომ მის ჩამოსვლამდე საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში ჰყავდათ მომწყვდეული! — ჯ.დ.), შეგვიძლია განვითარებული ქვეყნების დახმარებით (იმ ქვეყნებისა, რომლებმაც საერთაშორისო იზოლაციაში სპეციალურად მოაქციეს საქართველო! — ჯ.დ.) იმედი ვიქონიოთ, ამ კრიზისის დაძლევა შესაძლებელია.

-1991 წლის აგვისტოში „თეთრი სახლის“ (მხედველობაშია რუსეთის მთავრობის სახლი! — ჯ.დ.) წინ ხალხი ერთხმად გაიძახოდა: „რუსეთი! შევარდნაძე!“ თქვენი სახელი დემოკრატიის თავისებური სიმბოლო გახდა, თანაც — არა მარტო რუსეთში. ამიტომ ბევრს ელდა ეცა, როცა თქვენ საჯაროდ მოიწონეთ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერად არჩეული მთავრობის ძალით დამხობა.

-მე მართლაც მოვიწონე გამსახურდიას რეჟიმის დამხობა, რადგან ნათლად მესმოდა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას საქართველოსათვის. საერთოდ, მიკვირდა, როგორ მოახერხა გამსახურდიამ ადამიანებში შავბნელი ძალების გამოღვიძება. ჩემთვის უცნობი იყო ასეთი საქართველო. ჩემთვის ეს აღმოჩენა გახლდათ. მათ ხომ საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი და ჩვენი ახალგაზრდობა — ჩვენი ხვალინდელი დღე, უცხოდ გრძნობდა თავს საკუთარ ქვეყანაში (არადა, ყოველივე ასი პროცენტით პირიქით იყო. ასეთი ეროვნული სულის გამოღვიძება საქართველოში უკვე საუკუნეებია არ ყოფილა! — ჯ.დ.). სიტყვით გააფთრებული ანტიკომუნისტური პროპაგანდა გაჩაღდა, საქმით კი იგივე კომუნისტური სტრუქტურები შემორჩა, ოღონდ უფრო გაწაფული ფორმით. ისტორიაში არაერთხელ მომხდარა, რომ ხალხს ვიღაცა აურჩევია, ეს არჩეული კაცი კი გადიქტატორებულა. მე მწამს, რომ საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას დაადგება. თუ ამ იდეას ჯეროვნად არ დაუჭირეს მხარი, არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ (ძნელია შევარდნაძის ამ სიცრუის ქარიშხალს რაიმე კომენტარი გაუკეთო... ბედის ირონიაა, პირწავარდნილი კომუნისტი, დემონი, სუპერ-ვამპირი, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებით დამამხობელი, ქვეყნის და ქართველი ხალხის დამაქცევარი რომ ამას ლაპარაკობს! — ჯ.დ.).

-რა გეზს ადგახართ საგარეო პოლიტიკაში?

-უწინარეს ყოვლისა, მეგობრებზე გვაქვს აღებული გეზი და არცთუ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად იქნებიან ისინი — ამერიკაში, უკრაინაში თუ აზიაში. თურქეთი ჩვენი უახლოესი მეზობელია (და ნატოს წევრია! — ჯ.დ.). შეიძლება ამ ქვეყანასთან ურთიერთობა არ განვავითაროთ? ან ურუსეთოდ როგორ შეიძლება? პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ მოვწყდეთ რუსეთის ეკონომიკას, კულტურას (განა გამსახურდია ამაზე უარს ამბობდა? — ჯ.დ.).

-მრავალთა აზრით, თქვენ საკმაოდ უცნაური ამალა გარტყიათ გარს... თქვენს ერთ-ერთ უახლოეს თანაშემწეს — ჯაბა იოსელიანს დანაშაულებრივი წარსული და ფრიად საეჭვო რეპუტაცია აქვს. როგორ გრძნობთ თავს ასეთ გარემოცვაში?

-შეიცვალა დრო, მსოფლმხედველობა. შეიცვალნენ თავად ადამიანები, მათ შორის მეც... რაც შეეხება ჯაბა იოსელიანს, მე უბრალოდ მიყვარს ეს კაცი. ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს... დღეს იგი სახელმწიფო სისტემაში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა...

-გამსახურდიასათვის თქვენ უპირველესი მტერი იყავით. მიუხედავად ამისა, თქვენი შვილები მთელი ამ დროის მანძილზე საქართველოში ცხოვრობდნენ. ხომ არ იდევნებოდნენ რამენაირად?

-არა, ასეთი არაფერი ყოფილა“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# didi SiSis lobio Tu Wame da zedac halstuxi miayole prasiviT, aucileblad faRaraTi gimsxverplebs...

მწერალმა შუკო ჯიქიამ თბილისი კარგა ხნის წინათ დატოვა და მშობლიურ სამეგრელოს მიაშურა.

**ბატონი შუკო არა მარტო ნიჭიერი პოეტი და ნიჭიერი მწერალია, არამედ ძალზე შეუპოვარი და აქტიური პიროვნებაცაა, რომელიც თავის მშობლიურ კუთხეს ერთგულ ქომაგად უდგას გვერდში, რის გამოც ბევრი უსიამოვნებაც უწვნევია ხელისუფლებისგან.**

***გთავაზობთ ინტერვიუს მწერალ შუკო ჯიქიასთან***



**— ბატონო შუკო, თქვენ ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გიმუშავიათ სხვადასხვა თანამდებობებზე, როგორც პოლიტიკაში ასევე შემოქმედებით სფეროში... ახლა კი ერთბაშად ნათელმხილველად გვევლინებით. მაინც როდის აქეთ განიცადეთ ასეთი მეტამორფოზა და, საერთოდ, დავიჯეროთ რომ ყველაფერს, რასაც ამბობთ, სერიოზულად ამბობთ და თქვენი წინასწარმეტყველებანი აუცილებლად გამართლდება?**

— ნათელმხილველობა სულ ახლახან უბრალო მარჩიელობით დავიწყე. თავიდან ბებიაჩემის მეთოდი ავირჩიე და მეც ლობიოს მარცვლებით ვმკითხაობდი. გრძნეულების ამ ორ სახეობას შორის ის განსხვავებაა, რომ ჩვეულებრივი მკითხავი მისტერიების დროს იყენებს, მაგალითად, როგორც ლობიოს მარცვლებს, ასევე სანთელს, სათამაშო ქაღალდს, ყავის ნალექს და მისთანებს. ჩემთვის ასეთი იაფფასიანი „ხელსაწყოები" არ არის საჭირო. საკმარისია მხოლოდ გამეხსნას ე.წ. ხაზი და მორჩა, ამ ხაზის გაყოლებაზე თავისუფლად ვხედავ მომავალს, წარსული ან აწმყო არ მაინტერესებს, ვინაიდან ის უკვე ახდენილია.

**— რამდენადაც ვიცი, წარსული და აწმყო არც ლელა კაკულიას აინტერესებს?**

— ლელა კაკულია „პრეზიდენტის" პირადი „მარჩიელია", იგი თვით დელფოელ მისნებს უტოლდება და მე მას, რა თქმა უნდა, თავს ვერ შევადრი. ამ საქმეში მე ჩემი მოკრძალებული პრეტენზია გამაჩნია. ათასწლეულებს არ ვეპოტინები, შემიძლია მხოლოდ ერთი წელიწადი მოვაქციო ჩემი ნათელხილვის არეში და სკრუპულოზურად გადმოვცე ყოველივე, რასაც დავინახავ. ეს კი, მიმაჩნია, რომ სრულიად საკმარისია იმისთვის, კლიენტი გავაფრთხილო, შევამზადო და მოსალოდნელი საფრთხე თავიდან დროულად ავაცილო. ოღონდ რასაც ვურჩევ, ზედმიწევნით კარგად უნდა გაითვალისწინოს, მაგალითად, პირველ რიგში, არ უნდა აჩენდეს უმადურობას, ვინაიდან უმადურობა ღმერთისთვის ყველაზე მიუღებელი თვისებაა აჩქარებით არ უნდა იაროს და დამშვიდებით ილაპარაკოს (ეს ორი რჩევა სერვანტისეულია და განსაკუთრებით უნდა ჩაიჭედოს თავში). ამას გარდა, თუკი ის გამუდმებით დაშლიგინობს ჯიპით, მატარებლით, ავტობუსით, ტრაქტორით, კომბაინით, ველოსიპედით, დაფრინავს აეროპლანით, აერობუსით. ვიდრე რაკეტაზე გადაჯდება, ერთხელ მაინც ფეხშიშველამ უნდა გაიაროს ცვრიან ბალახზე და შეიგრძნოს „რაა მამული". ამასთანავე ჩემი კლიენტი არ უნდა იყოს „ბოლმის ბუკეტი" და თავის ცოფიანობას ყალბი ღიმილით არ უნდა ნიღბავდეს. ასევე არ უნდა იყოს აჯამი, ეგოისტი, ცილისმწამებელი, მაბეზღარა... გამუდმებით არ უნდა იტრაბახოს და არავინ გააღიზიაროს თავისი „მორჭმულობით" და „ძლევამოსილებით..." ერთი სიტყვით, საკუთარ ტყავში უნდა ჩაიმუმლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერ ჩემს კლიენტს სიკვდილის ბუზი დააჯდება. „პრეზიდენტ" სააკაშვილსაც ფაღარათით მოკვდინება ელოდება, ვინაიდან ის არანაირ რჩევებს არ ითვალისწინებს, არადა, ყველა იმ თვისების მატარებელია, რაც ზემოთ ჩამოვთვალე.

**— რატომ მაინცდამაინც ფაღარათით?**

— გეტყვით: „ნატვრის ხეში" ერთი ვინმე დაუდეგარი ანარქისტი იორამი მოწამლულ ბალახს შეჭამს და კუჭი მაინც არ აეშლება. ვინაიდან ის იმ ბალახს ახალი იდეის გამო ჭამს და ციციკორე და მისთანა „ჩასარეცხების" არ ეშინია. „ოქროს ციებცხელებაში" ჩარლი ჩაპლინი ჟანგიან ლურსმნებს წუწნის და ეს ერთი ციდა კაცი უზარმაზარ გოლიათს არხეინად ელაბუცება. ვინაიდან, ის ამას აკეთებს იმიტომ, რომ ხვალ-ზეგ ოქროს ლურსმნები იშოვოს და არანაირი დაბრკოლების არ ეშინია, ამიტომაც არც კუჭი აეშლება პატარა ჩარლის. ასე, რომ აქ ცუდი საკვები არაფერი შუაშია, ჭამე, რაც გინდა, ოღონდ არ უნდა შეგეშინდეს, ვინაიდან კუჭის აშლას, პირველ რიგში, შიშის ჭამა იწვევს. დიდი შიშის ლობიო თუ მიირთვი და ზედაც ჰალსტუხი მიატანე პრასივით, მაშინ უკვე ცუდადაა შენი საქმე — იქვე ფაღარათს აიკიდებ, თანაც სისხლიანს, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში მომაკვდინებელია.



**— მაშინ, რატომ ორიათას რვაშივე არ დაემართა ფაღარათი, — შეგეკითხებათ ოპოზიცია.**

— რომელი, საპარლამენტო?

**— თუნდაც საპარლამენტო.**

— ასეთი ოპოზიცია ჩვენში არ არსებობს, არსებობს უმრავლესობის რაღაც წანაზარდი, რომელსაც ჯერ სახელიც არ ჰქვია, და რომც ერქვას, მაინც არ ვახსენებ, ენას არ ავიყროლებ. თქვენ კი მოგახსენებთ, რომ მაშინდელი შიში არ იყო იმდენად თავზარდამცემი — სისხლიანი ფაღარათი გამოეწვია. მართალია, იმ დღეს მან ჭამა შიშის ლობიო და ზედაც ჰალსტუხი მიატანა პრასივით, მაგრამ, ვიმეორებ, არა ამ დოზით, რომელიც იწვევს სისხლიან ფაღარათს, არადა, ჩვეულებრივი ფაღარათით ადამიანი იშვიათად კვდება. ამასთანავე, იმ დღეს მას გარშემო ეხვია და ზედაც ეფარებოდა ჯავშანი. რომელიც სწრაფად მოძუძგვაში შველოდა დაოთხილ „მთავარსარდალს", მაგრამ აი, საშემოდგომოდ უკვე მას არ შერჩება ერთი ადამიანიც კი (სანდრას ჩათვლით), რომელიც თანადაუდგება და დაიცავს, დაიხსნის ამ სამარცხვინო აღსასრულისგან. იგი დარჩება სრულიად მარტო, განძარცული, გაფარღალალებული, ნაღალატევი... ციხე შიგნიდან გატყდება, მისი კედლები უკვე დაბზარულია და ვხედავ, ახლოვდება უზარმაზარი დამანგრეველი ძალა, რომელიც ამ ციხეს აღგვის მიწის პირისგან, სისხლი არ დაიღვრება, გარდა პრეზიდენტის იმ სისხლიანი ფაღარათისა.

**— საკუთრივ არჩევნების გარშემო რას გიჩვენებთ, ის თქვენი „ხაზი"?**

— „ხაზი" უტყუარია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ამ მიმართულებით ის ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გახსნილი. თუმცა, რეალობიდან გამომდინარე, ამისთვის არც „ხაზია" აუცილებელი და არც მისი გახსნისთვის საჭირო თვითგვემა და ყირამალაობა, ისედაც ნათელია ყველაფერი. როგორი ბრმა უნდა იყო ადამიანი, როგორი ხეპრე და მუდრეგი, ეს ვერ დაინახო.

ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენი რეგიონის (სამეგრელო-ზემო სვანეთის) ერთმა ბობოლა მაღალჩინოსანმა გულწრფელად მირჩია, რომ ბოლოს და ბოლოს შევშვებოდი ამ აყლაყურტა გლეხების გვერდით ბოდიალს, მათდამი თანადგომას, უაზრო გამოსარჩლებას და მისთანებს. მე მას ვთხოვე განემარტა, თუ რატომ იყო ყოველივე ეს უაზრობა და კედელზე ცერცვის შეპნევა? გამაოგნებელი პასუხი გამცა: — შენ, ძმაო, ეტყობა, ამ ნახირს ჯერ კიდევ ბოლომდე არ იცნობ (სწორედ ასე თქვა — ნახირიო), ჩვენ კი, ბიძიაო, იმ შენს გაგრიებს მთელი სამი წელიწადი და თერთმეტი თვე ცხვირით მიწას ვახსნევინებთ და ცხრა ფენა ტყავს ვაძრობთ, ხოლო არჩევნების დრო რომ მოაღწევს, ანუ იმ დარჩენილი ერთი თვის განმავლობაში, ცალ-ცალ კალოშს დავურიგებთ და მერე ჩემს ფეხებს მივცემთ, ისევ ტყ..ისა და შიმშილის რეჟიმში გადავიყვანთო. დასასრულ, ანტონ ჩეხოვიც კი მოიშველია და დასძინა, ბოლოს და ბოლოს რით ვერ გაიგე, რომ გლეხს ჭკუაც გლეხური აქვსო.

მუნჯი რომ მუნჯია, ისიც ხომ რაღაცას დაიხრიალებს სიმწრისგან, მე კი საერთოდ ენაჩავარდნილმა დავტოვე მისი კაბინეტი. ან კი რა უნდა მეპასუხა, როცა, ფაქტობრივად, წყალგაუვალ სიმართლეს ღავღავებდა სააკაშვილის ეს უტიფარი ქოფაკი.

ასეთია მწარე სინამდვილე, თუმცალა მდგომარეობა დღეისთვის რამდენადმე შეცვლილია უკეთესობისკენ. სააკაშვილის სატყუარას არ უტრიალებენ უკვე ასეთი გაფაციცებით, ადრე რომ გვინახავს გარკვეულწილად ჩაიკლეს საწყლებმა სიხარბე და ცოფიანობა. თითო-ოროლა ბრიყვი თუ შერჩენია, ეგ სათვალავში არ უნდა ჩავაგდოთ.

**— აკი, არავინ შერჩებაო?**

— არ შერჩება არჩევნების შემდეგ. მანამ კი თავისნაირ ტუტრუცანებს რა გამოულევს.

კენ კიზის წიგნიდან „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" — გეხსომებათ ასეთი პასაჟი: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ორი გიჟი ერთმანეთს ყოჩობაში ეცილება. განყოფილების „მაყურებლად" ის უნდა წამოაყენონ, რომელიც უფრო მძიმედ არის დაავადებული. ახლადმოყვანილი მაკ მერფი თამამად განუცხადებს მისტერ რედინგს — მოქმედ მაყურებელს: — მე ისეთი ფსიხი ვარ, არჩევნებში ეიზენჰაუერს ხმა უყოყმანოდ მივეციო. ეგ არაფერიო, — დამშვიდებით ეტყვის მისტერ რედინგი, — მე ისეთი არანორმალური ვარ, ეიზენჰაუერი მეორე ვადითაც ავირჩიეო. დიდი ამბავიო, — მოზეიმურად გაიფხორება მაკ მერფი, — მე ისეთი გადარეული ვარ, რომ წლეულს, შემოდგომაზე ჩემი გადამწყვეტი ხმით, მზად ვარ ეიზენჰაუერი მესამე ვადითაც გავიყვანოო.

ამის შემდეგ უკვე მორტერ რეიდინგი ეგრევე ცნობს მეტოქის უპირატესობას და ძალაუფლებასაც უსიტყვოდ გადააბარებს.

რამდენი ასეთი დამთხვეულია ჩვენშიც, ნაცმოძრაობას კიდევ ერთხელ რომ დაუწვება ახურებული, თუმცალა უკვე ბეჩავად გადაღძრუებული და უპოტენციო.

**— გაფაღარათება როდისთვის არის მოსალოდნელი, არჩევნებამდე თუ შემდეგ?**

— არჩევნებამდე დაეწყება, ხოლო არჩევნების შემდეგ, როგორც მისი ჭირისუფალი სომხები იტყვიან, —„ბასტა", რაც გაგორებას ნიშნავს სომხურად.

**პაციენტებს ვთხოვ დამირეკონ ნომერზე: 598 99 28 99. ნაცმოძრაობის წევრებისთვის მომსახურება უფასოა.**

**აჩიკო ქაროსანიძე**

## ivaniSvilis koalicias baTumSi aqciis Catareba anbanis koSkis mimdebare teritoriaze surs

კოალიცია "ქართულ ოცნების" წარმომადგენლებსა და ბათუმის მერიის შესაბამისი უწყების თანამშრომლებს შორის 5 აგვისტოსთვის დაგეგმილი აქციის ჩატარების ადგილზე შეთანხმების მიზნით დღეს შეხვედრა გაიმართა.

როგორც "მედიანიუსს" ბათუმში კოალიცია "ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ავთანდილ ბერიძემ განუცხადა, კოალიციამ მერიას შეატყობინა, რომ მათ მიერ შეთავაზებულ ალტერნატიულ ტერიტორიაზე — ანგისის სტადიონზე აქციის გამართვა არ სურს.



"შევთანხმდით, რომ მერიას გავუკეთებთ გაფრთხილებას აქციის ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებასთან დაკავშირებით. ისინი დაგვპირდნენ, რომ როდესაც ჩვენ მერიაში ამ ტერიტორიაზე აქციის ჩატარების მიზნით განცხადებას შევიტანთ, მას დააკმაყოფილებენ", - აღნიშნა ბერიძემ.

მისივე თქმით, კოალიცია აქციის ჩატარების თარიღს, 5 აგვისტოს არ ცვლის. "ქართული ოცნება" ბათუმის მერიაში ახალ განცხადებას უახლოეს საათებში შეიტანს.

როგორც ცნობილია, კოალიციას აქციის ჩატარება თავდაპირველად, ევროპის მოედანზე სურდა, თუმცა მერიამ მათ ამის სანქცია არ მისცა და ალტერნატიული ადგილი, ქალაქის გარეუბანში მდებარე ანგისის სტადიონი შესთავაზა, რაც კოალიციისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

„მედიანიუსი"

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**– ვარ აფხაზეთიდან დევნილი. შემაქვს სარჩელი სასამართლოში. ვიხდი თუ არა სახელმწიფო ბაჟს?**

– არ იხდით. სარჩელს აუცილებლად დაურთეთ დევნილობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

* * *

**– რა არის დაკავება და რამდენ ხანს შეიძლება პირი იყოს დაკავებული?**

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით, დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა.

პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.

ამავე კოდექსის 174-ე მულის მე-5 ნაწილის მიხედვით, დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

დაკავების ვადა ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში.

* * *

**– შეიძლება თუ არა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გავაფორმოთ სასჯელზე შეთანხმებით, ბრალის აღიარების გარეშე.**

– შეიძლება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს, თუმცა აქვე დაგიკონკრეტებთ შემდეგს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა.

* * *

**– შეიძლება თუ არა საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის მონაწილეობის გარეშე?**

– არა.

დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის უშუალო მონაწილეობისა და მის დადებაზე ბრალდებულის წინასწარი თანხმობის გარეშე.

* * *

**– შეიძლება თუ არა და იყოს ძმის ადვოკატი?**

– შეიძლება.

* * *

**– დავაყენე გამომძიებლის აცილების შუამდგომლობა, რომელიც არ დააკმაყოფილეს. მაქვს თუ არა მისი გასაჩივრების უფლება?**

– გაქვთ.



სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გამომძიებლის აცილების შუამდგომლობა, შეიძლება ერთჯერადად, 1 კვირის ვადაში გასაჩივრდეს საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან.

* * *

**– რა ვადაში შეიტანება საკასაციო საჩივარი?**

– საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. (მუხლი 302).

# saakaSvili _ saqarTvelos ekosistemis #1mteri

***სპეციალისტთა დაანგარიშებით, მსოფლიოს ტყის რესურსები 360 მლნ კუბმეტრია. აქედან, საქართველოს წილი 0,13 პროცენტი (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით). ჩვენში ჭარბობს წიფელი. ტყეთა უმეტესობა ზღვის დონიდან 1500-2000 მ.მ. (35 პროცენტი) სპეციალისტთა გათვლებით (ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს), შეიმჩნევა ტყის დაბერება. მისი ასაკი 100-120 წელია. ასეთია 35 პროცენტი მაშინ, როდესაც ზრდასრულია 33 პროცენტი.***

### ხანძარი ყველაფერს ჩამოწერს

სპეციალისტთა გაანგარიშებით, სამეწარმეო საქმიანობისათვის, ბოლო 4 წელიწადში 170 ჰა. ტყე მოიხმარება. ხოლო საერთოდ რამდენი გაიჩეხა, ყველასათვის უცნობია, რადგანაც ტყეთმოწყობის აღრიცხვა 1988 წლის შემდეგ აღარ ჩატარებულა (ყოველ 10 წელიწადში უნდა ტარდებოდეს). ფაქტია, რომ დიდი რაოდენობითაა გაჩეხილი. ტყის მასივები კიდევ უფრო შემცირდება – გვიხსნის გარემოს დაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ილია ხომერიკი, რადგანაც, მას შემდეგ, რაც გარემოს დაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელის ილია ხომერიკის, ფუნქციები ენერგეტიკის სამინისტრომ შეითავსა, პირველი, რაც მან მოითხოვა, ეს იყო ტყით სარგებლობაზე 50- წლიანი ლიცენზიების გაცემის უფლება. მორჩილმა პარლამენტმა მოთხოვნა დააკმაყოფილა. შედეგად, 3 გაცემული ლიცენზიით 2715 ჰექტარი ტყე გასხვისდა 5 13 900 ლარადა.

ბუნებრივი რესურსების ხელშეკრულებაში არ არის მითითებული თუ რა ფართის ტყის მასივი გასხვისდა. რა ჯიშის ხეებია და რაც მთავარია, რა სახით უნდა ჩააბაროს სახელმწიფოს უკან მოიჯარემ. მან ტყის მართვის 60-65 პროცენტიც რომ გაანადგუროს, პასუხს ვერავინ მოსთხოვს, რადგანაც არც ჩაბარების მომენტში იცოდა ტყის ფართი ვინმემ და არც დროებითი მფლობელობის დროს უთვლის ვინმე მეიჯარეს სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებულ კუბურ მეტრებს.

იმავე სპეციალისტის განმარტებით, ქვეყანაში ტყის პრევენციის არ არსებობის გამო ბოლო 4 წელიწადში 2500 ჰა ტყე განადგურდა. ამას ემატება სპეცტექნიკისა და კვალიფიციური კადრის არარსებობა. შარშან აწყურში გაჩენილ ხანძარს 3 თვე აქრობდნენ. დაიწვა 300 ჰა ტყის მასივი.

გარემოს დაცვის სამინისტროს ყოფილ თან.ამშრომელში ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ მოცემულ პერიოდში ყოველწლიურად მატულობს ხანძარი ტყის მასივების განადგურების მონაცემები: 2007 წ. დაიწვა 4 ჰა, 2008 წ. რუსული აგრესიის პირობებში დაიწვა 1100 ჰა, 2009 წ. – 720, 2010 წ-ში – 810, 2011 წ. – 430, უკვე ხანძარმა შთანთქა 300 ჰექტარი ტყის მასივი. სპეციალისტი თვლის, რომ ხანძარს მომღერალი მინისტრის ხაჩიძის უწყება მიაწერს უკანონოდ გაჩეხილ ნარგავებსაც.

მაგალითად, დაბა აბასთუმანში ვანო მერაბიშვილის ბიძაშვილის ჯონი მერაბიშვილის გამგეობის პერიოდში უამრავი კუბური მეტრი მოიჭრა, როდესაც ადგილობრივმა მოსახლეობამ და მწვანეებმა განგაში ატეხეს. მერაბიშვილის ხელდასმულებმა მოჭრილი მორების გამოტანა ვეღარ მოახერხეს და ტყეს ცეცხლი გაუჩინეს. უკანონოდ მოჭრილიც ამ ხანძარს მიაწერეს. ამჟამად ყოფილი გამგებელი ადიგენის გამგეობის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსია. მსგავსი ფაქტები ქვეყანაში მრავლადაა, გამკითხველი კი არავინაა.

### ოღონდ ფული იყოს




მაშინ, როდესაც მგლებმა მოსახლეობა შეაწუხეს და მათთან საბრძოლველად ხელისუფლება ეფექტურ ზომებს არ იღებს, ახალი კანონმდებლობით, საქართველოში ნებადართული ხდება „ნადირობა“ „წითელ წიგნში“ შეტანილ ისეთ სახეობებზე, როგორიცაა დათვი, ჯიხვი, ირემი. ამას, „ვარდოსნები“ სამონადირო ტურიზმს უწოდებენ. ამას კი საერთაშორისო ბუნების დაცვის ორგანიზაციების მწვავე კრიტიკა მოჰყვა.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი თვლის, რომ ეროვნულ პარკებში „წითელ წიგნში“ შეტანილ ცხოველებზე ნადირობის დაშვება ეწინააღმდეგება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საერთაშორისო ბუნებისდაცვის სახელმძღვანელო პრინციპებს. ეს კანონი აზრს უკარგავს ეროვნული პარკების, როგორც დაცული ტერიტორიების კატეგორიის არსებობას. რადგანაც უთანაბრებს მათ უფრო დაბალი დაცვის ქვეშ მყოფ კატეგორიებს, ეროვნული პარკები ერთგვარი თავშესაფარი, რეზერვუარია, სადაც ნადირ-ფრინველი ველურ პირობებში მრავლდება, აქ იქმნება რესურსი უფრო დაბალი დაცულობის კატეგორიის სამონადირეო მეურნეობებისათვის, დაცულ ტერიტორიებზე ნადირობის დაშვება საფრთხეს შეუქმნის ქვეყანაში ტურიზმის განვითარებასაც, – ნათქვამია ბუნების დაცვის საერთაშორისო ფონდის საგანგებოდ გაკეთებულ განცხადებაში.

ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ საკანონმდებლო ცვლილებები გათვლილია მოკლევადიან ფინანსურ ეფექტზე. ხელს შეუშლის მდგარი სამონადირეო მეურნეობის განვითარებას. დაეცემა ქვეყნის ეკოტურისტული იმიჯი. ყოველივე მიანიშნებს იმას, წყალში გადაყრილად ჩაითვლება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი მილიონები, ბუნების დაცვის სფეროში, რაც შემდგომში ეჭვქვეშ დააყენებს სერიოზული ორგანიზაციების (ევროკავშირი, ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები) მხრიდან დახმარების საკითხს, – ნათქვამია საერთაშორისო ფონდის სპეციალურად საქართველოსათვის გაკეთებულ განცხადებაში. ჩვენი ხელისუფლება კი როდესაც მოსახლეობა მას მგლებისაგან დაცვას სთხოვს ევროკონვენციით აპელირებს, როდესაც ოპონენტები ეკოსისტემის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკაზე მიუთითებენ ეკონომიკურ სარგებელსა და ბიუჯეტის (ნაცების სალაროზე) შევსების აუცილებლობაზე საუბრობს.

### ნაცები მიწის საფარსაც ყიდიან

როგორც არასამთავრობოები აცხადებენ, სააკაშვილის ყურმოჭრილი პარლამენტი განხილვისა და დებატების გარეშე აძლევს კანონის ძალას ეკოსისტემის გამანადგურებელ კანონპროექტებს. უფლებათა დამცველის ლაშა ჩხარტიშვილის განმარტებით, ენერგეტიკის სამინისტროს შეუძლია შეთანხმება დადოს კერძო პირთან, რომლის ძალითაც მას უფლება ეძლევა დაწვას, გაჩეხოს ტყე, ქიმიური ნარჩენებით დააბინძუროს მდინარე, ტბა.

სპეციალისტთა განმარტებით, საგანგაშოა ქვეყანაში რადიაქტიური ნარჩენების შემოტანის საკითხიც. ამგვარი ნივთიერებების გადამუშავება- გაუვნებელყოფის დროს ევროპაში ერთ ტონაში 50 ევროს იხდიან. ჩვენთან 30 ევროა. იმის გამო, რომ შემომტანს არავინ სთხოვს მის გადამუშავებას, გაუვნებელყოფას, სარკოფაგებში მის დამარხვას. ეს კოშმარია, – აცხადებენ ექსპერტები.

სპეციალისტები, იმასაც აცხადებენ, რომ მინისტრთა კაბინეტიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ხელისუფლება მოლაპარაკებებს აწარმოებს აღმოსავლეთის მწირ და მცირემიწიან სახელმწიფოებთან ქართული მიწის საფარის გაყიდვის თაობაზე. ერთი სანტიმეტრი მიწის ჩამოყალიბებას (მითუმეტეს ნოყიერის) ასეულობით წელი სჭირდება. ესენი კი მის გაყიდვას აპირებენ, – აღშფოთებას ვერ მალავენ ნიადაგმცოდნეები.

### რეზიუმეს მაგივრად

ნიურნბერგის პროცესში ნაცისტების (ჩვენებურად, „ნაციონალების“) ერთ-ერთი ბრალდება იყო ეკოციდი. გერმანელებმა უკრაინაში ნიადაგი მოხსნეს და გაიტაცეს, რამაც გამოიწვია მოსავლიანობის კატასტროფულად შემცირება და ათასობით ადამიანის შიმშილით სიკვდილი...

**ზაზა ბილიხოძე**

# patara lukas Tqveni Tanadgoma gadaarCens



7 წლის ლუკა წულეისკირს ორი თვის წინ, სრულიად მოულოდნელად დაუდგინდა დიაგნოზი – **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია.**

ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მოვახერხეთ გარკვეული თანხის მოგროვება და ბავშვის უმოკლეს ვადაში გერმანიაში გაგზავნა. ამჟამად ლუკას უტარდება ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსი გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში.

სამწუხაროდ, როგორც მიმდინარე ანალიზებიდან გამოჩნდა, ინტენსიური ქიმიოთერაპიის სტანდარტულმა კურსმა ვერ გამოიღო სათანადო შედეგი. ამჟამად გამოიკვეთა აუცილებლობა, რომ ბავშვს ჩაუტარდეს ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია, რომლისთვისაც საჭიროა **250 000 ევრო.** ამხელა ოდენობის თანხის შეგროვება სამწუხაროდ აღემატება ჩვენს ყველა საშუალებას და ამიტომაც გადავწყვიტეთ, მოგვემართა თქვენთვის დახმარებისთვის.

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა "ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, ნებისმიერი ოდენობის (მცირეოდენი) შენატანებით, დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

**საბანკო რეკვიზიტები:**
**ბანკის კოდი: KSBGGE22**
**ბანკის დასახელება: კორ-სტანდარტ ბანკი**
**ანგარიში: GE19KS0000000360800511GE**
**მიმღები: ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

**ლუკას ოჯახი**

# ყველაზე არაჩვეულებრივი ქორწინებები

უცნაური ქორწილი აღნიშნეს ოჰაიოს შტატში. წყვილმა რატომღაც კუბოს თანხლებით მოინდომა დაქორწინება. სტუმართაგან ერთ-ერთი ჯეისონ ვურჰიზის ფორმაში იყო გამოწყობილი, რომელიც მაყურებელს „პარასკევი 13"-დან ახსოვს.

სტუმრები კაციჭამიებს და კუდიანებს ჰგავდნენ მაკიაჟით და ჩაცმულობით. ქორწილის ბოლოს ორი „ვამპირი" „გამოჩნდა". ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ მიეჭრა პატარძალს და ყელზე დაეწაფა, თითქოს სისხლს წოვდა. ასე დაიწყო საქორწილო მხიარულება.

კონი სპიცნეიჯელის და ჯეკ ჰოლსინჯერის ქორწინება „აკურთხა" ჯეისონ ვურჰიზმა და ტრადიციულად ბეჭდების გაცვლის მაგივრად ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ყელზე უკბინეს.

საინტერესო ისაა, რომ ამ ქორწინების მონაწილენი პატარები არ იყვნენ. პატარძალი 41 წლის გახლდათ, ნეფე 61-ისა. უბრალოდ, ისინი იუმორის გრძნობით იყვნენ სავსე, ამიტომაც გადაწყვიტეს „ვამპირი" ცოლ-ქმარი ყოფილიყვნენ.



ნოი ფულმორმა და ერინ ფინენგანმა მოისურვეს ქორწილი პირდაპირ კოსმოსში გადაეხადათ. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, მაგრამ გამოსავალი მაინც იპოვეს. ქორწინების დღეს ნეფე-დედოფალი, მღვდელი და მფრინავი ავიალაინერ ბოინგ-727 ზერო-გ-ზე ავიდნენ და გეზი ფლორიდის ცისკენ აიღეს. ფულმორსა და ფინენგანს თავი კოსმოსში რომ ეგრძნოთ, პილოტი შესაძლებლობის მაქსიმუმით აიჭრა, რაც შეიძლებოდა მაღლა ცაში და შემდეგ კოსმოსური სიჩქარით დაბლა დაეშვა. შეიქმნა უწონობის შთაბეჭდილება, თუმცა ყოველივე ეს 10 სეკუნდს გაგრძელდა, მაგრამ შეგრძნება ხომ იყო?! ფულმორი და ფინენგანი ამბობენ, რომ მათთვის ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, მღვდლის წინაშე ერთმანეთისთვის ეთქვათ: „მე თანახმა ვარ".

სალი და ჯონი ტეხასის სუპერმარკეტში შეხვდნენ ერთმანეთს. სალი იქ სალაროში მუშაობდა. პირველად ჯონი სალის სწორედ მარკეტში შეხვდა. იქ ის საყიდლებზე იყო მისული. ახალგაზრდები ამბობენ, რომ ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება.

წყვილმა გადაწყვიტა დაქორწინებულიყვნენ სუპერმარკეტში, სადაც დღემდე მუშაობს სალი. ამისათვის მათ სპეციალურად შეარჩიეს ის დრო, როცა მარკეტის ყველა თანამშრომელთან ერთად იქ უამრავი მყიდველიც ტრიალებდა.

ჩრდილოეთ კორეელმა ემ ლიმ და კორე სამმა გადაწყვიტეს ქორწილი ფიტნეს კლუბში გადაეხადათ, სადაც ორივე მწვრთნელად მუშაობს. ყველა საქორწილო ცერემონიის დაცვის შემდეგ სიძე-პატარძალმა კროსი მოაწყო სარბენ ბილიკზე, სტუმრები კი ოფლად იღვრებოდნენ ველოტრენაჟორებზე. მოწვეული მეგობრები ისე დაიღალნენ, ერთი სული ჰქონდათ, სანამ საქორწინო ფიცს წარმოთქვამდა წყვილი, რადგან ემის და კორეს ქორწილში სპორტით გატაცებული სტუმრები არც ისე ბევრნი იყვნენ.

რუსეთში ყველაზე არაჩვეულებრივი გაცნობა წყვილებს შორის მორგში მოხდა. საქმრო პათოლოგანატომი გახლდათ, საცოლე – მისი დამხმარე. მაგრამ ქორწინების ცერემონია მაინც ყველაზე საინტერესო იყო. ქმარი ცოლთან მძღოლმა მიიყვანა და სახლში ის საკაცით მიიყვანეს. გოგონას სიმბოლური გვამი იქვე იდო და თეთრი სუდარა ჰქონდა გადაფარებული. შემდეგ პატარძალი და სიძე სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს მორგში, სადაც უამრავი სტუმარი ელოდებოდათ. აქვე მოხდა მათი შეუღლებაც. ამბობენ, ისე მხიარულობდნენ, მკვდრები კინაღამ წამოდგნენო.

ფლორიდის შტატის მაცხოვრებელი სარა და ჯეი ერთმანეთს „მაკდონალდსში" შეხვდნენ. ჯეი „მაკდონალდსის" ადმინისტრატორი იყო, სარა სალაროს თანამშრომელი. „მაკდონალდსში" კოკა-კოლათი სავსე ფუჟერებით დალოცეს სტუმრებმა ახალშეუღლებულნი. მნიშვნელოვანია, რომ „მაკდონალდსის" ადმინისტრაციამ თავის თანამშრომლებს ქორწინება იმით მიულოცა, რომ უფასო ბურგერები ჩამოურიგა სტუმრებს.

68 წლის ქალბატონმა გადაწყვიტა ყველაფერი, რაც მას წმინდა ჰქონდა მიეძღვნა თავისი ქმრისათვის, სათვალეებიან კობრაზე. ქალბატონს, რომელიც ინდოეთის ერთ სოფელში ცხოვრობს, სახელად ბიმბელა ჰქვია. მან ნამდვილი ქორწილი გადაიხადა და სტუმრად, დაახლოებით, ორი ათასამდე სტუმარი მოიწვია. ქმრის მაგივრად გველის ფიტული წარმოადგინა, რადგან მისი დასწრება ქორწილზე არც ისე უსაფრთხო იქნებოდა.



ადგილობრივი მღვდელი ერთი საათის განმავლობაში კითხულობდა ლოცვებს, რათა ახალდაქორწინებულების სულები შეერთებულიყო, ჰყოლოდათ ბევრი შვილი და ოჯახში მოსავალი ბლომად ჰქონოდათ.

ბიმბელა ქმართან უკვე ერთი თვეა, რაც ცხოვრობს. „ქმარი", ძირითადად, ბაღში ნებივრობს. ქალბატონი აცხადებს, რომ მათ შორის ურთიერთგაგება უმაღლეს საფეხურზეა.

ჩინეთის ქალაქ შანსში ათმა წყვილმა ერთად გადაიხადა ქორწილი ნახშირმომპოვებელ შახტში, რადგან მათი ქმრები სწორედ აქ მუშაობდნენ. ქორწილი მიწის სიღრმეში 300-მეტრიან შახტში ჩატარდა.

ლიუ ე, რომელიც ჩინეთის ქალაქ ჩჟუხაიში ცხოვრობს საკუთარ თავზე დაქორწინდა. მამაკაცი გამოუტყდა ჟურნალისტებს, რომ მას ისე უყვარს საკუთარი თავი, ამ სიყვარულის სხვისთვის განაწილება არ სურს. ამ არჩევანისთვის მან მშობლების ლოცვაც კი დაიმსახურა. ქორწინების ცერემონია ყველა წესის დაცვით ჩატარდა. ლიუ ე ეკლესიაში პატარძლის ტანისამოსით მივიდა. წარმოთქვა ფიცი, გაიკეთა საქორწინო ბეჭედი. ქორწილზე მიწვეული იყო 100-მდე სტუმარი. ლიუ ემ განაცხადა: ამ ქორწინების შემდეგ თავი სრულფასოვან ადამიანად ვიგრძენიო.

ლიუ ესგან განსხვავებით იაპონელი, რომელიც ინტერნეტში ცნობილია, როგორც **Sa 19000**, დაქორწინდა კომპიუტერული თამაშების ანიმაციურ გმირზე **Nene Anegasaki**-ზე.

აღფრთოვანებული ქმარი 3 დღე-ღამის განმავლობაში თამაშობდა „ცოლთან" ინტერნეტთამაშებს ისე, რომ არც დაუძინია და არც რამე უჭამია. ახალდაქორწინებულ მეუღლესთან ახლოს ყოფნა ხომ ყველაზე მნიშვნელოვანია?!

43 წლის ემა, რომელიც პენსილვანიის შტატში ცხოვრობს, თავის მუსიკალურ ცენტრზე დაქორწინდა. იგი ირწმუნება, რომ ჯეი (ასე დაარქვა აუდიოსისტემას) ნებისმიერ მამაკაცს ჯობია. იგი შეასრულებს ნებისმიერ სურვილს, ყოველთვის უსმენს, ამშვიდებს, მასთან სექსი კი საოცრებაა და აღმაფრთოვანებელია.

ქალბატონი ინდიანას შტატიდან თავის კატაზე დაქორწინდა. იგი ამბობს, რომ კატა ძალიან აგონებს საყვარელს მამაკაცს. არ უვლის თავის ნივთებს და როცა შია სხვა არაფერი ახსოვს. რა საჭიროა მამაკაცის ძებნა, კატა ჩემთან ცხოვრობს უკვე 5 წელიწადია, მას ზუსტად იგივე თვისებები აქვს, რაც მამაკაცებს, – ამბობს ქალბატონი.



ლონდონელი მილიონერი შარონ ტანდლერი თავის დელფინზე დაქორწინდა. შარონს სიგიჟემდე შეუყვარდა დელფინი სენდი. ისინი ერთმანეთს 15 წლის წინ შეხვდნენ, როცა შარონი პირველად დაინტერესდა დაივინგით. ერთ-ერთ რიფთან ისინი ერთმანეთს გადაეყარნენ. ახლა სენდი არაჩვეულებრივ აუზში ცხოვრობს. ქალბატონი ამბობს, რომ დელფინი საოცნებო ქმარია – ალერსიანი და ყურადღებიანი.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** – ამ პერიოდში მეგობრები გაგიწევენ დახმარებას. ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება თქვენს აქტიურობის უნარზე. კარგი დროა ჯანმრთელობის გასაძლიერებლად.


**კურო** – სამსახურის საქმეებში წარმატებისთვის გამოიყენეთ არაორდინალური გზები. ოჯახური პრობლემების გამო ნუ ინერვიულებთ, დროა აპატიოთ მეგობრებს და ახლობლებს შეცდომები.


**ტყუპები** – საქმის რეალიზება გაგიადვილდებათ პარტნიორთა დახმარების მეშვეობით. თქვენი მომხიბვლელობით გულგრილი არავინ დარჩება.


**კირჩხიბი** – შესაძლოა, გაიზარდოს თქვენი შემოსავალი. ფინანსური გარიგებებისთვის კი ცუდი დროა, რადგან შესაძლოა დანაკარგი განიცადოთ. შესაძლოა პრობლემა შეგექმნათ ბავშვებთან გაკავშირებით.


**ლომი** – სახლის საქმეები ძალზე ბევრ დროს წაგართმევთ, შესაძლოა აუცილებელი გახდეს დამატებითი ცოდნის ან ინფორმაციის მიღება. ამ პერიოდში დამყარებული რომანტიკული კავშირები თქვენს იმედებს ვერ გაამართლებს.


**ქალწული** – ეს კარგი დროა სამსახურის გამოსაცვლელად, შესაძლოა, გაიუმჯობესოთ ფინანსური და სოციალური მდგომარეობა, ეცადეთ მეტი ყურადღება დაუთმოთ საყვარელ ადამიანს.


**სასწორი** – მოგინდებათ პირადი ცხოვრების შეცვლა. თუმცა ამას ვერ მოახერხებთ, შესაძლოა არასასიამოვნო გარჩევებში მოგიწიოს მონაწილეობის მიღება, დაფიქრდით საკუთარ ცხოვრებაზე.


**მორიელი** – მოემზადეთ ახალი პროექტების დასაწყებად. უამრავი წვრილმანი პრობლემის მიუხედავად, გაადვილდება საქმეებში მიზნის მიღწევა, იყავით ტაქტიანი საყვარელ ადამიანთან და ახლობლებთან მიმართებაში.


**მშვილდოსანი** – საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან გაუგებრობის შემთხვევაში უხეში ნუ იქნებით და ეცადეთ მოძებნოთ გზები კრიზისიდან გამოსასვლელად. შესაძლოა ლიდერის პოზიციაც დაიკავოთ.


**თხის რქა** – გაგიცნდებათ სიმდიდრის მოხვეჭის სურვილი. საყვარელ ადამიანზე ზრუნვა და მისი მოვლა იდეალურ სასიყვარულო ატმოსფეროს შეგიქმნით.


**მერწყული** – დაქვეითდება თქვენი შრომისუნარიანობა. გაგიჭირდებათ მიღებული ინფორმაციის გადამუშავება, რაც სამსახურში პრობლემების მიზეზი შეიძლება გახდეს.


**თევზები** – ეს კარგი დროა გამოკვლევების ჩასატარებლად. ნუ აჰყვებით ახალგაცნობილი ადამიანების მიერ შემოთავაზებულ ცდუნებებსა და ავანტიურებს, ხელმომჭირნედ ხარჯეთ ფული, რომანტიკული კავშირები თქვენთვის სიამოვნების მომტანი იქნება.